სპორტი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან შაბათი, 29 აგვისტო 1998 №153 (688) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

გუშინ ალაბარში: „არსენალი“ — „იბერია“. დუბლის ავტორი შოთა ჩომახიძე

4 ტური

საქართველოს ჩემპიონატი

28 აგვისტო, პარასკევი

არსენალი	2
იბერია	5

29 აგვისტო, შაბათი

- გურია — ოდიში
- სამგურალი — თსუ
- დილა — კოლხეთი
- მერანი — გორდა

30 აგვისტო, კვირა

- ტორპედო — ბათუმი
- დინამო — სიონი

31 აგვისტო, ორშაბათი

- ლოკომოტივი — ვიტ ჯორჯია

ერთხელ მონტე კარლოში

ჩელსი 1:0 რეალი

1:0 პოიეტი (82)

ჩელსი: დე გუი, ფერერი, ლებეფი, დესაი, ლე სო, დაბერი, უაიზი, დი მატეო (პოიეტი 63), ბაბაიარო, ძოლა (ლაუდრუპი 83), კაზირაგი (ტორე ანდრე ფლო 90)

რეალი: ილგნერი, პანუჩი, სანჩისი, იერო, რობერტო კარლოსი, კარემბუ (მორიენტესი 58), ზეედორფი, რედონდო, სავიო, მიატოვიჩი (იარნი 74), რაული

მონტე კარლო ორიოდ დღით ევროპული ფეხბურთის დედაქალაქად იქცა. ჯერ იყო და ხუთშაბათს საღამოს ჩემპიონთა ლიგის წილისყრა მოეწყო, შემდეგ იქვე გაიმართა უეფას გამოკითხვის შედეგად აღიარებული საუკეთესო მოთამაშეებისა და მწვრთნელის დაჯილდოება, გუშინ კი ქალაქში, უფრო სწორედ კი „ლუი II“-ის სახელობის სტადიონმა სუპერთასის ფინალსაც უმასპინძლა.

ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებულ „რეალს“ პირველად ჰქონდა შანსი ევროპის სუპერთასი მოეგო, მაგრამ მადრიდელებმა ვერ ივარგეს. თასთა თასის ორგზის მფლობელი „ჩელსიც“ პირველად მონაწილეობდა ასეთ მატჩში. ლონდონელებმა იმარჯვეს და ევროპის სუპერთასიც ერთი წლით ლონდონში გაამგზავრეს. იქ, „სტემფორდ ბრიჯზე“ თასი ღირსეული მფლობელის მუზეუმში შეინახება, გაისად კი შეიძლება ახალი პატრონი გამოუჩნდეს.

ხშირად შეხვედრის სანახაობრივ მხაბა, რომ „რეალი“ არ, ანაც ვერ თამაშობდა. მადრიდელებს, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ საკმაო პრობლემები აქვთ.

ერთადერთი გოლი საფინალო სასტვენამდე შვიდი წუთით ადრე გავიდა ესპანელთა საჯარიმოში მარცხნიდან შემრილმა ჯანფრანკო ძოლამ ცრუმოძრაობის შემდეგ ბურთი საჯარიმოს მისადგომებს მიახლოებულ ურუგვაელ გუსტავო პოიეტს დაუბრუნა, ამან კი ძლიერი და მოჭრილი დარტყმით ბოდო ილგნერი, ჩასთან ერთად კი მთელი „რეალი“ გააშმა — ბურთი მეკარისგან მარცხენა დაბალ კუთხეში შევარდა. და ეს ყველაფერი მეორე წუთზე!

დარჩენილი შვიდი და მსაჯის მიერ წამატებული სამი წუთი საკმარისი იყო არათუ გასაყიმებლად, არამედ წინ გასასვლელადაც, თუმცა სასწაული მონტე კარლოში არ მომხდარა — ჯანლუკა ვიალის ინტერნაციონალურმა „ჩელსიმ“ იმარჯვა, ბოლო ორი წლის მანძილზე კი მეოთხე თასიც მიითვალა (ინგლისის ასოციაციისა და ლიგის თასები, თასების თასი, ახლა კი სუპერთასიც).

ზემოთ მატჩის მიმზიდველობასა და დაძაბულობაზე ვთქვით, აღწერით კი ერთი მომენტი რაა, არაფერი გვითქვამს. სახიფათო, ენებავთ საგოლე მომენტები ორივე კართან საკმაო რაოდენობით იქმნებოდა — გარდა უხეიროდ დასრულებული იერიშებისა, მეტოქეთ თითოჯერ ძელმა შეუშალა ხელი გოლის გატანაში — ჯერ იყო და დე გუის ძელი დაეხმარა იეროს განმგმირავი ჯარიმის მოგერიებაში, მერე კი



REUTERS მონაკოდან

„ჩელსის“ კაპიტანი დენის უაიზი სუპერთასით ხელში

რეს გულშემატკივრები განსაზღვრავენ, თუმცა ისიც მომხდარა, ქომაგთა ნაკლებობის მიუხედავად თამაში კარგი გამოსულა. პარასკევს სწორედ ასეთი რამ მოხდა — მიუხედავად იმისა, რომ ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებულის და თასების თასის მფლობელის დაპირისპირებას მხოლოდ ათი ათასი გულშემატკივარი დაესწრო, შეხვედრა ლამაზი, დაძაბული გამოდგა.

ხშირად გუნდები სუპერთასზე სათანადოდ არ ირჯებოდნენ, მაგრამ გუშინ ორივემ მთელი ძალით ითამაშა, სული და გული ჩააქსოვა თამაშში და ბოლომდე იბრძოლა.

საბოლოოდ პრესტიჟშელახული თასების თასის მფლობელმა „ჩელსიმ“ ევროპის ყველაზე პრესტიჟული საკლუბო ტურნირის, ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებული „რეალი“ მაინც დაჯაბნა. ლონდონელებმა აჯობეს მეტოქეს და თასი ღირსეულად მოიპოვეს. რჩებოდა შთაბეჭდილებანი, ილგნერი აღმოჩნდა ანალოგიურ მდგომარეობაში — ლებეფის შორეული დარტყმა ლამის იყო, მარცხენა ცხრიანში გაეხვია, მაგრამ...

მოკლედ თასი „ჩელსის“ დარჩა, გადაწყვეტი (თან ერთადერთი) გოლის ავტორი პოიეტი კი მატჩის გენერალურმა სპონსორმა საავტომობილო ფირმა „ნისანმა“ საკუთარი ნაწარმით დააჯილდოვა.

— გავიჭირდა მეტოქის დამარცხება, თუმცა საბოლოო ჯამში ჩვენ მიზანს მივაღწიეთ, მათ კი ვერა. მოხარული ვარ, თასი რომ მოვიგეთ. მას ჩვენ ვიმსახურებდით — ვიალი გახარებული ჩანდა. ხუმრობა როდია — იტალიელი მოთამაშე-მწვრთნელის თავკაცობით კლუბმა სამი თასი მოიგო (ასოციაციის თასი „ჩელსიმ“ გულტის მწვრთნელობისას მოიპოვა)!

წლეულს სუპერთასი ერთ შეხვედრაში გათამაშდა. აწი სულ ასე იქნება.

ლაშა გოდუაძე

კორიდა წავაგეთ, ახლა ნარინჯის ველი გველის

„დინამოს“ მეტოქე უეფას თასზე ჰოლანდიური „ტილბურგია“

ჩემპიონთა თასის კენჭისყრისგან განსხვავებით უეფას თასისამ „დინამო“ დაინდო. მაშინ, როცა უეფას მაღალჩინოსნის ხელმა „შტუტგარტი“ — „ფეიენოორდი“, „ფიორენტინა“ — „ჰაიდუკი“, „ატლეტიკო“ — „ობილიჩი“ და სხვა ძლიერი კლუბები დააწყვილა, ქართველები ჯერაც მეტოქეს ველოდით. ჩვენსავით გაურკვევლობაში იყვნენ დინამოელთა ძველი ნაცნობები გერმანული „ლევერკუზენი“ და „ვერდერი“, ასევე, იტალიური „უდინეზე“, ესპანური „ვალენსია“, ფრანგული „მარსელი“, ბელგიური „ბრიუგე“ და კიდევ 8 გუნდი. ვის გაუმართლა, ვის არა, ჩახედეთ წყვილებს და თავად განსაჯეთ.

უეფას და თასების თასის წილისყრის შედეგები იხილეთ მეოთხე გვერდზე

ჰოლანდია

II ტური

როდა 0:2 აიაქსი

0:1 ჰუქსტრა (57), 0:2 ბაბანგიდა (83)

პორტუგალია

II ტური

სპორტინგი 2:1 შავეში

1:0 მაჩადო (27), 1:1 სანტანა (47), 2:1 იორდანოვი (69)

ინგლისი

პირველი დივიზიონი

ქრიუ 2:1 ბრედფორდი

1:0 ლანტი (12), 2:0 კოლინზი (19), 2:1 მაკოლი (38)

უოტფორდი 0:2 ვულვერჰემპტონი

0:1 ბული (45), 0:2 კინი (46)

მარადმწვანე სკანდალი

ფედერაცია, მრეტები — ფული უნდა გადაიხადოთ! დინამო — შაურსაც ვერ მიიღებთ!

ეს ამბავი ხუთი წლის წინ დაიწყო. ერთმა უბრალო, საფეხბურთო ნიჭით შემკულმა თბილისელმა ბიჭმა ინგლისური პრემიერლიგის კარი შეაღო.

ის ბიჭი დინამოელი გიორგი ქინქლაძე გახლდათ. საბოლოოდ რა გამოვიდა ამ ტრანსფერიდან, ბევრმა კარგად უწყის. იყო აღტაცებაც და დიდი იმედგაცრუებაც, მაგრამ, რაც მთავარია, პატარა ქინქი გახდა უნებლიე მიზეზი იმ დავისა, რომელსაც დღემდე აუწრიალებია ქართული საფეხბურთო სამყარო.

რა თქმა უნდა, მაშინ ყველას გაგვიხარდა გიორგი ქინქლაძის მანჩესტერში დაფუძნება, მაგრამ გამორჩევით ერთი კაცი ვერ ფარავდა სიხარულს — საფეხბურთო კლუბ „მრეტების“ პრეზიდენტი ვაჟა ჩხაიძე, კმაყოფილებით აღსავსე, ხელებს იფშვნეტდა...

იმ პერიოდში და მერეც ფინანსურად შეჭირვებულ მრეტთა თავკაცს გასახარად, საქმე ნაღდად ჰქონდა. „დინამოს“„სიტისგან“ სამი მილიონ ორასი ათასი დოლარი ერგებოდა. მართალია, ამ ტრანსფერმა „დინამო“ წელში კი გამართა, მაგრამ ჩხაიძეს რა ხეირი, იკითხავს მავანი.

სწორედ აქ იყო ძაღლის თავი დამარხული. თავის დროზე ქინქლაძე ჩხაიძის კლუბში ირიცხებოდა და პრეზიდენტმა მეტად ეშმაკური და სარფიანი კონტრაქტის სანაცვლოდ დაუთმო ფეხბურთელი „დინამოს“.

არ ვიცი, ჩხაიძეს გულმა უგრძნო, თუ იგი ნათლად ხედავდა ქინქლაძეში მომავალ პრემიერლიგელს, მაგრამ ფაქტი ერთია, კონტრაქტში ასეთი პუნქტიც ჩადო — ქინქლაძის ტრანსფერიდან ორმოცდაათი პროცენტი „მრეტებსო“. ჩხაიძემ მანამ არ დაულოცა გზა გიოს, სანამ ამ პირობას ბეჭედი არ დაესვა.

გამოხდა ხანი. „დინამოში“ ხელმძღვანელობა შეიცვალა, ქინქლაძემაც გაიბრწყინა მანჩესტერში და ჩხაიძემაც მოხსნა დიდი ხნის წინათ დალუქული გუდას თავი. ამოიღო იქიდან დანესტიანებული, ობმოკიდებული, უძველესი კონტრაქტი და ფეხბურთის ფედერაციას მიაკითხა. ეს გახლავთ ჩემი მშველელი სბუთი, „დინამოსგან“ „მილიონ ჩემტა“ მეკუთვნის და დამაყენეთ საშველი, თორემ უეფაში ვიჩივლებო.

ფედერაციამ იმ დღიდან დაიწყო ამ საქმის გარჩევა. დავას დღემდე არ მოღებია ბოლო, თუმცა თავის უკანასკნელ საათებს ითვლის.

იხილეთ მეორე გვერდი

მარადმწვანე სკანდალი

ფედერაცია, მრეტები — ფული უნდა გადაიხადოთ! დინამო — შაურსაც ვერ მიიღებთ!

დასაწყისი პირველ გვერდზე

მაშინ ფედერაციამ კი თქვა, განაჩენს გამოვიტანო, მაგრამ ჩხაიძის მუქარას თავიდანვე წაუყრუა, თუმცა საბუთიც თავისთან დიტოვა. ფედერაცია-„დინამოს“ შორის შეხმატკბილებული, საქმიანი ურთიერთობა სუფევდა, თუმცა ფედერაციის შორსმჭვრეტელი ხელმძღვანელები მერაბ ჟორდანიას სახით პოტენციურ მეტოქეს ხედავდნენ და ჩხაიძის საჩივარიც მისი ქმედებების დასარეგულირებლად ჰქონდათ თითზე დახვეული.

დირექტორატმა გვიან შეიტყო უსიამოვნო კონტრაქტის არსებობა, არადა, სასურველი იყო, ადრევე სცოდნოდათ. ამიტომაც უწოდეს მას უმძიმესი მემკვიდრეობა, დღემდე თავიდან მოუცილებელი.

ფედერაციამ ადრე არჩეულ პრინციპს არ უღალატა, დრო მაქსიმალურად წელა, ხოლო ჩხაიძემ მუქარა აღასრულა, საჩივარი უეფაში შეიტანა. ახლა ის მარტო როდი იყო, ზურგს გერმანული იურიდიული ფირმა უმაგრებდა. ჩხაიძემ „მრეტების“ აქციებიც გერმანელებს, კერძოდ ფრიდრიხ ბოიმელს ჩააბარა. გერმანელთა ამბავი კი ყველას მოგვეხსენება, ან საქმეს არ დაიწყებენ, ანაც უსიკვდილოდ ბოლომდე მიიყვანენ.

ესეც დამატებითი თავსატეხი დირექტორატისთვის.

უეფამ საჩივარი მიიღო, რეალობაში გაერკვა და საქმე გასარჩევად ისევ ფედერაციას გადმოსცა. აქ მე ზედმეტი ვარ, ორივე კლუბი შენს იურიდიულ ერთეულად ითვლება, ორივე ქართულ ჩემპიონატში გამოდის. ამიტომ გაარჩიე და პასუხი მომახსენეო.

უეფას არ ეღალატებოდა, ფედერაციამაც უსწრაფესი ზომები მიიღო და ასე დაიკანონა — დავაში მართლად „მრეტები“ მიცვნიაო. პასუხი უეფასაც გაეგზავნა.

არავინ იცის, შემდეგ რამდენჯერ აცნობა ფედერაციამ უეფას, დავასთან დაკავშირებით დამატებითი მასალები გამოჩნდა, ადრე დადგენილი ვადები გადაგვიწეთო.

უეფას უარი არასდროს შემოუთვლია, მაგრამ ყველაფერს გააჩნია თავისი დასასრული, მასაც ყელში ამოუვიდა და ბოლო თარიღად 31 აგვისტო დაადგინა.

„დინამომ“ სამოქალაქო სასამართლოშიც კი იჩივლა, კონტრაქტში დაუშვებელი, კაბალური პირობებია ჩადებულიო. სასამართლომ უპირატესობა „დინამოს“ მიანიჭა, მაგრამ დაგიდევთ კი ყოველივეს უეფა. ის ხომ მხოლოდ თავის კანონებს ცნობს.

მაინც ვინ არის მართალი ორი მხარის დავაში? ძნელი სათქმელია, რადგან ბოლომდე საქმის არსში არც ფედერაციას, არც „დინამოს“ და მით უმეტს, „მრეტებს“ არ ჩავუყენებივართ. მით უმეტეს იმიტომ ვთქვით, რომ ვაჟა ჩხაიძეს ვერავინ პოულობს. მხოლოდ დაბეჭდილ თაბახებს გვიგზავნიან და შეუთოკლებლად დაბეჭდეთო, გვთხოვენ.

ის კი არა, ალბათ მასმედიის წარმომადგენლები ვერც ვერასდროს შევიტყობდით ამ ამბავს. უეფა „დინამოს“ დისკვალიფიკაციით, დაშლით და სხვა ათასგვარი სასჯელით რომ არ დამუქრებოდა. ფედერაციაც და „დინამოც“ იმაში მოტყუვდნენ, განგაში მაშინვე რომ არ ატეხეს.

ახლა კი „მილიონ ჩემტა“ საქართველოდან გერმანელებმა უნდა გაიტანონ. ფული შემოკლებიათ ფრიცებს. ვერავინ დაგვაჯერებს, რომ ის ფული, რომელიც ვითომ „დინამომ“ „მრეტებს“ უნდა გადაუხადოს, ვაჟა ჩხაიძეს, ანაც „მრეტებს“ მოხმარდება. ფული ფრიდრიხ ბოიმელს და მის იურიდიულ ფირმას ეკუთვნის. სულის მღაფავ „მრეტებს“, რომელსაც კლუბი პირობითად თუ შეიძლება ეწოდოს, შაურიც არ ერგება. პირიქით, ბოიმელმა ამდენ ხანს კლუბი იმიტომ შეინარჩუნა, რომ „მილიონ ჩემტა“ მარკეებში დიდი ფულია.

როცა მკითხველი ამ სტრიქონებს წაიკითხავს, უეფას საბოლოო ვერდიქტი უკვე გამოტანილი იქნება. დავით კვინიკაძე, ფედერაციის გენსეკი კი ციურიხიდან თბილისისკენ მოფრინავს. ორშაბათს პასუხიც ყველას ეცოდინება. კვინიკაძე ამ საკითხთან დაკავშირებით საგანგებო პრესკონფერენციას მოაწყობს.

თუმცა ერთიც ძალიან დამაფიქრებელია. ფედერაციამ ამ სკანდალს საერთაშორისო უწოდა. უეფა ამტკიცებს, არავითარი სხვა, ეს ამბავი ორ ქართულ კლუბს ეხება და თქვენ გაარკვიეთო. ეტყობა, კვინიკაძე თბილისიდან ჩამოყალიბებული პასუხით გაემგზავრა, უეფასაც წარუდგინა და ამიტომ ამბობენ, საერთაშორისო საქმეო. ისევ რაღაც თამაშია, ისევ ნაცნობი სურათი.

კი, ბატონო, ვითამაშოთ, მაგრამ საქმე საბოლოოდ რომ წახდეს, პასუხს ვინ აგებს, აი, რა არის საკითხავი.

31 აგვისტო, ორშაბათი, კვირის პირველი, ცოცხლი დღე. ვისთვის იქნება ეს დღე „ბოლო“, „მრეტებისთვის“, ფედერაციისთვის თუ „დინამოსთვის“?!

მამუკა ძვანტალიანი

ღმერთმა გვიმრავლოს!

თბილისი
28 აგვისტო
17 საათი
ისანი
1000 (ტევადობა 5000)

არსენალი 2:5 იბერია

1:0, 2:0 კაკაშვილი (33, 14), 2:1 სადილიანი (57), 2:2 ივეჩიანი (72), 2:3, 2:4 ჩომახიძე (75, 80), 2:5 ხუჭუა (87)

არსენალი: ჩლაიძე, ლაცაბიძე, ცერცვაძე, ვ. გველესიანი, მ. თევზაძე, მ. მაისურაძე (ამირიძე 75), ყოლბაია, ლომიძე, კორღალიძე (ყუფარაძე 60), კაკაშვილი (გ. სულაძე 65), ტარიელაშვილი

სათადარიგონი: აბაშიძე, ქიქავა, დ. კაპანაძე

იბერია: ჩაჩუა, გაბრიჭიძე (ნიკოლეიშვილი 19), მიქელთაძე (გ. ლურსმანაშვილი 46), გეგეშიძე, ს. გიგიაძე, ბრეგვაძე, ჩომახიძე, ხუჭუა, ვ. გიგიაძე, დარასელია, სადილიანი (ივეჩიანი 60)

სათადარიგონი: ა. ლაბაძე, მუმლაძე, ნ. გიორგაძე, ჩიქობავა

გაფრთხილებები: გველესიანი (10), ლომიძე (11), ყოლბაია (26), ნიკოლეიშვილი (58), ხუჭუა (69), თევზაძე (79)

გაძევება: გველესიანი (21)

მსაჯები: თ. ლორთქიფანიძე, ა. ქარქაშაძე, ზ. მენთეშაშვილი; ე. სილაგავა (ყველა თბილისი)

სფფ-ს დელეგატი: ჯ. ანთიძე

ვანო ოქროპირიძე

მეოთხე ტურის გახსნის მატჩი — „არსენალი“-„იბერია“ ქართული ფეხბურთის გულშემატკივრებში არც ისე დიდ ინტერესს იწვევდა. მიზეზი ნათელია, ლიგის დებიუტანტმა „არსენალმა“ ჩემპიონატი უფერულად დაიწყო. მართალია, იგი მხოლოდ „დინამოსთან“ დამარცხდა, მაგრამ არც სხვა შეხვედრებში შეუქმნია რამე დასამახსოვრებელი. რაც შეეხებათ სამტრედიელებს, მათ პირველი ორი მატჩი კი მოიგეს, მაგრამ წინა ტურში „ვიტ ჯორჯიასთან“ 1:4 განადგურების შემდეგ, განსაკუთრებულს არავინ ელოდა, თუმცა... ეს შეხვედრა ალბათ მეათე ჩემპიონატში ერთ-ერთ საუკეთესოდ ჩაითვლება, ღმერთმა ქნას, ასე არ იყოს.

ამ მატჩში იყო ყველაფერი, რაც ამშვენებს ფეხბურთს — ტემპი, ყვითელწითელი ბარათები, ლამაზი კომბინაციები და ულამაზესი გოლები.

შეხვედრა ორმხრივი შეტევებით დაიწყო. უკვე მესამე წუთზე ყოლბაია მარცხენა ფრთაზე გავიდა და კარის გასწვრივ ჩაწოდა, კაკაშვილმა შექმნილი არეულობით ისარგებლა, ძლიერად დაარტყა, მაგრამ ბურთი ერთ-ერთ მცველს ხელზე მოხვდა და მსაჯმაც პენალტი დანიშნა. კაკაშვილმა იგი უნაკლოდ შეასრულა და ანგარიში გახსნა. წუთის შემდეგ სოსო გიგიაძემ დარასელია მეკარეს შეატოვა, მაგრამ მსაჯმა თბილისელები გიგიაძესთან უხეშობისთვის დააჯარიმა და „იბერიას“ შეტევა ჩაუშალა. ორ წუთში ჩომახიძემ 20-22 მეტრიდან შესრულებული ჯარიმა ხარიხას გაარტყა, ამას „არსენალის“ შეტევა მოჰყვა, ყოლბაიამ კარგი პასით კაკაშვილი ჩაჩუასთან პირისპირ დატოვა, მაგრამ სამტრედიელები ძელმა იხსნა, კაკაშვილისვე დამატებულიც ძელს მოხვდა. ორ წუთში მაისურაძის პასით კაკაშვილი კვლავ მეკარესთან პირისპირ დარჩა, მაგრამ ამჯერად ჩაჩუას ხელებში დაუმიზნა. 14-ე წუთზე კაკაშვილი მესამედ აღმოჩნდა იგივე სიტუაციაში, ახლა უკვე კორღალიძის ჩინებული პასით. არსენალელმა ეს შანსი ხელიდან აღარ გაუშვა და მახვილი კუთხიდან ბურთი შორეულში გაგზავნა — 2:0. ამის შემდეგ თითქმის ყველამ საქმე მოთავებულა ჩათვალა, მაგრამ თბილისელები არ ცხრებოდნენ და გამუდმებით უტევდნენ. იმავე კაკაშვილს და ტარიელაშვილს რამდენჯერმე შეეძლოთ ანგარიშის გასამება. ვერ მოახერხეს. თავის მხრივ სამტრედიელებიც ცდილობდნენ შეტევას, მაგრამ მასპინძლები უხეში თამაშით უშლიდნენ. ერთ-ერთ ასეთ უხეშობას 21-ე წუთზე გველესიანის გაძევებაც მოჰყვა, მაგრამ კაცნაკლულობას „არსენალისთვის“ ხელი არ შეუშლია, ანგარიშის გაზრდაზე ეფიქრა. „იბერიას“ ტაიმის მიწურულს შეეძლო სხვაობის შემცირება. ჯერ ნიკოლეიშვილის პასით დარასელია გავიდა ერთი-ერთზე, მაგრამ ძუკუმ ბურთი წინ გაიგდო და ჩლაიძემ დაასწრო. შემდეგ ხუჭუამ ააცილა ოდნავ თავით. პირველი ნახევარი კი ძუკუს ძლიერად დარტყმული ჯარიმით დასრულდა, მაგრამ მასპინძლები ჩლაიძემ იხსნა.

მეორე ტაიმი დუნედ დაიწყო. ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, თითქოს „იბერია“ შეურიგდა მარცხს და გუნდები თამაშს მშვიდად დაასრულებდნენ, თუმცა...

58-ე წუთიდან „იბერიამ“ ნამდვილი შტურმი დაიწყო. ნიკოლეშვილის კუთხურიდან ჩამოწოდებული დარასელიამ სადილიანს დაუგორა, რომლის საჯარიმოს გარედან ფარტყმული ცხრიანში შევარდა. ამას ბრეგვაძის შორიდან გასროლილი მოჰყვა, ჩლაიძემ ბურთი კუთხურზე გაჭირვებით მოიგერია. ცოტა ხანში ხუჭუამ ივეჩიანი გაიყვანა მეკარესთან პირისპირ, მაგრამ მსაჯი შეცდა, ოფსაიდი დააფიქსირა. ორ წუთში ხუჭუას ჩაწოდებული მასპინძელ მცველს ხელზე მოხვდა და კუთხურზე გავიდა, მაგრამ, სამტრედიელთა პროტესტის მიუხედავად, მსაჯმა პენალტი არ დანიშნა. კუთხურიდან ჩამოწოდებული ვასო გიგიაძემ თავით დაარტყა, ჩლაიძემ ფანტასტიკურად მოიგერია, თუმცა ივეჩიანის დამატებულს თბილისელებმა ვეღარაფერი მოუხერხეს — 2:2. ამის შემდეგ „არსენალი“ აირია, „იბერიას“ კი პირიქით, სტიმული მიეცა და შეუტია. 75-ე წუთზე ჩომახიძე მეურვეს გასცდა, საჯარიმოში შეჭრილმა წინ გამოსულ ჩლაიძეს თავზე გადაუტარა და ლამაზი გოლი გაუტანა. ხუთ წუთში იმავე ჩომახიძემ ლაცაბიძესა და ყოლბაიას თავბრუ დაახვია და მეკარეს ახლო კუთხეში მეოთხე ბურთი შეუგდო. მატჩის მიწურულს ბრწყინვალედ მოთამაშე ჩომახიძემ ფლანგზე გაინავარდა და ხუჭუას თავზე დაასვა ბურთი, რომელმაც ნახტომში მეხუთედ გაიტანა.

ასე რომ, სამტრედიელებმა შეუძლებელი შეძლეს და ჯერ ორბურთიანი სხვაობა გაქვითეს, მერე კი... სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ „არსენალი“ ასეთ მარცხს არ იმსახურებდა, მიუხედავად იმისა, რომ მეორე ტაიმში მართლაც უნიათოდ გამოიყურებოდა.

ღმერთმა გვიმრავლოს ასეთი მატჩები.

პაატა ჯინჭარაძე: ტორპედო ჩემპიონობისთვის იბრძოლებს

ტორპედოელი შემტევი მარჯვენა მცველი პაატა ჯინჭარაძე საქართველოს მეათე ჩემპიონატის აღმოჩენად უნდა ჩაითვალოს. თუმც სპეციალისტებმა მისი თამაშს ჯერ კიდევ „ტორპედოს“ ინტერტოტოზე გამოსვლისას მიაქციეს ყურადღება. თუ ამ ბიჭმა ასე გააგრძელა, იგი უცილოდ დიდ ფეხბურთს ითამაშებს — ამგვარი გახლავთ ფეხბურთში მოღვაწე იმ ადამიანთა შეხედულება, ვინც უშუალოდ იხილა პაატა მინდორზე

პაატა ჯინჭარაძე
დაიბადა 1974 წლის 21 ოქტომბერს თბილისში
პირველი მწვრთნელი: ვალერი ნადირაძე
თამაშობდა: „სიხარული“, „მორკინალი“, „აპები“ და „აშა“ (ორივე კვიბროსი)
ჰობი: მუსიკა

— კვიბროსში როგორ აღმოჩნდით?

— „მორკინალში“ თამაშისას ჩემს თანაგუნდელს გორედძე ნატროშვილს ჰყავდა მენეჯერი კვიბროსში და მასთან დამაკავშირა. სწორედ ამ კაცმა მოახერხა ჩვენი კუნძულზე ჩაყვანა. მე და გოდოლაც ერთ გუნდში აღმოვჩნდით. პირველი სეზონი „აპებში“ გავატარეთ, შემდეგ კი „აშას“ ღირსებას ვიცავდით. უნდა ითქვას, რომ ძალიან დაბალი დონის კლუბები იყო და კლასის ამაღლებაზე ფიქრიც წარმოუდგენელი გახლდათ. ფაქტობრივად მარტო მიხდებოდა თამაში და დამეთანხმებით, ფეხბურთელისთვის ამგვარი მოქმედება ძნელიცაა და არასასურველიც. ამის გამო გადავწყვიტე საქართველოში დაბრუნება და ჩემი მომავლის ისეთ გუნდთან დაკავშირება, რომელიც საპრიზო ადგილებისთვის იბრძოლებდა.

— თქვენი ბედიც „ტორპედოს“ დაუკავშირეთ და კონტრაქტიც გაგაფორმეთ.

— ჩემი მენეჯერის დათო ქარაულის რჩევითა და დახმარებით მოვხვდი ქუთაურთა გუდში. ჯერჯერობით „ტორპედოსთან“ ერთწლიანი კონტრაქტი მაკავშირებს.

— სხვა ქართველი ფეხბურთელებისგან განსხვავებით ფიზიკური კონდიციებით აშკარად ძლიერად გამოიყურებით.

— ასეთ მომზადებას თბილისის „მორკინალში“ თამაშისას მივაღწიე და ეს უდავოდ ელგუჯა გუგუშვილის დამსახურებაა. სწორედ მისი მწვრთნელობის დროს ჩამომიყალიბდა კარგი ფიზიკური კონდიციები და დღემდე შევძელი ფორმის შენარჩუნება.

— როგორ შეეწყვეთ თანაგუნდელებს?

— არავითარი პრობლემა ამ მხრივ არ მქონია. კლუბში ძალიან მეგობრული ატმოსფეროა. ბიჭებიც და ხელმძღვანელობაც კარგად ვუგებთ ერთმანეთს და შედეგიც სახეზეა. მგონი, ძლიერი გუნდი გვყავს და ალბათ პირველი ადგილისთვისაც ვიბრძოლებთ.

— რა იყო თქვენი აზრით „ტორპედოს“ „ლომელთან“ დამარცხების მიზეზი?

— არ ვიცი რას დავაბრალო. ამის შესახებ მრავალი ვერსია გამოითქვა, ყველას თავისი აზრი და შეხედულება აქვს. ზოგმა თქვა, ფეხბურთელებს ფული დროზე არ გადაუხადეს და ამიტომ არ მოინდომესო, ზოგმა კიდევ — იქ მოგებული მატჩის შემდეგ ძალების სრულად მობილიზებას სერიოზულად არ მიუდგნენო და ასე შემდეგ. იცით? ყველა ამგვარ მიდგომაში არის რაღაც სიმართლის პატარა მარცვალი, მაგრამ, ჩემი აზრით, მარცხის მთავარი მიზეზი უიღბლობა იყო. იმ დღეს ფორტუნა გაგვიდგა, თორემ ცუდად ნამდვილად არ გვითამაშია.

— დღესდღეობით მატერიალური თვალსაზრისით გუნდში როგორი სიტუაციაა?

— პირობები, შეიძლება ითქვას, უკეთესობისკენ მიდის. ჩვენს პრეზიდენტს რომელიღაც ბანკმა აღუთქვა თანამშრომლობა და ამ მხრივ ინტენსიური მუშაობა მიმდინარეობს. ამბობენ, „ტორპედო“ ფინანსურად კიდევ უფრო მოძლიერდებაო. იმედია, შედეგს ფეხბურთელებიც ვიგრძნობთ. ისე კი სიტუაცია დღეისათვის ნორმალურია.

— შენმა თამაშმა სპეციალისტთა მოწონება დაიმსახურა. ეროვნული ნაკრების თავკაცობა ხომ არ შეგხმიანებიათ?

— ჯერჯერობით არა. ვფიქრობ, თვითონ „ტორპედო“ აჩვენებს კარგ ფეხბურთს და ჩემ თამაშსაც გუნდი განაპირობებს.

— თქვენს პირად მიზნებზეც გვითხარით...

— პირველ რიგში მინდა, ჩემს ოჯახს დავუფასო ამაგი, ჩემი მიზანია, გამოვადგე ერს და სახელი დავტოვო ქართულ ფეხბურთში.

ხვიჩა სანიკიძე

მეორე ჯგუფი

დასავლეთი

„ა“ ქვეჯგუფი

I ტური

26 აგვისტო
მაღაროელი — საირმე 0:0
მარგვეთი — ჩიხურა 5:0
იმერეთი — სამგურალი 2 1:3
გაგრა — ოკეანე 2:0
ტორპედო 2 — იბერია 2 3:1
სულორი — რაჭა 1:0
მეშახტე — რიონი გადაიდო

„ბ“ ქვეჯგუფი

I ტური

26 აგვისტო
მერცხალი — ბახმარო 5:1
ფაზისი — კოლეჯი 3:1
სქური — ოდიში 2 2:1
ენგური — სალხინო 1:0
სამეგრელო — კოლხეთი 2 4:0
ეგრისი — შუქურა 2:0

ცენტრალური

I ტური

26 აგვისტო
ივერია — მესხეთი 6:2
ცხუმი — იბერია (თბილისი) 2:3
ლოკომოტივი 2 — საუ 2:3
იბერია (ქარელი) — ჟინერი 3:0
დილა 2 — განთიადი 1:3
27 აგვისტო
ვარძია — დინამო 2 1:4
ცხინვალი — თორი 4:1

აღმოსავლეთი

I ტური

26 აგვისტო
შსს აკადემია — მრეტები 3:0
არსენალი 2 — კახეთი 2:1
ყვარელი — ჭაბუკიანი 1:1
დინამო 3 — შავნაბადა 1:2
ალგეთი — ხალიბი 0:1
27 აგვისტო
უნივერსიტეტი — ქანგკო 4:1
ალაზანი — ღარწყალი 0:3

გიო ახვლედიანის

სვეტი

ლიგის შორიახლოს

არ მოხდა, არ გამოვიდა — „დინამო“ მაინც ვერ შევიდა ჩემპიონთა ლიგაში, თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ „დინამო“ ასეთი თავდავიწყებით არასოდეს გაწეულა ლიგისკენ, ასე ახლოსაც არასოდეს ყოფილა და ასეთი დრამატული ბრძოლაც არასოდეს ჰქონია დიდი ტურნირის ზღურბლზე.

ცოტა გაწყდა და ესპანეთის ვიცე-ჩემპიონს ქუდსაც დავახურავდით. აი, ხომ მოახერხა ფინელთა ლიდერმა „მეცისთვის“ ფრეს გაგორება? ფინელი ლიგაშია, „დინამოს“ კი იქამდე სულ ცოტა დააკლდა.

და არ გინდოდა ამის წარმოდგენა? — ჩვენი ფეხბურთის პრობლემებით, ლიგაში. და მაინც, „დინამომ“ იმდენი მოახერხა, რომ ოცნება (თავისიც და გულშემატკივრისაც) ლამის ხილული გახადა. წილისყრაში გავერეოდით, ევროპის საუცხოო სტადიონებზე ვითამაშებდით, ფულს ფულად ავაჩხრიალებდით, ტრანსფერი ცალკე იქნებოდა.

ხედავთ, რა მუდმივ წევრად არის ლიგაში უცნაური და უხერხული „რუსენბორგი?“ ხედავთ, რარიგ მიიწევს იქეთ ზაგრების „კროაცია“? კარგი იქნებოდა, ჩვენც ამათ შორის გავსულიყავით. ასეთ შემთხვევაში „დინამოსკენ“ ბევრი მოიხედავდა. განა ჩემპიონთა თასს დავუმიზნებდით? არა. ხვალინდელ დღეს. ლიგა ამის გარანტიაა.

რა თქმა უნდა, „დინამო“ უნდა ეცადოს და შეინარჩუნოს სალიგო სულისკვეთება. უეფას თასისთვის ბრძოლაც ხომ ბრძოლაა. ერთხელ და სამუდამოდ, ყველამ უნდა დაიჯეროს, რომ გასვლაზე ხუთი ბურთის გაშვების დრო წარსულს ჩაბარდება. ეს დრო წარსულს თავად ფეხბურთელებმა უნდა ჩააბარონ. „ატლეტიკთან“ თამაშებში გამოჩნდა ორი-სამი დინამოელი, უაღრესად თანამედროვედ ირჯებოდა მოედანზე. თანაც, ეს ხდებოდა ქართულ გუნდში და არა „აიაქსში“ ან სადმე სხვაგან.

იმედები, იმედები...

რომ არ ყოფილიყო ის ოხერი ხოსება, რომ არ ყოფილიყო ფერნანდესი, რომ არ ყოფილიყო... მაგრამ ფეხბურთში არ ითვლება „რომ არ ყოფილიყო“. ფეხბურთში ითვლება „იყო“. და ამ შემთხვევაში „დინამო“ „იყოს“ შეეწირა. ყველაფერი რაც იყო, კარგიც და სასარგებლოც, ცუდიც და უსარგებლოც, „დინამოსთვის“ საკმარისი არ შეიქნა. ჩვენს გუნდს არასოდეს ჰქონია იმის ბედი, რომ სადმე გამძვრალიყო, საფეხბურთო წარმატება ყოველთვის დიდი წვალებით მიიღწეოდა. შემთხვევითობა არასოდეს ყოფილა ჩვენს მხარეს და თუმცა ამბობენ, ბედი ძლიერს უყიმისო, ფეხბურთში სხვაგვარადაც მომხდარა ხოლმე.

მეორე მხრივ კი, ლიგას სულაც არ აინტერესებს, მოხვდება თუ არა იქ დინამოსდარი გუნდი. სკამები ისე იდგმება ჩვენს სტადიონზე, რომ გეგონება, კოსმოსურ ხომალდს ვაშენებდეთ. საზოგადოება გაჭაღარავდა ლუჭსების თვლაში. „დინამოს“ არ ჰყავს თუნდაც ორი ათასი ისეთი ქომაგი, მისი თანხლება რომ შეეძლოს უცხო სტადიონებზე. თბილისი ვერ მიიღებს ათი ათას მანჩესტერელ ფანს, ათი ათას მადრიდელ ინჩასს, ან ტურინელ ტიფოზის. სიღარიბე და თავმოუბმელობა პრობლემაა.

და მაინც, მიუხედავად ყველაფრისა, მიუხედავად ჩვენი უხეირო ყოფისა, ლიგა ასე ახლო იყო. ფეხბურთი ასეთი თამაშია, მას ბევრი ჯერის დანგრევა შეუძლია. ამისთვის მხოლოდ ის არის საჭირო, რომ მოედანზე ივარგო. ივარგებ და გაგიკვირდება კიდეც, რომ არა მხოლოდ მოედანზე მოგიგია, არამედ მის გარეთაც მოგიგვარებია არაერთი პრობლემა.

თუ „დინამო“ ამ გზით მიდის, ხომ კარგი, არა და ბურთის მომაბეზრებელი გორების ცქერას კარგა ხანია ნაჩვევი ვართ. მაგრამ ჩვენმა ჩემპიონმა ისე იჭიდავა, რომ ჩანს, აშკარად სურს თავი შეახსენოს საერთაშორისო ფეხბურთს: იყო ასეთი გუნდი, იყო ასეთი დრო — ჩვენ მათ ნაკვალევს მივყვებით!

ეს კი საუცხოო რამ იქნებოდა, ჩვენთვის, ალბათ, იმაზე უკეთესი, ვიდრე ოთხმაბათობით უცხო არხებზე, უცხო გუნდების ქომაგობა.

„დინამო“ ბრუნდება, ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით ასე ჩანს.

პრჩანდადან ბილბაო ჩანს

ბასკეთში სულ სამი დღე გავატარე, მაგრამ ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე, გადავწყვიტე, კვლავ დავუბრუნდე ამ თემას და შეძლებისდაგვარად დაწვრილებით მოვითხროთ ამ ულამაზეს მხარეზე. ბასკეთი შვიდი პროვინციისაგან შედგება, რომელთაგან ოთხი საფრანგეთის ტერიტორიაზეა, სამი კი — ესპანეთის. ქართველთა და ბასკთა ნათესაობის ამბავი ალბათ მოგეხსენებათ, მაგრამ ორიოდე სიტყვით მაინც შეგახსენებთ. ძველ დროში ჯერ კიდევ ბერძნულ-რომაული ცივილიზაციის გაფურჩქვნამდე, ხმელთაშუა ზღვის მიმდებარე მიწები უდიდესი კულტურის ხალხის, პროტო-იბერების მიერ იყო დასახლებული, მეცნიერები მათ ცივილიზაციას მედიტერიანულსაც უწოდებენ. შემდეგ სხვადასხვა მიზეზთა გამო ეს ხალხი სამ ნაწილად დაიყო. პირველი ნაწილი კავკასიაში დამკვიდრდა და ჩვენც მათი შთამომავლები ვართ, მეორე აპენინის ნახევარკუნძულზე წავიდა და რომის ჩრდილოეთით უდიდესი კულტურის სახელმწიფო — ეტრუსკთა იმპერია შექმნა, მესამე კი — პირინეის, იგივე იბერიის ნახევარკუნძულის რჩილოეთში დასახლდა. სამივე განაყოფს მეტად მძიმე პირობებში უხდებოდა ცხოვრება. ქართველთა ამბავი ვიცით. ბასკებს ჯერ სხვადასხვა ბარბაროსი ტომები უშრობდნენ სისხლს, შემდეგ რომაელები, ბოლოს ფრანგთა და ესპანელთა გავლენის და ინტერესების სფეროში მოხვდნენ. მათ სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მიუხედავად სისხლისმღვრელი ომებისა, საუკუნეების მანძილზე თვითმყოფადობა შეინარჩუნეს და დღესაც არავის ეჩაგვრინებიან, თუმცა მათი ყველაზე დიდი სურვილი და ოცნება — დამოუკიდებელი სახელმწიფო — ცოტა არ იყოს, ძნელი შესასრულებელია. იმედს კი ბასკები არ კარგავენ და ღმერთმაც იქნებ შეისმინოს მათი ალალი ვედრება. რაც შეეხება ეტრუსკთა იმპერიას, ის თავიდან ძალიან ხელსაყრელ გარემოში იყო და თავის ნათესავთაგან ყველაზე მეტადაც განვითარდა, ცოტა ხანში კი რომის გაძლიერებამ და ეტრუსკთა გულხელდაკრეფილობამ, ავითარებულობამ და მიმნდობლობამ (ალბათ გეცნოთ ჩვენთვისაც დამახასიათებელი თვისებები) თავისი ქნა — რომის იმპერიამ დაიპყრო და ეტრუსკმა ხალხმაც ასიმილაცია განიცადა.

ასე რომ, დავრჩით მარტო ქართველები. ისეთი გრძნობა დამეუფლა, თითქოს ძალიან ნაცნობ მხარეში მივდიოდი.

ძალიან გავდა იქაური ბუნება ჩვენსას. თვით ბილბაო ატლანტიკის ოკეანესა და მთებს შორისაა გაშენებული. ტერიტორია ბასკეთში სულ სამი დღე გავატარე, მაგრამ ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე, გადავწყვიტე, კვლავ დავუბრუნდე ამ თემას და შეძლებისდაგვარად დაწვრილებით მოვითხროთ ამ ულამაზეს მხარეზე. ბასკეთი შვიდი პროვინციისაგან შედგება, რომელთაგან ოთხი საფრანგეთის ტერიტორიაზეა, სამი კი — ესპანეთის. ქართველთა და ბასკთა ნათესაობის ამბავი ალბათ მოგეხსენებათ, მაგრამ ორიოდე სიტყვით მაინც შეგახსენებთ. ძველ დროში ჯერ კიდევ ბერძნულ-რომაული ცივილიზაციის გაფურჩქვნამდე, ხმელთაშუა ზღვის მიმდებარე მიწები უდიდესი კულტურის ხალხის, პროტო-იბერების მიერ იყო დასახლებული, მეცნიერები მათ ცივილიზაციას მედიტერიანულსაც უწოდებენ. შემდეგ სხვადასხვა მიზეზთა გამო ეს ხალხი სამ ნაწილად დაიყო. პირველი ნაწილი კავკასიაში დამკვიდრდა და ჩვენც მათი შთამომავლები ვართ, მეორე აპენინის ნახევარკუნძულზე წავიდა და რომის ჩრდილოეთით უდიდესი კულტურის სახელმწიფო — ეტრუსკთა იმპერია შექმნა, მესამე კი — პირინეის, იგივე იბერიის ნახევარკუნძულის რჩილოეთში დასახლდა. სამივე განაყოფს მეტად მძიმე პირობებში უხდებოდა ცხოვრება. ქართველთა ამბავი ვიცით. ბასკებს ჯერ სხვადასხვა ბარბაროსი ტომები უშრობდნენ სისხლს, შემდეგ რომაელები, ბოლოს ფრანგთა და ესპანელთა გავლენის და ინტერესების სფეროში მოხვდნენ. მათ სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მიუხედავად სისხლისმღვრელი ომებისა, საუკუნეების მანძილზე თვითმყოფადობა შეინარჩუნეს და დღესაც არავის ეჩაგვრინებიან, თუმცა მათი ყველაზე დიდი სურვილი და ოცნება — დამოუკიდებელი სახელმწიფო — ცოტა არ იყოს, ძნელი შესასრულებელია. იმედს კი ბასკები არ კარგავენ და ღმერთმაც იქნებ შეისმინოს მათი ალალი ვედრება. რაც შეეხება ეტრუსკთა იმპერიას, ის თავიდან ძალიან ხელსაყრელ გარემოში იყო და თავის ნათესავთაგან ყველაზე მეტადაც განვითარდა, ცოტა ხანში კი რომის გაძლიერებამ და ეტრუსკთა გულხელდაკრეფილობამ, ავითარებულობამ და მიმნდობლობამ (ალბათ გეცნოთ ჩვენთვისაც დამახასიათებელი თვისებები) თავისი ქნა — რომის იმპერიამ დაიპყრო და ეტრუსკმა ხალხმაც ასიმილაცია განიცადა.

ასე რომ, დავრჩით მარტო ქართველები. ისეთი გრძნობა დამეუფლა, თითქოს ძალიან ნაცნობ მხარეში მივდიოდი.

ძალიან გავდა იქაური ბუნება ჩვენსას. თვით ბილბაო ატლანტიკის ოკეანესა და მთებს შორისაა გაშენებული. ტერიტორია

MARCA

„ატლეტიკი“ — „დინამო“. ერთ რამედ ურსაისის და ზვიად ჯელაძის დუელის ხილვაც ღირდა

დიდი არ უკავია, მაგრამ დახვეწილი, კოხტა არქიტექტურით და სისუფთავით იპყრობს ყველა ტურისტის გულს. მისი დატოვება ყველას უჭირს და ერთხელ მაინც დაბრუნების სურვილი ყველას ებადება.

სასტუმროში რომ დავბინავდით, მასალა გადმოსაცემი მქონდა, უკვე გვიანიც იყო და ამიტომ ბილბაოს დათვალიერება მეორე დღისთვის გადავიდო. იმ საღამოს კი პატარა უსიამოვნებაც მომიხდა სასტუმროს მომსახურე პერსონალთან. სტატია გავამზადე, რედაქციაში დავრეკე ხუთ წუთში ფაქსს ელოდეთ-მეთქი და ნომრიდან ქვევით ჩავედი. რა გნებავთო, მკითხეს. ფაქსი გამაგზანინეთ-მეთქი. გამომართვეს და გვედენმა თუ იცის ჩვენი ნათესაობის შესახებ, მაგრამ იმედია, ამ „ნაკლს“ გამოასწორებენ.

„ატლეტიკის“ საწვრთნელმა ბაზამ აღგვაფრთოვანა. არა, განსაკუთრებულად ლამაზმა შენობებმა კი არ განგვაცვიფრა, არამედ იმ სულმა და სიტუაციამ, რაც იქ სუფევდა. გულშემატკივრების დიდი სიყვარული ყველაფერში იგრძნობა. ყველაფერს, რაც კი „ატლეტიკთანაა“ დაკავშირებული, უდიდესი მოწიწებით ეპყრობიან. მათი კერპების თითოეული ვარჯიში ხომ ნამდვილი დღესასწაულია.

საღამოთი კი „დინამოს“ ვარჯიშს დავესწარით. სტადიონზე მისულებს ერთი ესპანელი ნამეტნავად გაოფლილი დაგვხვდა. რასაკვირველია, დავინტერესდით. ყველას ჰყავს თავისი კოლორიტული გულშემატკივარი და „ატლეტიკსაც“ ჰყოლია. ხოსე თურმე ყველა იქ ჩასულ გუნდს სასტუმროდან სტადიონამდე ფეხით მისდევს და „დინამო“ გამნაკლისი ხომ არ იქნებოდა. მეც ავდექი და სამახსოვრო ფოტო გადავიღე ხოსესთან და შემდეგ კიდევ შევხვდი დინამოელთა სასტუმროში. შეხვედრისას ესპანურად მივესალმე — „ოლა, ხოსე!“. შემომხედა და მითხრა — „ოლა არაო“. შემრცხვა, ვიფიქრე, სწორად ვერ გამოვთქვი-მეთქი, მაგრამ ხოსემ დამამშვიდა, მე „ოლა“ კი არა, „გამარჯობა“ უნდა მითხრაო. ამ კაცს აუღია და ქართველთაგან ქართული სიტყვები ჩაუწერ-დაუსწავლია. მეტად სასიამოვნოდ განმაცვიფრა ბილბაელმა ხოსემ.

თამაშის დღემდე ბილბაო ხალხმრავლობით ვერ დაიკვეხნიდა. ეტყობა, ყველა დასასვენებლად იყო წასული. ოთხშაბათს კი ქალაქი ხალხმა წალეკა. ალბათ, ყველა ახლომახლო მცხოვრები ბასკი ჩამოვიდა მატჩზე დასასწრებად. სტადიონზე, რომელიც მართლაც მშვენიერი რამ არის, ორმოცი ათასამდე ბასკი ერთ ამბავში იყო. მიკვირს და მიხარია, რომ „დინამოზე“ ამან ვერანაირი ზეგავლენა ვერ მოახდინა.

თამაშის მერე კი ბილბაო „ატლეტიკის“ ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრას ზეიმობდა. ჩვენებურთა წარმატების შემთხვევაში ასეთი ამბავი თბილისში დატრიალდებოდა. ქალაქში გავიარეთ. ერთ-ერთ ქუჩაზე (და მხოლოდ აქ) ყველა ბარი და კაფე ღია იყო, უკრავდა მუსიკა, მღეროდნენ ბასკები... ისე, მენაგვეთაც საკმაო საქმე გამოუჩნდათ. მთელი ქუჩა ლუდისა და სხვა სასმელის ბოთლებით და ჭიქებით გაივსო. ამისთანა სიხარული გვენახა და ამას თბილისშიც ავიტანდით (არც ისე გვაკლია)...

გაიოზ თალაკვაძე
ბილბაო — თბილისი

კითხვა-პასუხი

— *რატომ დამირეკე?*

— საქმე მქონდა.

— *აბა, მოგედი, რა გინდა?*

— ეგრე უცბად არ ითქმება, სალაპარაკოა.

— *აბა, რა?*

— პრეზიდენტად უნდა დაგნიშნო.

— *პრეზიდენტი ხომ გვყავს?*

— არა, საფეხბურთო კლუბის პრეზიდენტად.

— *რომელი საფეხბურთო კლუბის პრეზიდენტად.*

— გუშინ დავაარსეთ უბანში.

— *და მერე ეგ შეიძლება?*

— როგორ არა. ვისაც უნდა, ის დააარსებს. ბიჭებმა პივა ამოიტანეს და ლაპარაკს მოჰყვა... ჰოდა დავაარსეთ.

— *რა დაარქვით?*

— „თბილისი ჰოთსპური“.

— *ეგ რას ნიშნავს?*

— ეგ ნიშნავს, თქვენი ჯიგარი დავხიეო.

— *რა კარგია. მე რატომ უნდა დამნიშნოთ?*

— სათვალე გიკეთია. მეცნიერი კაცი ხარ. ძველი დრო რომ იყოს, ჩხაკუნას დავნიშნავდით, მარა ჩხაკუნა ზის და ახლა რაც ნასწავლი ხარ, უკეთესია.

— *ეს რა არის?*

— გალსტუკი მოგიტანე. უგალსტუკოდ არ შეიძლება.

— *რა?*

— რა და კლუბის პრეზიდენტობა. ვიდი უნდა გქონდეს.

— *არ მინდა ეგ შენი პრეზიდენტობა.*

— რატომ?

— *ფეხბურთის არაფერი გამეგება და იმიტომ.*

— ფეხბურთი კი არ უნდა ითამაშო. სავარძელში უნდა ჩაჯდე და უყურო. მერე ჟურნალისტები მოვლენ და შეგეკითხებიან. შენ მსაჯს გალანძღავ, მოწინააღმდეგესაც, იტყვი, რომ ჯერ კიდევ ყველაფერი არ გითქვამს და მორჩა.

— *მეტი არაფერი?*

— კიდევ იტყვი, რომ შენი ფეხბურთელებით უცხოელი სელექციონერები დაინტერესდნენ, ოღონდ ჯერ ვერაფერს დაამატებ.

— *კაი ხელობა ყოფილა.*

— აბა, რას გეუბნებოდი?

— *და ჩვენ გუნდში ვინ ითამაშებს?*

— ჩვენ.

— *ვინ ჩვენ? მე თამაში არ ვიცი.*

— ჩვენა, ჩვენი უბნის ბიჭები.

— *ჩვენ რა უნდა ვითამაშოთ?*

— თუ ძმა ხარ... ნახავ, თუ ინტერტოტო არ გავქაჩეთ, ნახავ.

— *ინტერტოტო რა არის?*

— აი, ვისაც მოუნდება, რომ ითამაშოს.

— *მაგას რა გაქაჩვა უნდა?*

— ნახავ, თუ არ მოუნდება.

— *იცი, რა, არ მომწონს ეგ საქმე.*

— რატომ?

— *მაგას ჯობდა სოფთბოლი დაგვეარსებინა.*

— რატომ?

— *სოფთბოლი აქ არავინ იცის და თავიც არ მოგვეჭრებოდა.*

— შენ საიდან იცი?

— *ამერიკაში რომ ვიყავი, იქ ვნახე.*

— არა, არა, შენ უნდა იყო ჩვენი კლუბის პრეზიდენტი.

— *და გაზა?*

— გაზა რა შუაშია?

— *რა ვიცი, ყოველთვის გეკითხები და ახლაც გკითხე.*

— სისულელეებს მოეშვი. ჩვენი პრეზიდენტი ხარ.

— *ეს რა ბუცები და გეტრები ჩაგიცვამს?*

— ფეხბურთის თამაში დავიწყე.

— *ამ ხნის კაცი რამ გადაგრია?*

— მე ძველი მოთამაშე ვარ, ბავშვობისას „ტყავის ბურთი“ მომიგია.

— *ახლა რას აპირებ?*

— ახლა ერთი კაცი დამპირდა, რომელიმე გუნდში მოგაწყობო.

— *რად გინდა ეს ყველაფერი?*

— ხელფასი მაინც მეჭნება.

— *რა ხელფასია ასეთი?*

— არის ზოგჯერ. ეგეც არ იყოს და ვარსკვლავად გახდომა დავაპირე.

— *ეგ როგორ გამოვა?*

— მთავარია სეზონში ხუთი ბურთი გავიტანო.

— *და ვარსკვლავი გახდები?*

თასების თასი. მეოექვსმეტედფინალი
17 სექტემბერი — 1 ოქტომბერი

Cup Winners' Cup

რუდარი (სლოვენია) — ვარტექსი (ხორვატია)
პანიონისი (საბერძნეთი) — ჰაკა (ფინეთი)
რიდი (ავსტრია) — მტკ (უნგრეთი)
ლევსკი (ბულგარეთი) — კოპენჰაგენი (დანია)
ჰერენვენი (ჰოლანდია) — ამიცა (პოლონეთი)
ჰართსი (შოტლანდია) — მალიორკა (ესპანეთი)
ჩელსი (ინგლისი) — ჰელსინგბორგი (შვედეთი)
დუისბურგი (გერმანია) — გენკი (ბელგია)
ბეშიქთაში (თურქეთი) — სპარტაკი (სლოვაკეთი)
რაპიდი (რუმინეთი) — ვალერენგა (ნორვეგია)
აპოლონი (კვიპროსი) — იაბლონეცი (ჩეხეთი)
ნიუკასლი (ინგლისი) — პარტიზანი (იუგოსლავია)
ლაციო (იტალია) — ლოზანა (შვეიცარია)
პსჟ (საფრანგეთი) — მაკაბი (ისრაელი)
მეტალურგსი (ლატვია) — ბრაგა (პორტუგალია)
ცსკა (უკრაინა) — ლოკომოტივი (რუსეთი)

რა აზრი აქვს?

თასების მფლობელთა თასის გათამაშების საკვალიფიკაციო ეტაპის საპასუხო მატჩებში განსაკუთრებული არაფერი მომხდარა. იმ გუნდების უმეტესობამ, რომლებსაც პირველი შეხვედრები მოგებული ჰქონდათ, აქაც იოლად სძლიეს მეტოქეებს. გამოსაყოფი მხოლოდ რამდენიმე მატჩი იყო. პირველ რიგში უკრაინული ცსკა უნდა აღვნიშნოთ. კიეველებს ორი კვირის წინ „კორკ სიტისთან" ირლანდიაში წაგებული ჰქონდათ 1:2 და გუშინწინ 2:1 მაინც უნდა მოეგოთ, დამატებითი დრო რომ დანიშნულიყო. მათ მართლაც მოახერხეს ორი გოლის გატანა და მეტიც, საკუთარი კარი მშრალად შეინახეს. პირველად ირლანდიელთა გოლკიპერი მე-40 წუთზე ახალგაზრდა ციხმეისტრუკმა დატოვა უშანსოდ, ხოლო მატჩის განახლებიდან 11 წუთში უკრაინული ფეხბურთის ვეტერანმა ვიქტორ ლეონენკომ მეტოქის კარი მეორედ აიღო. ცსკა-ს ამის შემდგომაც ჰქონდა ანგარიშის გაზრდის საშუალება, მაგრამ იმ დღეს მეტის გაკეთება ვეღარ მოახერხა.

მეტად დაძაბული გამოდგა მატჩი კვიპროსში, სადაც „აპოლონი" ლიტვურ „ეკრანასს" მასპინძლობდა. პირველი შეხვედრა სტუმრებს შინ მინიმალური ანგარიშით 1:2 ჰქონდათ წაგებული, მაგრამ ფარ-ხმალი არ დაუყრიათ და ბოლომდე იბრძოლეს. ისინი თამაშის დაწყებისთანავე ეკკეთნენ კვიპროსელებს და უკვე მე-9 წუთისთვის კალინიშევასის და ვილენისკის გოლების წყალობით 2:0 იგებდნენ. „ეკრანასმა" პირველი ტაიმის დარჩენილი დროც შეტევებში გაატარა და მეორეც აქტიურად დაიწყო, მაგრამ დაცვაში დაშვებული უხეში შეცდომის გამო 51-ე წუთზე თერთმეტმეტრიანი „აიკიდა" და სპოლიარიჩმაც აუოელვებლად შეაგდო. თხუთმეტიოდე წუთში კავაზისმა გაათანაბრა, ხოლო მატჩის დასრულებამდე ერთი წუთით ადრე იმავე სპოლიარიჩმა საერთოდ წინ გაიყვანა მასპინძლები. ლიტველი ვარნსის მიერ მსაჯის დამატებულ დროში გატანილ გოლს უკვე არანაირი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა.

თასთა თასის მეოექვსმეტედფინალში გასასვლელად ისლანდიურ „კეფლავიკს" შინ ლატვიის „ლიეპაასთან" ორი ბურთის სხვაობით მოგება სჭირდებოდა, იგებდა კიდეც 29-ე წუთზე 1:0-ს და მეორეს გასატანად მთელი ტაიმნახევარი წინ ჰქონდა, მაგრამ ამისთვის ძალა, გამოცდილება და იღბალი არ ეყო.

სხვა შეხვედრებში საინტერესო არაფერი მომხდარა. მხოლოდ ერთი უნდა აღვნიშნოთ — ჩვენი მეზობელი აზერბაიჯანის თასის მფლობელმა „ყარაბაღმა" დანიურ „კოპენჰაგენთან" ორი მატჩის ჯამში 0:10 (!) წააგო. განა აზრი აქვს ასეთი გუნდების ევროტურნირებში მონაწილეობას?

დაკით კოვზირიძე

REUTERS-ის გალერეიდან

ჰიბერნიანსი — ამიცა. სობინსკი (მარცხნივ) მალტელებზე მაღლა ახტა

თასების თასი. საკვალიფიკაციო ეტაპი
საპასუხო მატჩები. 27 აგვისტო

Cup Winners' Cup

ცემენტი (სომხეთი) — *ლოზანა (შვეიცარია)* 1:2 (1:5)
კონსტრუქტორული (მოლდოვა) — *რუდარი (სლოვენია)* 0:0 (0:2)
ჰელსინგბორგი (შვედეთი) — ვადუცი (ლიხტენშტაინი) 3:0 (2:0)
ცსკა (უკრაინა) — *კორკ სიტი (ირლანდია)* 2:0 (1:2)
აპოლონი (კვიპროსი) — ეკრანასი (ლიტვა) 3:3 (2:1)
გენკი (ბელგია) — აპოლონია (ალბანეთი) 4:0 (5:1)
ჰაკა (ფინეთი) — ბანგორ სიტი (უელსი) 1:0 (2:0)
ვიტებსკი (ბელარუსი) — *ლევსკი (ბულგარეთი)* 1:1 (1:8)
კეფლავიკი (ისლანდია) — *ლიეპაია (ლატვია)* 1:0 (2:4)
რაპიდი (რუმინეთი) — გრეევენმახერი (ლუქსემბურგი) 2:0 (6:2)
ჰართსი (შოტლანდია) — ლანტანა (ესტონეთი) 5:0 (1:0)
ჰიბერნიანი (მალტა) — *ამიცა (პოლონეთი)* 0:1 (0:4)
მტკ (უნგრეთი) — გოტუ (ფარერები) 7:0 (3:1)
მაკაბი (ისრაელი) — გლენტორანი (ჩრდ. ირლანდია) 2:1 (1:0)
სპარტაკი (სლოვაკეთი) — ვარდარი (მაკედონია) 2:0 (1:0)
ყარაბაღი (აზერბაიჯანი) — *კოპენჰაგენი (დანია)* 0:4 (0:6)

უეფას თასი. მეორე საკვალიფიკაციო ეტაპი
საპასუხო მატჩი. 27 აგვისტო

UEFA CUP

ისთანბული (თურქეთი) — *არჯეში (რუმინეთი)* 4:2 (0:2)

დიდი ომები გაჩაღდება

თასების თასის გათამაშებისგან განსხვავებით, სადაც საინტერესო და დაძაბული მატჩების მომსწრენი იშვიათად ვხდებით, აქ კბილთა ღრჭენა ხშირია. უშუალოდ თამაშები როგორი იქნება, ძნელი სათქმელია, თუმცა ძლიერმა გუნდებმა რომ მოიყარეს თავი, ფაქტია.

საინტერესოა იტალიური „უდინეზეს" და გერმანული „ლევერკუზენის" შებმა.

უდინელები უეფას თასზე გასულ სეზონშიც მონაწილეობდნენ, მაგრამ ამსტერდამის „აიაქსთან" მერვედფინალში დამარცხდნენ. სხვათა შორის ის, რომ სერია A-ს მესამეადგილოსანმა მაშინ თასისკენ სვლა ვერ გააგრძელა, ქართველის დამსახურებაა — შოთა არველაძის ლამაზი გოლი ალბერტო ძაკერონის ყოფილი გუნდისთვის დამღუპველი გამოდგა.

თუ ამ წყვილის ერთი გუნდი ქართველის გამო დამარცხდა, მეორემ, ანუ „ლევერკუზენმა" თბილისის „დინამო" გააცამტვერა. მართალია, საპასუხო შეხვედრა ჩვენებმა მოიგეს, მაგრამ რალას გვშველდა.

არანაკლებ დაძაბული იქნება ლევერკუზენელთა თანამემამულის „შტუტგარტისა" და ჰოლანდიური „ფეიენოორდის" შეხვედრები. ჰოლანდიური და გერმანული კლუბების ევროტურნირებზე დაპირისპირების მანძილზე უმეტესწილად გერმანელები აღწევდნენ წარმატებას, შიგადაშიგ კი საძულველ მეტოქეზე ჰოლანდიელნიც ზეობდნენ. ძნელი სათქმელია, რა იქნება ახლა — წინასწარ ამას თუ ვიტყვით, ორივე მატჩი დაძაბული იქნება.

აქამდე უეფას თასის მიმოხილვებს თითქმის ყოველთვის ფოთელთა მიწასთან გამსწორებელი „ცრვენა ზვეზდათი" ვიწყებდით, ახლა კი მათ პირველობის პატივი ჩამოერთვათ და შედარებით ქვემოთ გადაინაცვლეს. და მაინც, ყველაფრის მიუხედავად, იუგოსლაველებს ფრანგული „მეცის" დამარცხება არ უნდა გაუჭირდეთ. მართალია, ბელგრადელებს საკმაოდ ახალგაზრდული კლუბი ჰყავთ, მაგრამ „მეცთან" მათი გამარჯვება უფრო რეალურია, ვიდრე ფრანგებისა. თუ ფინურ ჰიკ-ს არ გაუჭირდა საფრანგეთის ვიცე-ჩემპიონის დამარცხება, ბელგრადელებს პრობლემები რატომ უნდა შეექმნათ?

წესით და რიგით, კარგი სანახავი უნდა გამოდგეს „ფიორენტინას" და „ჰაიდუკის" შეხვედრაც. იტალიელებიც და ხორვატებიც შემტევ ფეხბურთს თამაშობენ, თან ტაქტიკურად საკმაოდ კარგადაც არიან მომზადებულნი, ასე რომ, თუ მოხდა და „ჰაიდუკმა" აპენინელები დაამწუხრა, ეს მაინცდამაინც საგანგაშო არ უნდა იყოს.

საკმაოდ ადვილად დასაძლეევი მეტოქენი შეხვდათ ინგლისურ კლუბებს, ერთადერთი, ვისაც შეიძლება პირველი ბარიერის გადალახვა გაუჭირდეს, ეს „ბლეკბერნია". მისი მეტოქე „ლიონი" მაინცდამაინც სუსტი გუნდი ნამდვილად არ არის. სხვა მხრივ, „ლივერპულს" სლოვაკურ „კოშიცესთან" არ უნდა გაუჭირდეს, არც „ასტონ ვილას" მძლეველი ჩანს ნორვეგიული „სტრომსგოდსეტი". რაც შეეხება „ლიდსს", ალბათ პორტუგალიურ „მარიტიმუს" ადვილად დაამარცხებს.

ლაშა გოდუაძე

უეფას თასი
ოცდამეთორმეტედფინალი. 15-29 სექტემბერი

UEFA CUP

სპარტა (ჩეხეთი) — სოსიედადი (ესპანეთი)
ფენერბაჰჩე (თურქეთი) — პარმა (იტალია)
ბლეკბერნი (ინგლისი) — ლიონი (საფრანგეთი)
დინამო (რუსეთი) — სკონტო (ლატვია)
გიმარაეში (პორტუგალია) — სელტიკი (შოტლანდია)
შტუტგარტი (გერმანია) — ფეიენოორდი (ჰოლანდია)
არჯეში (რუმინეთი) — სელტა (ესპანეთი)
სილკებორგი (დანია) — რომა (იტალია)
ლოძი (პოლონეთი) — მონაკო (საფრანეთი)
ანდერლეხტი (ბელგია) — გრასჰოპერი (შვეიცარია)
ლიტექსი (ბულგარეთი) — გრაცი (ავსტრია)
ფიორენტინა (იტალია) — ჰაიდუკი (ხორვატია)
ასტონ ვილა (ინგლისი) — სტრომსგოდსეტი (ნორვეგია)
სერვეტი (შვეიცარია) — ცსკა (ბულგარეთი)
შალკე (გერმანია) — სლავია (ჩეხეთი)
ცრვენა ზვეზდა (იუგოსლავია) — მეცი (საფრანგეთი)
კოშიცე (სლოვაკეთი) — ლივერპული (ინგლისი)
სპორტინგი (პორტუგალია) — ბოლონია (იტალია)
მარიბორი (სლოვენია) — ვისლა (პოლონეთი)
ვეილე (დანია) — ბეტისი (ესპანეთი)
ბორდო (საფრანგეთი) — რაპიდი (ავსტრია)
ატლეტიკო (ესპანეთი) — ობილიჩი (იუგოსლავია)
ბეითარი (ისრაელი) — რეინჯერსი (შოტლანდია)
ლიდსი (ინგლისი) — მარიტიმო (პორტუგალია)
უდინეზე (იტალია) — ლევერკუზენი (გერმანია)
სტიაუა (რუმინეთი) — ვალენსია (ესპანეთი)
ციურიხი (შვეიცარია) — ანორთოსისი (კვიპროსი)
უპეშტი (უნგრეთი) — ბრიუგე (ბელგია)
ვიტესი (ჰოლანდია) — აეკ (საბერძნეთი)
ვერდერი (გერმანია) — ბრანი (ნორვეგია)
მარსელი (საფრანგეთი) — სიგმა (ჩეხეთი)

ჩვენზე გამოუცდელნი

თბილისელთა მეტოქე ჰოლანდიურ გრანდებს რომ არ განეკუთვნება, უცხო არავისთვისაა. მაგრამ მას იმ ლიდერთა ოთხეულს, რომელსაც 1956 წლიდან მოყოლებული 42 ჩემპიონატშივე უთამაშია, კიდევ 7 გუნდი აშორებს. „აიაქსს", „ეინდჰოვენს", „ფეიენოორდს" და „სპარტას" „ტვენტე", „გრონინგენი", „მასტრიხტი", „ბრედა", „უტრეხტი", „როდა" და „გოუ ეჰედი" მოჰყვება.

ჰოლანდიური უმაღლესი ლიგის 42-წლიან ისტორიაში „ტილბურგს" („ვილემ II"-ს „სარბიელი" მეტწილად სწორედ ასე იხსენიებს) 808-ჯერ უთამაშია, აქედან 240 მატჩი მოუგია, 188 ფრედ დაუმთავრებია და 370 წაუგია. ტილბურგელებმა 1175 გოლი გაიტანეს და 1462-ჯერ დამწუხრებულებმა განაახლეს ცენტრიდან თამაში. ეს „ტილბურმა" იმ 24 ჩემპიონატში გააკეთა, რომლებშიც უმაღლეს დივიზიონში თავმომწონეობდა. ისე კი „ვილემ II" ზევით-ქვევით ხშირად მოგზაურობდა, თუმცა, ბოლო 18 წლის მანძილზე ერთადერთხელ გავარდა და ძლიერთ ამა ქვეყნისა მთელი სამი ძლით დაშორდა.

„ტილბურგი" ევროტურნირებში მხოლოდ მეორედ მონაწილეობს. პირველად ეს იმდენი ხნის წინათ იყო, ბევრს აღარც არავის ახსოვს და გუშინ ერთ-ერთმა ჰოლანდიურმა სააგენტომ ასეთი ინფორმაცია გაავრცელა: ევროთასების დებიუტანტი „ვილემ II" უეფას თასის მფლობელ (ეს შეცდომაც უნდა მივუტევოთ) ქართულ თბილისის „დინამოს" შეხვდაო.

ეს იყო მთელი 34 წლის წინ, 1963-64 წლების გათამაშებაში. რაგინდ გასაკვირიც უნდა იყოს, „ტილბურგს" ბედის უკუღმართობამ ერთხელაც სწორედ მაშინ უწია და თასების თასის მეთექვსმეტედფინალში თვით „მანჩესტერ იუნაიტედს" უკვე გავარდნილმა უმასპინძლა. დიდი იყო მასპინძელთა მონდომება და „იუნაიტედს" ფრეც გაუგორეს, თუმცა 1:1-ს მალე 1:6 მოჰყვა და მათი სვლა ევთროთასებზე ასე ნაადრევად და უსახელოდ დამუხრუჭდა.

მაშინ თასების თასის საგზური „ტილბურგმა" ჰოლანდიის თასის ფინალში სტუმრად „დენ ჰააგის" 3:0 ძლევით მოიპოვა. ეს გახლდათ ჩვენებურთა მეტოქის ასე ნანატრი, თუმცა არა პირველი და ერთადერთი ტიტული. თასი ტილბურგელებს ერთხელაც, 21 წლით ადრე, გაგანია მეორე მსოფლიო ომისას მოეგოთ. ჩემპიონობა კი ერთხელ ათიან წლებში და ორჯერ, წლის გამოტოვებით 50-იანი წლების შუაწელში მოეპოვებინათ. თუმც, როგორც უკვე მოგახსენეთ, ეს ჰოლანდიური ლიგის შექმნამდე გახლდათ, ანუ, მაშინ, როცა ჰოლანდიელები ერთმანეთთან თამაშში თუ გამოიჩენდნენ თავს, თორემ ევროსარბიელზე ჯერაც არაფერი ესაქმებოდათ.

ბოლო დაბრუნება უძლიერესთა შორის „ტილბურგმა" ბოლო 31 წელიწადში არნახული აღმასვლით აღნიშნა. მაშინ, როცა თბილისის „დინამო" საბჭოური ჩემპიონატის ათეულში ვეღარ ხვდებოდა (და ევროტურნირებს მხოლოდ საქართველოს ჩემპიონის რანგშიღა დაუბრუნდა), „ტილბურგი", ოდენ „ეინდჰოვენს", „აიაქსს" და „ტვენტეს" რომ ჩამორჩა, 1988 წელს მაინც ევროთასებს მიღმა დარჩა. საბჭოურზე ჰოლანდიური ფეხბურთის გამარჯვების, ანუ სუპერტრიოს და კომპანიის ტრიუმფალური ზაფხულის წინ ქვეყნის თასს ოთხეულს მიღმა დარჩენილი „ფეიენოორდი" დაეუფლა და უეფას თასის საგზურისთვის ამაოდ გარჯილი „ტილბურგი" პირშიჩალაგამოვლებული დატოვა.

ბოლო ათი წელი „ტილბურგისთვის" ძველებური ზიგზაგინი გზის თელვას დაემსგავსა. ამ ხნის განმავლობაში „ვილემ II" ათეულში სამად-სამჯერ მოხვდა და ამ ზღვარს ოღონდაც ორი თუ სამი საფეხურით ორჯერ ასცდა.

წლეულსაც მეხუთეადგილოსანი „ტილბურგი" უევროთასებოდ დარჩებოდა, რომ არა ჩემპიონთა ლიგა და მისით გამოწვეული ერთი უცნაურობა. ასე კი, ბურთების უკეთესი სხვაობით „ჰერენვენის" დამჩაგვრელ „ტილბურგს" ევროთასთა საგზური მეექვსეზე გასვლისასაც გარანტირებული ჰქონდა. მიზეზი? კი მართალია, თასის ფინალში ჩემპიონთა ლიგის ბინადრები „აიაქსი" და „ეინდჰოვენი" შეიბნენ, მაგრამ რაკი თასების თასზე მონაწილე წაგებულ ნახევარფინალისტთა ბრძოლაში „უტრეხტის" ძლევით „ჰერენვენმა" გამოავლინა, „ტილბურგს" თავი მაინც ქუდში ჰქნონდა.

წლევანდელის შედეგის მიღწევა ვინც განაპირობა, ლამის ყველა ამ საზაფხულო ტრანსფერისას გუნდიდან გაილალა. იტალიის, ინგლისის თუ ჰოლანდიისავე ძლიერ გუნდებში გადასულთა ნაცვლად კი „ტილბურგმა" ძირითადად იაფი ფეხბურთელები შეიძინა. მათგან გამოსარჩევი ჰენრი ვან დერ ვეგტში გაცვლილი მაროკოელი ადილ რამზი თუა.

ჰოლანდიის წლევანდელი ჩემპიონატი „ვილემმა" მარცხიანად დაიწყო. სეზონის გახსნის მატჩში „ამსტერდამ არენაზე" პირდაპირ „აიაქსს" ჩაუვარდა ხახაში და კიდევ კარგად გადაურჩა, ოდენ 0:2 წააგო. გოლები, გეხსომებათ, შოთა არველაძემ და დენი ბლინდმა გაიტანეს. ვილემელთა შემადგენლობა კი ასეთი გახლდათ: ვან ფესემი — ვიქტორია, შენინგი, ჰიიპია, შეკერი — ჰილი (შულპი 81), გალაშეკი, არტსი; ლოფენი, რამზი, ფალკი.

ვახტანგ ბზიკაძე

ვილემ II
ტილბურგი, ჰოლანდია

დაარსდა: 1896 წელს
სტადიონი: ვილემ II (14 700)
პრეზიდენტი: იან ვულინგსი
მწვრთნელი: კო ადრიაანსე
ჩემპიონი (3): 1916, 52, 55
თასის მფლობელი (2): 1944, 63

ტილბურგი 98

მეკარეები
ჯიმი ვან ფესემი
კრის მაპეი — ბლგ

მცველები
რაინდერ ჰენდრიკსი
დელანო ჰილი
სამი ჰიიპია — ფინ
იუკა კოსკინენი — ფინ
ჯეფრი პრომაიონი — ტლდ
მარკ შენინგი
რაიმონდ ვიქტორია

ნახევარმცველები
არნო არტსი
სკოტ კალდერვუდი — ინგ
ტომაშ გალაშეკი — ჩეხ
ჰუუბ ლოფენი
იშტვან შეკერი — უნგ
მარსელ ფალკი

თავდამსხმელები
იასინ აბდელაუი — მარ
მარიო ბომბარდა — არგ
იატო კესეი — გამ
მარკო ჰერინგი
ერვინ ჰერმესი
მარინო პრომესი
ადილ რამზი — მარ
ოსმან სანუ — ბრფ
დენის შულპი

ტრანსფერი 98

მოვიდნენ: ადილ რამზი (უდინეზე, იტალია) იასინ აბდელაუი (რაიო ვალეკანო, ესპანეთი), მარიო ბომბარდა (გრონინგენი), რაინდერ ჰენდრიკსი, რაიმონდ ვიქტორია (ორივე გრაფსხაპი), ერვინ ჰერმესი (რიინსბურგ ბოისი), დელანო ჰილი (როდა), დენის შულპი (აიაქსი)

წავიდნენ: რადი აერტსი (ტელსტარი), ტაუფიკ ამეკაინი (აზ 67), ფერნანდო დერველდი (ჰაარლემი), იონას კოლკა (ეინდჰოვენი), ბერტ კონტერმანი (ფეიენოორდი), ჰენრი ვან დერ ვეგტი (უდინეზე, იტალია), კლაიდ ვინინჰარდი (ლიდსი, ინგლისი)

ტილბურგი ევროთასებზე

63-64 თთ 1/16	
მანჩესტერი (ინგლისი)	1:1, 1:6

ქართული კლუბები ჰოლანდიელთა წინააღმდეგ

72-73 უთ 1/32	
დინამო — ტვენტე	3:2, 0:2
80-81 თთ 1/2	
დინამო — ფეიენოორდი	3:0, 0:2
96-97 თთ 1/16	
ბათუმი — ეინდჰოვენი	1:1, 0:3

თ	მ	ფ	წ	ბ	გ
6	2	1	3	7-10	1

ვიერიმ იერიც შეიცვალა და კლუბიც

ინგლისური „ნიუკასლ იუნაიტედის“ ახალდანიშნულმა მთავარმა მწვრთნელმა რუუდ გულიტმა გუშინ ჟურნალისტებისთვის საგანგებო პრესკონფერენცია გამართა, რომელიც ძირითადად კლუბის სამომავლო მიზნებს შეეხებოდა.

მოგეხსენებათ, „ნიუკასლს“ აშკარა ჩავარდნა ჰქონდა, რითაც ერთგული გულშემატკივრების საფუძვლიანი გულისწყრომა დაიმსახურა. ინგლისის ნაკრების ყოფილი ფეხბურთელის — კენი დალგლიშის ხელმძღვანელობით მოთამაშე გუნდმა ჩემპიონობისთვის ბრძოლის მაგივრად, საქმე იქამდე გაირთულა, რომ ერთი ხანობა პრემიერ დივიზიონიდან გავარდნაც ემუქრებოდა.

რუუდ გულიტი: წარმატებებს უცებ ნუ მომთხოვთ!

სწორედ ასეთი უსუსური შედეგის გამო გაათავისუფლეს დალგლიში თანამდებობიდან და მის ნაცვლად ჰოლანდიის ნაკრებისა და „მილანის“ ყოფილ ვარსკვლავ რუუდ გულიტს უხმეს. „ჩხიკვების“ (ნიუკასლელთა მეტსახელია) ქომაგები „მფრინავი ჰოლანდიელის“ გამოჩენას მეტად დადებითად უყურებენ და ამიტომ ელოდნენ, რომ პრესკონფერენციაზე სანუგეშო დაპირებებს მოისმენდნენ.

დიპლომატიურობით გამორჩეულ გულიტს ბაქიობა არ დაუწყია და არც ციდან ვარსკვლავების მოწყვეტას დაჰპირებია ვინმეს. „ვიცი, ფანები შარშანდელი წარუმატებლობის შემდეგ ვერ ითმენენ და ერთი სული აქვთ, „ნიუკასლი“ კვლავ ფავორიტთა შორის იხილონ, მაგრამ ცხოვრებაში ყველაფერი ისე არ ხდება, როგორც გსურს. ვფიქრობ, კარგი ფეხბურთელებითა დაკომპლექტების მიუხედავთ წარმატების მიღწევას მცირე ხანში ვერ შევძლებთ.“ — განაცხადა გულიტმა, რომელმაც კატეგორიულად უარყო აქამდე გავრცელებული ინფორმაცია იმის თაობაზე, თითქოს კლუბში პრემიერ დივიზიონის სხვა წარმომადგენლების მსგავსად

REUTERS ნიუკასლიდან

რუუდ გულიტი „ნიუკასლის“ ფანებს არარეალურს არაფერს დაჰპირდა

დიდი რაოდენობით უცხოელი ფეხბურთელების მიწვევას აპირებდეს.

„როცა „ჩელსიში“ ვმუშაობდი, აქცენტი ძირითადად ახალგაზრდა ადგილობრივ კადრებზე მქონდა გადატანილი და მერწმუნეთ, ამასვე გავაკეთებ „ნიუკასლში“. მით უმეტეს, ალან შირერის მხარდაჭერა ამ ბიჭებს დიდ ფეხბურთში მოსვლა ერთიორად გაუადვილდებათ.“

რაც შეეხება ჩვენს სამომავლო გეგმებს, კიდევ ერთხელ ვიტყვი, რომ მცირე ხანში სასწაულების მოხდენას არ უნდა ველოდეთ. ეს უბრალოდ არარეალურია. ისე, ფეხბურთელების უშუალოდ ნახვისა და შემოწმების შანსი სულ მალე — მორიგ ტურში „ლივერპულთან“ შეხვედრისას მომეცემა, სადაც ალბათ ჩემეული გუნდის სავარაუდო შემადგენლობასაც დავადგენ“ — ასეთი სიტყვებით დაასრულა გულიტმა თავისი პირველი ოფიციალური შეხვედრა ნიუკასლის ბაზაზე.

ნისაში



REUTERS დუბაიდან

2 სექტემბერს იუგოსლავიის ნაკრები ამხანაგურად ეთამაშება შვეიცარიის გუნდს, ნაკრების ახალმა მწვრთნელმა მილან ზივადინოვიჩმა კი თადარიგი წინასწარვე დაიჭირა და შეკრებაზე 20 ფეხბურთელი გამოიძახა. რჩეულთა შორის 5 ახალწვეულია — „ოლიმპიაკოსის“ ბომბარდირი ილია ივიჩი, მისი თანაკლუბელი პრედრაგ ჯორჯევიჩი, „შტუტგარტში“ მოთამაშე კრისტიან ჯორჯევიჩი, „ვოივოდინას“ თავდამსხმელი და იუგოსლავიის ოლიმპიური ნაკრების კაპიტანი ნიკოლა ლაცეტიჩი და ბელგრადის „ცრვენა ზვეზდას“ მეკარე დრაგოსლავ ჟევრიჩი. რაც შეეხება ნაკრების მთლიან შემადგენლობას, იგი ასეთია: მეკარეები — ივიცა კრალი (პორტუ), დრაგოსლავ ჟევრიჩი (ცრვენა ზვეზდა); მცველები — ზორან მირკოვიჩი (იუვენტუსი), სლობოდან კომლიენოვიჩი (დუისბურგი), სიმიშა მიხაილოვიჩი (ლაციო), გორან ჯოროვიჩი (სელტა), ნიშა საველიჩი (ბორდო), ალბერტ ნადი (ბეტისი); ნახევარმცველები — სლავიჩა იოკანოვიჩი (ტენერიფე), პრედრაგ ჯორჯევიჩი (ოლიმპიაკოსი), კრისტიან ჯორჯევიჩი (შტუტგარტი), ვლადიმირ იუგოვიჩი (ატლეტიკო), სავო მილოშევიჩი (სარაგოსა), დრაგან სტოიკოვიჩი (ნაგოია); თავდამსხმელები — დარკო კოვაჩევიჩი (სოსიედადი), პრედრაგ მიატოვიჩი (რეალი), დეიან სტანკოვიჩი (ლაციო), ილია ივიჩი (ოლიმპიაკოსი), პერიცა ოგნიენოვიჩი (ცრვენა ზვეზდა), ნიკოლო ლაცეტიჩი (ვოივოდინა).

REUTERS რომიდან

დღეიდან ვიერი მსოფლიოს საუკეთესო მეკარეებს „ლაციოს“ ფორმაში გამოწყობილი დაამწუხრებს

იტალიის ნაკრების თავდამსხმელ კრისტიან ვიერისა და მის ამჟამინდელ კლუბ მადრიდის „ატლეტიკოს“ შორის არსებულ მეტად დაძაბულ ურთიერთობებზე „სარბიელის“ წინა ორ ნომერში უკვე გაცნობეთ. ისიც შეგატყობინეთ, რომ ესპანეთის დედაქალაქში მოვლენები რეაქტიული სისწრაფით იცვლება — ვიერი ხან მიდის, ხან რჩება, ხან ტირის და ხანაც იღიმის, ყველაფერ ამას კი გუნდის თავკაცი არიგო საკი და პრეზიდენტი ხესუს ხილი მთელი ამ ხნის განმავლობაში შესაბამის კომენტარებს ურთავენ. გულშემატკივრები, პრესა და საფეხბურთო წრეები კი ამ დროს სრულ გაუგებრობაში იყვნენ და არ იცოდნენ, ვის რა სურდა. და აი, როგორც იქნა, გადაწყდა ეს სამდღიანი პრობლემების მარათონი და არ შეცდებით, თუ ვიტყვით, რომ ვიერის სასარგებლოდ, რადგან მან თავისი სურვილი რეალობად აქცია და „ატლეტიკოს“ უფროსობას საშობლოში დაბრუნების უფლება დასტყუა. მოარული ხმების თანახმად, გასული სეზონის ესპანეთის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი კარიერას რომის „ლაციოში“ გაგრძელებს. მადრიდის „ატლეტიკოს“ მიერ გავრცელებულ ოფიციალურ განაცხადებში ნათქვამია: „კრისტიან ვიერის სურვილის შესაბამისად, კლუბმა გადაწყვიტა, გაუქმოს მასთან კონტრაქტი და მის მომავალთან დაკავშირებით რომის „ლაციოსთან“ გამართოს მოლაპარაკებები“.

ესპანურ მედიაში გაჟონა ინფორმაციამ, რომ ფეხბურთელის სანაცვლოდ მადრიდელები „ლაციოსგან“ დაახლოებით 30 მილიონ დოლარს მიიღებენ. სხვათა შორის, ვიერის გადაბირება რომაულ კლუბს ჯერ კიდევ ივლისის დასაწყისში უნდოდა, როდესაც მან მსოფლიოს ჩემპიონატზე ბრწყინვალედ იასპარეზა და ხუთ შეხვედრაში ხუთჯერ შეარხია მეტოქეთა კარის ბადე. მაშინ „ლაციო“ გაცილებით მეტს, 39 მილიონ დოლარს იხდიდა, მაგრამ ეს გარიგება არ შედგა, ხესუს ხილმა არ ისურვა გასულ სეზონში 24 გოლის გამტანი ვიერის გაშვება.

მაშ ასე, შეიძლება ითქვას, რომ ტრანსფერი შედგა. შედეგად „ატლეტიკო“ დასუსტდა, „ლაციო“ კი საგრძნობლად მოღონიერდა. ესპანელებს ახლა საკმაოდ დიდი პრობლემები აქვთ გადასაწყვეტი, მათ რაც შეიძლება მალე უნდა მოძებნონ ვიერის შემცვლელი (თანაც ღირსეული), რათა გუნდში მყოფ ორ უმაღლესი დონის ნახევარმცველს კიკო ნარვაესსა და ბრაზილიელ ჟუნინიოს მაღალი დონის თავდამსხმელი დაეხმაროს. წინააღმდეგ შემთხვევაში კარს მომდგარ ქვეყნის ჩემპიონატში (იგი ხვალ იწყება) „ატლეტიკოს“ საკუთარი ამბიციების დაკმაყოფილება ძლიერ გაუჭირდება.

აი „ლაციო“ კი ნამდვილ განცხრომაშია. განსაკუთრებით ძლიერი მისი წინა ხაზია. თავად განსაჯეთ — ვეტერანი რობერტო მანჩინი და „ბარსელონადან“ ახალგადასული ივან დე ლა პენია ნახევარდაცვაში, ხოლო შეტევის დამგვირგვინებელ ფაზაში „რივერ პლეიტიდან“ 12 მილიონ გირვანქად გადაბირებული ჩილელი მარსელო სალასი, ხორვატი ალენ ბოქშიჩი და კრისტიან ვიერი. ვერაფერს იტყვი, შთამბეჭდავი კომპანიაა. მოკლედ, ყველაფერ ამას თუ გავითვალისწინებთ (არც გუნდის შვედი თავკაცის, გამოცდილი სვენ გორან ერიქსონის დავიწყება იქნება), რომის „ლაციო“ წელს ადაც არ უნდა გამოჩნდეს, სკუდეტო იქნება, იტალიის თასი თუ ევროტურნირები, სრული უფლება აქვს, განაცხადოს, აი, მეც მოვედიო.

დავით ძოვზირიძე

არსენ ვენგერი: ჩვენ გაგვიმართლა!

მონტე კარლოში გამართულმა ჩემპიონთა ლიგაში მონაწილე გუნების წილისყრამ კლუბების წარმომადგენლები და გულშემატკივრები სხვადასხვა ხასიათზე დატოვა. ზოგი კმაყოფილია, ზოგი გულდაწყვეტილი, ზოგიც სიხარულისგან მეცხრე ცას ეწვია. როგორც აღმოჩნდა, ამ უკანასკნელთა რიგებშია ინგლისის ჩემპიონის და ასოციაციის თასის მფლობელის ლონდონის „არსენალის“ ფრანგი თავკაცი არსენ ვენგერი. შეგახსენებთ, რომ ჩემპიონთა ლიგის გათამაშების E ჯგუფში ინგლისურ კლუბთან ერთად კიევის „დინამო“, ფრანგული „ლანსი“ და საბერძნეთის „პანათინაიკოსი“ მოხვდნენ. კენჭისყრის ცერემონიალის დასრულების შემდეგ ვენგერმა ჟურნალისტებთან საუბრისას აღნიშნა: „ჩვენი ჯგუფით მეტად კმაყოფილი ვარ. შეიძლება ითქვას, გაგვიმართლა, რადგან ისეთი დონის გუნდები აგვცდნენ, როგორებიც მადრიდის „რეალი“, —ინტერი“, მიუნხენის „ბაიერნი“, „იუვენტუსი“, „ბარსელონა“ და „აიაქსია“. მართალია, ჩვენი პირველი მეტოქე, საფრანგეთის ჩემპიონი „ლანსი“, პირველ ექვსეულში იყო განთესილი, მაგრამ იგი თამაშის ხარისხით მაინც ჩამოუვარდება ზემოხსენებულ კლუბებს. არ უნდა დავივიწყოთ კიევის „დინამოც“, რომელმაც შარშან მშვენივრად იასპარეზა. არც „პანათინაიკოსია“ ხელწამოსაკრავი მეტოქე, მით უმეტეს მაშინ, როდესაც შინ თამაშობს. თუმც ჩვენ თავისუფლად შეგვიძლია საჭირო ქულების დაგროვება და ჯგუფში პირველ ადგილზე გასვლა. სწორედ ეს იქნება „არსენალის“ პროგრამა — მაქსიუმი“.

გარდა ამისა, ვენგერმა „სიკვდილის ჯგუფად“ შერაცხულ D ჯგუფზეც თქვა ორიოდ სიტყვა: „დასანანია, მსოფლიო საკლუბო ფეხბურთის სამი გრანდი ერთად რომ მოხვდა. მათგან ხომ მინიმუმ ერთი მეოთხედფინალს მიღმა უნდა დარჩეს. უპირატესობას ვერც ერთს მივანიჭებ, რადგან „ბაიერნიც“, „ბარსელონაც“ და „მანჩესტერ იუნაიტედიც“ ერთნაირი, უმაღლესი დონის გუნდებია“.

ნოდარ ძასრაძე



ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი VII ჯგუფი. **რუმინეთი - ლიხტენშტაინი**

რუმინეთის ნაკრების თავკაცმა, ვიქტორ პიტრუკამ ის ფეხბურთელები დაასახელა, რომლებიც 2 სექტემბერს შინ ლიხტენშტაინის ნაკრებთან თავიანთ ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის პირველ შეხვედრას გამართავენ, ხოლო სამი დღის შემდეგ ამხანაგურ მატჩში გერმანიის ეროვნულ გუნდს დაუპირისპირდებიან. განაცხადში ვერ მოხვდა რუმინელთა გამოცდილი მცველი, დანიელ პროდანი, რომელიც სულ ახლახან მადრიდის „ატლეტიკოდან“ შოტლანდიურ „რეინჯერსში“ გადავიდა. პიტრუკას თქმით, ამის მიზეზი ფეხბურთელის არადამაკმაყოფილებელი სათამაშო ფორმა ყოფილა. გაგაცნობთ რუმინეთის ნაკრების შემადგენლობას. მეკარეები: ბოგდან სტელია (სალამანკა, ესპანეთი), ბოგდან ლობონტი (ბუქარესტის რაპიდი); მცველები: კოსმინ კონტრა (დინამო, ბუქარესტი), დან პეტრესკუ (ჩელსი, ინგლისი), გეორგ პოპესკუ (გალათასარაი, თურქეთი), ლივიუ ჩობოტარიუ (დინამო), ფლორინ ბატრინუ (დინამო), იულიან ფილიპესკუ (გალათასარაი, თურქეთი); ნახევარმცველები: ოვიდიუ სბაუ (რაპიდი), ფლორენტინ პეტრე (დინამო), დენის სერბანი (სტიაუა), კონსტანტინ გალკა (ესპანიოლი, ესპანეთი), იონუტ ლუპესკუ (დინამო), კატალინ მუნტიანუ (სალამანკა, ესპანეთი), დორინელ მუნტიანუ (კიოლნი, გერმანია); თავდამსხმელები: ადრიან ილიე (ვალენსია, ესპანეთი), ვიორელ მოლდოვანი (ფენერბაჰჩე, თურქეთი), იონელ დანჩიულესკუ (სტიაუა).

გამოსაცდელი ვადით სათანამშრომლოდ ვიწვევთ

დამკაბადონებლად ვეძებთ სპორტის მცოდნე, მოწესრიგებულ, მარდ, გემოვნებიან მეგაზეთე ვაჟ სპეციალისტს

მსურველები შეგვეხმიანონ სამშაბათს ან ხუთშაბათს, 13-დან 17 საათამდე

ეს კარლ ჰაინც ჰელმნერია, რომელიც საფრანგეთის პოლიციამ ფრანგი წესრიგისდამცველის დანილ ნიველის ცემის გამო მსოფლიოს ჩემპიონატის დროს დაჟავა. ახლა გერმანელი ვაიგულშემატკივარი სასამართლოს წინაშე წარსდგება და საკადრისად დაისჯება

ისევ ორნი და სხვები

ესპანეთი

გუს ჰიდინკის „რეალი“ ლუის ვან გაალის „ბარსელონას“ აუცილებლად წაართმევს ჩემპიონობას! რატომ? წინა სეზონში „მფრინავ ჰოლანდიელს“ თანამემამულე მეტოქე არ ჰყავდა და მიტომაც დაჩაგრა სხვები ასე ადვილად. წლეულს კი ჰიდინკის გადამკიდე ძველებურად ვეღარ იპარპაშებს. მადრიდელთა



გუს ჰიდინკი

ქომაგებს ჰიდინკის დიდი იმედი აქვთ, სწამთ, რომ თითქმის ყველაფრის მომგები ვან გაალის ძლევის ხერხები სწორედ მან იცის.

თავგადაკლულმა ქომაგობამ ასე იცის, რაღაც ლეგენდისმაგვარი ამბავი დაირხევა გულშემატკივრებს შორის და მერე ჰყვებიან, გზადაგზა კი ალამაზებენ კიდეც. მადრიდელებსაც, უფრო სწორედ კი „რეალის“ მხარდამჭერებსაც, ჰოლანდიელი ჰიდინკი ჰოლანდიელი ვან გაალის მძლევლად შეუგულებიათ. ცოტა არ იყოს, სასაცილო სიტუაციაა, მაგრამ მაინც არის მასში სიმართლის მარცვალი — ეგებ სწორედ ჰიდინკმა მოახერხოს და „რეალს“ გასრულებულ პირველობაში შერცხვენა (მეოთხე ადგილი მაქვს მხედველობაში) წლევანდელი ჩემპიონობით ჩამოაშოროს. ვინ იცის?

სექტემბერში ჩემპიონთა ლიგა დაიწყება. იქ კი საში ესპანური კლუბი იქნება წარდგენილი. ქვეყნის ორი გრანდი — კატალუნიის სიამაყე „ბარსელონა“ ბასკური „ატლეტიკი“ და სამეფო გუნდი „რეალი“.

ევროპის ყველაზე პრესტიჟული თასის, ჩემპიონთა თასის წინა გათამაშებაში ლუის ვან გაალის „ბარსელონა“ ძალიან შერცხვა. ჯგუფის ფავორიტად შერაცხულმა ასპარეზობა სამარცხვინოდ დაასრულა, კიევის „დინამოსთან“ კი ორი მატჩის ჯამში 0:7 წააგო, რაც „ბარსელონას“ საევროტურნირო ისტორიაში უმძიმესი მარცხი აღმოჩნდა. გასულ შემოდგომასვე დაირხა ხმები ვან გაალის ესპანეთიდან წასვლის თაობაზე, თუმცა კლუბის პრეზიდენტი ხოსე ლუის ნუნიესი გამოცდილ მწვრთნელს ბოლომდე ენდო და არც უნანია — ოთხი წლის შესვენების შემდგომ დაბრუნებული ჩემპიონობა, ამასთანავე ქვეყნის თასიც, საბოლოო ჯამში კი 1959 წლის (!) შემდეგ პირველად შესრულებული „დუბლი“. სათაყვანებელი კლუბის ლიგაში მარცხმა შემოდგომაზე კატალონიაში დიდი მწუხარება გამოიწვია, რაც გაზაფხულზე უზომო სიხარულით შეიცვალა.

ბარსელონაში ახლა ჩემპიონთა თასს ითხოვენ, მაგრამ ამხელა წარმატებას რომ მიაღწიონ, უძლეველი უნდა იყო, „ბარსელონა“ კი ისეთი კლუბია, მუდამ გამარჯვებისთვის იბრძვის. უეჭველია, წლეულსაც ჩემპიონობა აქვს გულში ამოჭრილი, მაგრამ გასულ სეზონთან შედარებით ქვეყნის ჩემპიონს ტიტულის დაცვა უნდა გაუჭირდეს — კონკურენტები საგრძნობლად მომძლავრდნენ, ხოლო მადრიდის „რეალი“ ახლა გაცილებით ძლიერია, ვიდრე ადრე.

ივან დე ლა პენია, ფერნანდო კოუტუ, ალბერტ ფერერი, გილერმო ამორი, ხუან პიცი — ეს ის ფეხბურთელები არიან, რომელთა დახმარებაზეც ვან გაალმა უარი თქვა და სხვებს მიჰყიდა. ხუთივე მოთამაშე „ბარსელონაში“ საკმაოდ კარგად ირჯებოდა, თუმც, როგორც ჩანს, მწვრთნელმა მათი გასხვისება ამჯობინა, სანაცვლოდ კი ორი თანამემამულე, ეინდჰოვენის პსვ-დან ჩაიყვანა — ფილიპ კოკუ და ბუდევინ ზენდენიც მსოფლიოს ჩემპიონატზე მონაწილეობდნენ. ორივე კარგი მოთამაშეა, გარკვეულწილად უნივერსალებადაც შეიძლება ჩავთვალოთ. მათი შემატებით „ბარსელონამ“ ცხადია, იხეირა, მაგრამ კიდევ ერთი ჰოლანდიელი, აიაქსელი ფრენკ დე ბური რომ ჩაეგდო ხელში, სულ სხვა იქნებოდა. ფრენკი მეტად ნიჭიერი ფეხბურთელი და ძლიერი მცველია, ისეთი კატალუნიელთა დასნეულებულ დაცვას რომ უწამლებდა. „ბარსელონა“ ფრენკის გადაბირებას კვლავაც აპირებს, თუმცა დაპირისპირება „აიაქსთან“ ვისი გამარჯვებით დასრულდება, წინასწარ თქმა ძნელია.

რა შეიძლება ითქვას სამეფო კლუბ „რეალზე“? ძალიან ბევრი რამ, მაგრამ ვინაიდან ახლა კლუბების სეზონისწინა მზადებაზე ვსაუბრობთ, ჩვენც მადრიდელთა შორის მომხდარ ცვლილებებზე ვთქვათ. მთავარი, რაც „რეალში“ მოხდა ეს მწვრთნელთა ცვლაა — ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვების შემდეგ გერმანელი იუპ ჰაინკესი „დამსახურებულ პენსიაზე“ გავიდა, მისმა მემკვიდრე ხოსე ანტონიო კამაჩომ კი „რეალის“ მწვრთნელის რანგში მხოლოდ 22 დღე დაჰყო, შემდეგ კი ადგილი ჰოლანდელ გუს ჰიდინკს დაუთმო.

პირველი, რაც ჰიდინკმა გუნდში მისვლისას მოიმოქმედა, ეს დისციპლინის გამკაცრება იყო. წესრიგის გარეშე ჩვენ ვერაფერს მივაღწევთო, უთქვამს ჰოლანდიის ნაკრების ექსმწვრთნელს. წესრიგი და დისციპლინა იცოცხლე კარგია, მაგრამ საქმე თუ სწორად არ წარმართე, მაშინ ყველაფერს აზრი დაეკარგება. რაც შეეხება საქმის სწორად წარმართვას, „რეალი“, ვფიქრობთ, მართებული გზით მიდის.

რაოდენ საოცარიც უნდა იყოს, არც „რეალს“ და არც მის დაუძინებელ მტრად შერაცხულ მეტოქე „ბარსელონას“ წლეულს მაინცდამაინც არ გამოუჩენიათ თავი სატრანსფერო სეზონში. არადა, ერთი წლის წინ პირველები თუ არა, ერთ-ერთი ლიდერები მაინც იყვნენ. წლეულს „რეალმა“ მხოლოდ ერთი უცხოელი, ხორვატი რობერტ იარნი შეიძინა, სხვა მხრივ კი ძირითადად ძველებზე დაყრდნობა ამჯობინა.

„რეალიც“, ისევე როგორც „ბარსელონა“, მუდამ უმაღლესი მიზნებისთვის, ანუ გამარჯვებისთვის იბრძვის, გნებავთ შინაურ სარბიელზე, გნებავთ ევროპაში. ჩემპიონთა თასის სარეკორდოდ, მეშვიდედ მოპოვებამ მადრიდელებს ახალი იმედები გაუღვივა, იმედები იმისა, რომ გუს ჰიდინკის ბიჭები წლეულს ჩემპიონატს



ლუის ვან გაალი

გამარჯვებით დაასრულებენ და წინა სეზონის სამარცხვინო შედეგს არ გაიმეორებენ.

ჩემპიონთა თასი აუცილებლად „სანტიაგო ბერნაბეუზე“ უნდა დარჩეს! — მადრიდელთა მიზანი ამას გარდა ქვეყნის ჩემპიონობაცაა.

ამ შაბათ-კვირას ესპანეთის მორიგი ჩემპიონატი იწყება. ახლაც, ისევე როგორც ყოველთვის, პირველობას ორი ფავორიტი ჰყავს — „რეალი“ და „ბარსელონა“ (ბოლო 15 ჩემპიონატიდან 13 სწორედ ამ ორმა გუნდმა მოიგო), გამარჯვების უპირველეს კანდიდატებადაც სწორედ ეს ორი ითვლება, მაგრამ მათ გარდა არის სხვა კლუბებიც, გრანდთა ჭიდილში ჩარევა რომ ძალუძთ. იგივე ბილბაოს „ატლეტიკი“, იგივე მადრიდის „ატლეტიკო“, თუნდაც „ბეტისი“, კიდევ... მოკლედ, კომპანია სოლიდურია, სხვა ამბავია, რამდენად გაუძლებენ ისინი საკმაოდ გრძელ, მომქანცველ, პირველობას.

ერთი სიტყვით, იწყება! კვირას კი პირველი ტურია!

ლაშა გოდუაძე

№	გუნდი	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20
1	ალავესი		17.01	21.03	23.05	30.08	11.04	10.01	25.10	06.12	09.05	25.04	07.03	07.02	04.10	08.11	20.12	20.09	22.11	20.06	21.02
2	ატლეტიკი	13.06		02.05	30.05	24.01	13.12	01.11	14.08	18.10	03.01	16.05	29.11	15.11	13.09	27.09	14.03	31.01	28.02	04.04	18.04
3	ატლეტიკო	01.11	06.12		25.04	09.05	08.11	14.02	10.01	31.01	22.11	11.04	14.03	28.02	23.05	13.06	13.09	20.12	24.01	27.09	18.10
4	ბარსელონა	03.01	10.01	29.11		13.06	02.05	14.03	13.09	28.02	16.05	13.12	18.04	04.04	31.01	14.02	18.10	24.01	27.09	01.11	15.11
5	ბეტისი	31.01	20.06	13.12	17.01		16.05	04.04	27.09	14.03	30.05	03.01	02.05	18.04	14.02	28.02	01.11	13.09	18.10	15.11	29.11
6	დეპორტივო	15.11	09.05	04.04	06.12	20.12		27.09	13.06	13.09	25.04	22.11	01.11	18.10	10.01	24.01	14.02	23.05	31.01	28.02	14.03
7	ესპანიოლი	30.05	21.03	20.09	25.10	08.11	21.02		25.04	20.12	07.03	04.10	07.02	20.06	22.11	06.12	23.05	11.04	09.05	17.01	30.08
8	ესტრემადურა	14.03	20.09	30.05	07.02	21.02	17.01	29.11		15.11	30.08	20.06	03.01	13.12	07.03	01.11	18.04	04.10	04.04	02.05	16.05
9	ვალენსია	02.05	07.03	30.08	04.10	25.10	07.02	16.05	11.04		21.02	20.09	20.06	30.05	08.11	22.11	13.12	21.03	25.04	03.01	17.01
10	ვალიადოლიდი	13.12	23.05	18.04	20.12	10.01	29.11	18.10	31.01	27.09		02.05	15.11	01.11	24.01	13.09	28.02	13.06	14.02	14.03	04.04
11	ვილიარეალი	29.11	20.12	15.11	09.05	23.05	18.04	28.02	24.01	14.02	06.12		04.04	14.03	13.06	31.01	27.09	10.01	13.09	18.10	01.11
12	მალიორკა	18.10	25.04	25.10	22.11	06.12	21.03	13.09	23.05	24.01	11.04	08.11		27.09	20.12	10.01	31.01	09.05	13.06	14.02	28.02
13	ოვიედო	13.09	11.04	04.10	08.11	22.11	07.03	24.01	09.05	10.01	21.03	25.10	21.02		06.12	20.12	13.06	25.04	23.05	31.01	20.09
14	რასინგი	28.02	07.02	03.01	30.08	20.09	30.05	18.04	18.10	04.04	20.06	17.01	16.05	02.05		14.03	15.11	21.02	01.11	29.11	13.12
15	რეალი	04.04	21.02	17.01	20.09	04.10	20.06	02.05	21.03	18.04	07.02	30.08	30.05	16.05	25.10		29.11	07.03	15.11	13.12	03.01
16	სალამანკა	16.05	25.10	07.02	07.03	21.03	20.09	03.01	22.11	09.05	04.10	21.02	30.08	17.01	11.04	25.04		08.11	06.12	30.05	20.06
17	სარაგოსა	14.02	30.08	16.05	20.06	07.02	03.01	15.11	28.02	01.11	17.01	30.05	13.12	29.11	27.09	18.10	04.04		14.03	18.04	02.05
18	სელტა	18.04	04.10	20.06	21.02	07.03	30.08	13.12	08..1	29.11	20.09	07.02	17.01	03.01	21.03	11.04	02.05	25.10		16.05	30.05
19	სოსიედადი	24.01	08.11	21.02	21.03	11.04	04.10	13.06	06.12	23.05	25.10	07.03	20.09	30.08	25.04	09.05	10.01	22.11	20.12		07.02
20	ტენერიფე	27.09	22.11	07.03	11.04	25.04	25.10	31.01	20.12	13.06	08.11	21.03	04.10	14.02	09.05	23.05	24.01	06.12	10.01	13.09	

ტრანსფერები

ბარსელონა				
ფილიპ კოკუ	ჰოლანდია	ნ	ეინდჰოვენი	თავ. ტრანსფერი
ბუდევინ ზენდენი	ჰოლანდია	თ	ეინდჰოვენი	6,6 მილიონი $
ბილბაო				
ანდონი იმასი	ესპანეთი	ნ	სოსიედადი	2,0
სოსიედადი				
ხოსე გერერო	ესპანეთი	მც	სანტანდერი	
ლუის პაჩეკო	ესპანეთი	მც	ბადახოსი	1,3
რეალი				
რობერტ იარნი	ხორვატია	ნ	ბეტისი	5
ივან კამპო	ესპანეთი	მც	მალიორკა	5,2
მალიორკა				
არიელ ლოპესი	არგენტინა	მც	ჯენოა	2
ველიკო პაუნოვიჩი	იუგოსლავია	ნ	ატლეტიკო	1,5
გუსტავო სივიერო	არგენტინა	მც	ლანუსი	2
დანიელ გარსია ლარა	ესპანეთი	თ	რეალი	2
სელტა				
ფერნანდო კასერესი	არგენტინა	მც	ვალენსია	
კლოდ მაკალელე	საფრანგეთი	ნ	მარსელი	2,6
ლუბოსლავ პენევი	ბულგარეთი	თ	კომპოსტელა	2,3
ატლეტიკო				
ხოსე ანტონიო შამოტი	არგენტინა	მც	ლაციო	
ვლადიმირ იუგოვიჩი	იუგოსლავია	ნ	ლაციო	9,8
ზორან ნიეგუსი	იუგოსლავია	ნ	ცრვენა ზვეზდა	
სტეფანო ტორიზი	იტალია	მც	ბოლონია	3,1
მიკელე სერენა	იტალია	მც	ფიორენტინა	5
ფერნანდო კორეა	ურუგვაი	თ	სანტანდერი	
ბეტისი				
დენილსონი	ბრაზილია	ნ	სან პაულუ	34,8
ბენჟამენ სარანდონა	ესპანეთი	ნ	ვალიადოლიდი	9,8
ვალენსია				
სანტიაგო კანისარესი	ესპანეთი	მ	რეალი	თავ. ტრანსფერი
ალენ როში	საფრანგეთი	მც	პარი სენ ჟერმენი	1,3
სტეფან შვარცი	შვედეთი	ნ	ფიორენტინა	4,0
გაბრიელ პოპესკუ	რუმინეთი	ნ	სალამანკა	5,3
კრისტიანო ლუკარელი	იტალია	თ	ატალანტა	
საბინ ილიე	რუმინეთი	თ	ქოჩაელისფორი	2,1
იოაკიმ ბიორკლუნდი	შვედეთი	მც	გლაზგო რეინჯერსი	3,5
ესპანიოლი				
მარტინ პოსე	არგენტინა	თ	ველეს სარსფილდი	4,6
ვალიადოლიდი				
ხოსე ლუის კამინერო	ესპანეთი	ნ	ატლეტიკო	თავ. ტრანსფერი
დრაგან ისაილოვიჩი	იუგოსლავია	თ	პარტიზანი	1,8
დეპორტივო				
გაბრიელ შურერი	არგენტინა	მც	სანტანდერი	4,5
სტეფან ზიანი	საფრანგეთი	თ	ლანსი	4,6
ტურუ ფლორესი	არგენტინა	თ	ლას პალმასი	2,0
პედრო რესენდე	პორტუგალია	თ	სალამანკა	7
სარაგოსა				
სავო მილოშევიჩი	იუგოსლავია	თ	ასტონ ვილა	5,7
სანტანდერი				
სერგეი შუსტიკოვი	რუსეთი	ს	ცსკა	თავ. ტრანსფერი
ლიდერ პრესიადო	კოლუმბია	თ	სანტა ფე	
სალამანკა				
ლუჩან მარინესკუ	რუმინეთი	ნ	რაპიდი (ბუქარესტი)	1,3
კატალან მუნტიანუ	რუმინეთი	თ	სტიაუა	2,5
ლეონარდო რამოსი	ურუგვაი	მც	ესტუდიანტესი	
ტენერიფე				
ნავარო მონტოია	კოლუმბია	მ	მერიდა	1,2
ხოსე ხაიმე ტორო	ესპანეთი	მც	ბადახოსი	1,0
ლუის პიკუერო	ესპანეთი	მც	კადისი	თავ. ტრანსფერი
ელოსტო პეჩერო	ესპანეთი	ნ	ესპანიოლი	3,1
ხაიმე კოლეირო	ესპანეთი	თ	კადისი	თავ. ტრანსფერი
ოვიედო				
ფაბიო პინტო	ბრაზილია	თ	ინტერნასიონალი	1,1
ნაზარიო ოლივეირა	ბრაზილია	თ	ინტერნასიონალი	1,4
ჟორჟე ლუის ტეშა	პორტუგალია	მც	ბელენენსეში	თავ. ტრანსფერი
ალავესი				
მანუელ კანაბალი	ესპანეთი	თ	რეალი	
იბრაჰიმ ასატჰაჯი	მაროკო	ნ	რაჯა კასაბლანკა	1,6
სერზიო მატურანა	კოლუმბია	მც	ეკიპოსი	თავ. ტრანსფერი
ესტრემადურა				
რაიმონდ კალა	კამერუნი	მც	პანახაიკი	2,2
ლუის ესესერო	ესპანეთი	ნ	ლევანტე	1,0
მიგელ არიელ ესკუდო	ესპანეთი	თ	ლერიდა	2,0
ვილიარეალი				
იგორ ტასევსკი	იუგოსლავია	მც	პარტიზანი	
გეორგე კრაიოვეანუ	რუმინეთი	თ	სოსიედადი	2,4
ფერნანდეს როჩა	ესპანეთი	ნ	ნუმანსია	თავ. ტრანსფერი
ადელჰადერ ელ ჰაჯი	ეგვიპტე	ნ	ალ ჰილალი	1,2

ბარსელონა

წინა წლებთან შედარებით, კატალონიელები სატრანსფერო სეზონში მაინცდამაინც გადატვირთულნი არ ყოფილან — ხოსე ლუის ნუნიესმა კლუბის ხაზინას მხოლოდ ერთხელ მიაკითხა, 6 მილიონ 600 ათასი დოლარი აიღო და „ეინდჰოვენიდან“ ბუდეგინ ზენდენიც გადაბირა. „ბარსელონამ“ ზენდენის თანაკლუბელი ფილიპ კოკუც წაიყვანა, თუმცა ეს უკანასკნელი „კამპ ნოუზე“ თავისუფალი აგენტის სტატუსით გადაბარგდა.

ბარსელონელთა ჰოლანდიელ მწვრთნელ ლუის ვან გაალს გადაბირებულ თანამემამულეთა რიცხვის გაზრდა სამამდე ეწადა, თუმცა ამსტერდამის „აიაქსმა“ კატალონიელთა რჩეულ ფრენკ დე ბურს პირინეის ნახევარკუნძულზე გადაბარგების უფლება არ დართო.

მიუხედავად ქვეყნის სუპერთასზე მარცხისა, „ბარსელონა“ წლეულსაც უმაღლესი მიზნებისთვის იბრძოლებს, მათ შორის ჩემპიონთა ლიგის მოსაგებადაც.

ბილბაო

ბასკური წარმოშობის ფრანგმა ლუის ფერნანდესმა უდავოდ კარგი გუნდი შექმნა, რომელმაც გასულ სეზონში ყველასთვის მოულოდნელად ვერცხლის მედლები მოიპოვა. ბასკთა სიამაყეს გულშემატკივრები უკვე გამარჯვებებს სთხოვენ, ახალგაზრდა და ამავდროულად საკმაოდ არასტაბილური კლუბისთვის კი ეს ადვილი არ უნდა იყოს.

ბილბაოელთა ლიდერები წლეულსაც ალბათ იულენ გერერო, რაფაელ ალკორტა და ხოსება ეჩებერია იქნებიან.

რა როგორ იქნება, არავინ იცის, მაგრამ თუ „ატლეტიკმა“ კვლავ მოახერხა პრიზიორთა შორის მოხვედრა, ეს მათთვის კარგი იქნება.

სოსიედადი

გასულ სეზონში გერმანელმა მწვრთნელმა ბერნდ კრაუსმა სასწაული შეძლო — საშუალო დონის კლუბში მუხლჩაუხრელი შრომის შედეგად „სოსიედადმა“ ქვეყნის პირველობაზე მესამე ადგილზე გასვლა შეძლო. კარგად ორგანიზებული დაცვა და მეტად მწვავე თავდამსხმელები, მთლიანობაში კი სასურველი შედეგი.

სოსიედადელთა მესამე ადგილმა ბასკეთში უსაზღვრო სიხარული გამოიწვია — ხუმრობა ხომ არაა, ერთ სეზონში ბასკეთის ორმა სიამაყემ საპრიზო ადგილებზე გასვლა შეძლო, ამავდროულად მადრიდის „რეალი“ მოიტოვეს უკან.

„სოსიედადის“ ლიდერად ახალ სეზონში სავარაუდოდ კვლავ დარკო კოვაჩევიჩი იქნება. არაა გამორიცხული, ერთი წლის წინ პორტუგალიის ნაკრების მწვრთნელის, არტურ ჟორჟეს ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცყოფისთვის ფეხბურთიდან მომავალ სეზონამდე მოკვეთილი სა პინტუს დაბრუნებამ კლუბს სასიკეთო კვალი დაატყოს.

რეალი

არც ჩემპიონობა, არც თასი — დროა ყველაფერი მადრიდში დაბრუნდეს. რამდენად მოხერხდება ძნელი სათქმელია, თუმცა გუს ჰიდინკის გუნდი ამისათვის რომ იბრძოლებს, ამას თქმა არ უნდა.

ახალმა მწვრთნელმა მხოლოდ ერთი ტრანსფერი განახორციელა — მსოფლიოს ჩემპიონატის ბომბარდირ დავორ შუკერის თანამემამულე, ხორვატი შარცხენაფლანგელი მცველი რობერტ იარნი შეიძინა, რომლის კლუბში მისვლით ზემოხსენებული ფრთა ლამის უვნებელი გახდა.

შეძლებს შუკერი დაიბრუნოს ადგილი ძირითად შემადგენლობაში? ალბათ, იბრძოლებს საამისოდ, თორემ თუ კვლავ იპასიურა ფერნანდო მორიენტესი, რაული და ბრაზილიელი სავიო არ დაახანებენ.

მალიორკა

ესპანეთის სუპერთასზე კლუბმა „ბარსელონას“ დამარცხებით, კატალონიელებთან თასზე განცდილი მარცხისვის სრულფასოვანი რევანში აიღო, გულშემატკივრებს კი იმედი გაუღვივდათ, რომ მათი სათაყვანებელი ფეხბურთელები წინა სეზონის მიღწევას კიდევ უფრო გააუმჯობესებენ. მართალია, „მალიორკა“ ორმა ლიდერმა, თავდამსხმელმა გაბრიელ ამატომ და მცველმა ივან კამპომ დატოვა, მაგრამ მიუხედავად ამისა, მწვრთნელი ვიკტორ კუპერი გამარჯვებას იმედოვნებს.

სელტა

ვიგოელებს წლეულს წინა სეზონის მიღწევის გამეორება ძალიან უნდა გაუჭირდეთ. „სელტა“ არასტაბილურობით გამოირჩევა, ჯერ არ ყოფილა შემთხვევა, კლუბს ზედიზედ ორი სეზონის მანძილზე კარგი თამაშით დაემახსოვრებინოს თავი გულშემატკივრებისთვის, ასე რომ,...

ვიგოელთა ქომაგებს ახალწვეულების კლოდ მაკელელეს და ლუბოსლავ პენევის იმედი აქვთ.

ატლეტიკო

იტალიელთა ყოფილი მწვრთნელის, არიგო საკის კლუბში მისვლის შემდეგ გამორიცხული იყო საკადრო ცვლილებები არ მომხდარიყო და მართლაც, მადრიდელთა პრეზიდენტმა ხესუს ხილი ხილმა საკმაო ფული დახარჯა ახალწვეულთა შესაძენად.

ბეტისი

მსოფლიოს ფეხბურთის ისტორიაში უდიდეს ტრანსფერს საფუძველი სწორედ სევილიელებმა ჩაუყარეს — გადაიხადო თითქმის 35 მილიონი დოლარი ფეხბურთელში, ეს მართლაც წარმოუდგენელია. დენილსონი კარგი მოთამაშეა, მაგრამ საეჭვოა, ის ამდენი ღირდეს. პროგნოზები უარზობაა, ყველაფერს მომავალი სეზონი დაგვანახებს, ჩემპიონატი, რომელშიც დეინლსონის გაბრწყინებას ელიან. „ბეტისის“ მწვრთნელმა, ვინსენტე კანტატორემ განაცხადა, ჩვენ ჩემპიონები უნდა გავხდეთო.

ვალენსია

ესპანეთის უპირველესი მეკარის სანტიაგო კანისარესის დამატებამ, ასევე შვედი და ფრანგი მცველების იოკიმ ბიორკლუნდის და ალენ როშეს შეძენამ აუცილებლად სასიკეთოდ უნდა იმოქმედოს ვალენსიელთა დაცვაზე. კლუბის საქმე შეტევაშიც კარგად უნდა იყოს — რუმინელი ადრიან ილიეს და არგენტინელ კლაუდიო ლოპეს შესწევთ უნარი, წარმატება მოუტანონ გუნდს.

ესპანიოლი

ახალი სეზონი სულ უფრო ახლოვდება, აი კლუბის მწვრთნელის მარსელო ბიელსას ბედი კი უფრო და უფრო გაურკვეველი ხდება. გუნდის შიგნით არსებულმა ასეთმა მდგომარეობამ, არაა გამორიცხული, დამღუპველად იმოქმედოს „ესპანიოლზე“, თუმცა არავინ იცის, კატალონიელები გააუმჯობესებენ შარშანდელ მიღწევას თუ პირიქით.

ვალიადოლიდი

გასრულებული ჩემპიონატის მეორე წრეში „ვალიადოლიდმა“ შესამჩნევად ძლიერად ითამაშა, რამაც განაპირობა კიდეც ის, რომ კლუბმა მე-19 ადგილიდან საბოლოოდ მე-11-ზე დაასრულა ჩემპიონატი. ვალიადოლიდელთა მოძლიერებაში გაზაფხულზე დიდი როლი ითამაშა ახალგაზრდა თავდამსხმელმა, აწ უკვე „ბეტისს“ მიყიდულმა ბენჟამინ ზარანდონამ, ახლა უიმისოდ დარჩენილმა კლუბმა კი არაა გამორიცხული, კვლავ ცხრილის ფსკერისკენ დაწიოს.

დეპორტივო

90-იან წლებში ლა კორუნიელი კლუბი ერთ-ერთი ყველაზე სტაბილური გახლდათ პრემიერა დივიზიონში, თუმცა ბოლო წლებია, „დეპორტივო“ მშობლიურ ადგილებს — ცხრილის შუაგულს უბრუნდება. გუნდის ახალმა მწვრთნელმა, ხავიერ ირუჩეტამ, მომავალ სეზონში წინა ჩემპიონატში თავსდატეხილი მარცხის ასაცილებლად, მეტად მნიშვნელოვანი საკადრო პოლიტიკა გაატარა. ამხანაგურ შეხვედრებში ლა კორუნიელებმა რამდენიმე თვალსაჩინო გამარჯვება მოიპოვეს, მათ შორის „სამპდორიასთან“ 5:1. ბოლოდროინდელი ცვლილებებით თუ ვიმსჯელებთ, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ „დეპორტივო“ პრიზიორობისთვის იბრძოლებს.

სანტანდერი

სანტანდერელები დიდი იმედით ხვდებიან კოლუმბიელ თავდამსხმელ ლიდერ პრესიადოს, რომელიც ახალ სეზონში კლუბის ლიდერადაც ესახებათ. ობიექტურნი თუ ვიქნებით, ამ გუნდზე შემდეგი რამ შეგვიძლია ვთქვათ: მათთვის ბრწყინვალე შედეგად ჩაითვლება თუ პირველობას მეშვიდე-მერვე ადგილებზე დაასრულებენ.

სალამანკა

საშუალო დონის ესპანური გუნდია, რომელიც უფრო ხშირად ქვედა დივიზიონშია, ვიდრე ზემოთ. ზაფხულში სალამანკელთა ლიდერი, რუმინელი გაბრიელ პოპესკუ „ვალენსიაში“ გადაბარგდა, ამან კი კლუბის შედეგებზე შესაძლოა დამღუპველად იმოქმედოს.

ტენერიფე

ინგლისური „მიდლსბროდან“ გადაბარგებული ემერსონი კანარელთათვის მეორე წრეში შვებად იქცა. თუ ბრაზილიელმა ისევე ითამაშა, როგორც გაზაფხულზე, ხოლო ვეტერანმა ბოსნიელმა თავდამსხმელმა მეჰო კოდრომ გოლების გატანა გაიხსენა, „ტენერიფეს“ ლიგაში დარჩენაზე ფიქრი აღარ დასჭირდება.

ოვიედო

ფლეი ოფის წყალობით პრიმერა დივიზიონში დარჩენილ ოვიედოელებს ახალ ჩემპიონატში ათეულში შესვლა სწადიათ. მათ დიდი იმედი ჰქონიათ ბრაზილიელი ვუნდერკინდი ფაბიო პინტოსი, ბიჭისა, ზაფხულში რომ გადაუბირებიათ.

ალავესი

ბოლო სეზონი გუნდმა პირველი დივიზიონის ჩემპიონის რანგში დაასრულა, პრიმერა დივიზიონში აღზევებულმა კი საეჭვოა, კვლავაც პირველმა დაასრულოს ჩემპიონატი. „ალავესის“ ლიდერად მომავალ სეზონში სავარაუდოდ ექს-რეალელი მანუელ კანაბალი უნდა მოგვევლინოს. პირველ დივიზიონში გუნდმა გაჩემპიონება ძირითადად დაცვის ძლიერი თამაშის წყალობით მოახერხა, ახლა რა იქნება, ვნახოთ.

მსტრემადურა

პრიმერა დივიზიონის დებიუტანტია და საგაისოდ ლიგაში ფეხის მოკიდება ძალიან უნდა გაუჭირდეს.

ვილიარეალი

კლუბი პირველად აღზევდა ესპანური ფეხბურთის ელიტაში, ამიტომ მისგან სიურპრიზებიცაა მოსალოდნელი. სხვათა შორის, გუნდის დანიელმა თავდამსხმელმა ტომას კრისტიანსენმა სეზონისწინა ამხანაგურ მატჩებში 15 გოლის გატანა მოახერხა.

ესპანეთში „ბარსელონა“ პირველია. ლიდერობა ევროპაშიც კარგი იქნებოდა

ესპანეთის ჩემპიონატის პრიზიორები

1929	ბარსელონა, რეალი, ბილბაო
1930	ბილბაო, ბარსელონა, არენას ბილბაო
1931	ბილბაო, სანტანდერი, სოსიედადი
1932	რეალი, ბილბაო, ბარსელონა,
1933	რეალი, ბილბაო, ესპანიოლი
1934	ბილბაო, რეალი, სანტანდერი
1935	ბეტისი, რეალი, ოვიედო,
1936	ბილბაო, რეალი, ოვიედო
1937	არ გათამაშებულა
1938	არ გათამაშებულა
1939	არ გათამაშებულა
1940	ატლეტიკო, სევილია, ბილბაო
1941	ატლეტიკო, ბილბაო, ვალენსია
1942	ვალენსია, რეალი, ატლეტიკო
1943	ბილბაო, სევილია, ბარსელონა
1944	ვალენსია, ატლეტიკო, სევილია
1945	ბარსელონა, რეალი, ატლეტიკო
1946	სევილია, ბარსელონა, ბილბაო
1947	ვალენსია, ბილბაო, ატლეტიკო
1948	ბარსელონა, ვალენსია, ატლეტიკო
1949	ბარსელონა, ვალენსია, რეალი
1950	ატლეტიკო, დეპორტივო, ვალენსია
1951	ატლეტიკო, სევილია, ვალენსია
1952	ბარსელონა, ბილბაო, რეალი,
1953	ბარსელონა, ვალენსია, რეალი
1954	რეალი, ბარსელონა, ვალენსია
1955	რეალი, ბარსელონა, ბილბაო
1956	ბილბაო, ბარსელონა, რეალი
1957	რეალი, სევილია, ბარსელონა
1958	რეალი, ატლეტიკო, ბარსელონა
1959	ბარსელონა, რეალი, ბილბაო
1960	ბარსელონა, რეალი, ბილბაო
1961	რეალი, ატლეტიკო, სარაგოსა
1962	რეალი, ბარსელონა, ატლეტიკო
1963	რეალი, ატლეტიკო, ოვიედო
1964	რეალი, ბარსელონა, ბეტისი
1965	რეალი, ატლეტიკო, სარაგოსა
1966	ატლეტიკო, რეალი, ბარსელონა
1967	რეალი, ბარსელონა, ესპანიოლი
1968	რეალი, ბარსელონა ლას პალმასი
1969	რეალი, ლას პალმასი, ბარსელონა
1970	ატლეტიკო, ბილბაო, სევილია
1971	ვალენსია, ბარსელონა, ატლეტიკო
1972	რეალი, ვალენსია, ბარსელონა
1973	ატლეტიკო, ბარსელონა, ესპანიოლი
1974	ბარსელონა, ატლეტიკო, სარაგოსა
1975	რეალი, სარაგოსა, ბარსელონა
1976	რეალი, ბარსელონა, ატლეტიკო
1977	ატლეტიკო, ბარსელონა, ბილბაო
1978	რეალი, ბარსელონა, ბილბაო
1979	რეალი, ხიხონი, ატლეტიკო
1980	რეალი, სოსიედადი, ხიხონი
1981	სოსიედადი, რეალი, ატლეტიკო
1982	სოსიედადი, ბარსელონა, რეალი
1983	ბილბაო, რეალი, ატლეტიკო
1984	ბილბაო, რეალი, ბარსელონა
1985	ბარსელონა, ატლეტიკო, ბილბაო
1986	რეალი, ბარსელონა, ბილბაო
1987	რეალი, ბარსელონა, ესპანიოლი
1988	რეალი, სოსიედადი, ატლეტიკო
1989	რეალი, ბარსელონა, ვალენსია
1990	რეალი, ვალენსია, ბარსელონა
1991	ბარსელონა, ატლეტიკო, რეალი
1992	ბარსელონა, რეალი, ატლეტიკო
1993	ბარსელონა, რეალი, დეპორტივო
1994	ბარსელონა, დეპორტივო, სარაგოსა
1995	რეალი, დეპორტივო, ბეტისი
1996	ატლეტიკო, დეპორტივო, ბარსელონა
1997	რეალი, ბარსელონა, დეპორტივო
1998	ბარსელონა, ბილბაო, სოსიედადი

ვარსკვლავთცვენა მონაკოში

— მოხარული ვარ, ჩემი შრომა რომ დააფასეს. ყველანაირად ვეცადე, ძლიერად მეთამაშა, ზოგჯერ გამომდიოდა, ზოგჯერ არა. თუმცა, როგორც ჩანს, ჩემი ფეხბურთი სხვებს ძალიან მოსწონებიათ. გმადლობთ, ძალიან მიხარია — ვის შეეძლო, ეს ეთქვა? იქ, სადაც საუკეთესო ფეხბურთელებს ავლენენ გამარჯვებული ერთია — რონალდო. ალბათ, არავის გაუკვირდება, რომ რონალდო 1997-98 წლების ევროპის საუკეთესო თავდამსხმელად და სასარგებლო მოთამაშედ სცნეს. (უეფას პრეს-ცენტრის გამოკითხვის მიხედვით)

დაჯილდოვების ცერემონიალი ხუთშაბათს საღამოს მონტე კარლოში შედგა, ჩემპიონთა ლიგის კენჭისყრიდან ცოტა ხნის შემდეგ. სანახაობა მართლაც ლამაზი იყო და თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ შეხვედრას მსოფლიოს ფეხბურთის ვარსკვლავებიც ესწრებოდნენ, მაშინ ალბათ ძნელი მისახვედრი არ იქნება, რა სიტუაცია სუფევდა.

— მგონი, ასეთი შეხვედრები ხშირად უნდა ეწყობოდეს. მართალია, აქ უმეტესწილად ძველ ნაცნობებს შევხვდი, მაგრამ მაინც ვფიქრობ, რომ ურთიერთობისთვის ასე აჯობებს. წელიწადის მანძილზე თავისუფალი დრო იშვიათად გვაქვს. იმასაც ოჯახთან ერთად ვატარებთ, მეგობრებთან შეხვედრებისთვის კი დრო აღარ გვრჩება. მინდორზე უამრავჯერ ვხვდებით ერთმანეთს, მაგრამ, დამეთანხმებით, მაშინ შაპანურისთვის არ გვცალია. — ედგარ დავიდსი, რომელიც რამდენიმე თანაკლუბელთან ერთად ჩასულიყო მონტე კარლოში, ერთობ კარგ ხასიათზე გახლდათ.

კაზინო „ლა პესტორეზეს“ დარბაზში, სადაც დაჯილდოების ცერემონიალი მიმდინარეობდა, უამრავი სახელოვანი მოთამაშე შეკრებილიყო, გნებავთ ვეტერანი, გნებავთ ახალგაზრდა. ფრანც ბეკენბაუერი, გარი ლინეკერი, ჟან ტიგანა, მარიუს ტრეზორი, ანტონიო კაბრინი, ჰანს კრანკლი, მორის ჯონსტონი — ესენი „ძველებიდან“, ხოლო ისინი, რომლებიც ბურთს ჯერაც აგორებენ, გაცილებით მრავლად იყვნენ, უმეტესწილად იტალიურ კლუბებში მოთამაშენი.

შვედური მაგიდა, სასიამოვნო მუსიკა, ძვირფას სამოსელში გამოწყობილი მოთამაშენი და მათი მეუღლენი — შესანიშნავი გართობისთვის მეტი რაღაა საჭირო...

— მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ ბევრი მოთამაშე გავიცანი. მანამდე მხოლოდ ჩვენთან, საფრანგეთში მობურთალებს ვიცნობდი. ძალიან მიარია, ასეთი შეკრება რომ გაიმართა. ეს ფეხბურთელებს ერთმანეთთან უფრო აახლოვებს და მათ შორის თბილი ურთიერთობა მყარდება. სხვა რა შემიძლია ვთქვა, ძალიან, ძალიან მიხარია — მსოფლიოს ჩემპიონი, საფრანგეთის გასული სეზონის საუკეთესო ბომბარდირი სტეფან გივარში ხარობდა.

მოგვიანებით დაიწყო ის, რისთვისაც ფეხბურთის ვარსკვლავები „ლა პესტორეზეში“ შეკრებილიყვნენ — დაჯილდოების ცერემონიალს იტალიის ტელეკომპანია RAI-ის ერთ-ერთი წამყვანი ბრუნო ჯორჯანი და უმშვენიერესი ფოტომოდელი კრისტინა ამინარდი უძღვებოდნენ. თავდაპირველად ნომინაციები ჩამოთვალეს, შემდეგ მსოფლიოს ახლადდასრულებულ ჩემპიონატზე გაკეთებული კლიპი უჩვენეს, ერთი-ორი სიმღერაც გამოერია და საუკეთესოთა აღიარებაც დაიწყო.

— ევროპის 1997-98 წლების საუკეთესო მეკარედ დასახელებულია (შემდეგ მცირედი პაუზა)... პეტერ შმაიხელი, „მანჩესტერ იუნაიტედი“! — პირველი გამარჯვებულიც ცნობილი გახდა. გიგანტ დანიელ მეკარეს, სპეციალურად ამ სანახაობისთვის რომ ჩასულიყო ინგლისიდან, მონტე კარლოში მეტად ლამაზი, ძვირფასი თვლებით დამშვენებული პრიზი გადასცეს. „კარიერის მიწურულს საუკეთესო მეკარედ რომ გაღიარებენ, მეტი რომ არ ვთქვა, ძალიან სასიხარულოა. აღფრთოვანებული ვარ და ყველას ვუსურვებ ის გრძნობა დაეუფლოს, რასაც მე ახლა განვიცდი“ — იტყვის პრიზით ხელდამშვენებული შმაიხელი და კვლავ დარბაზში, მეგობრებში გაუჩინარდება.

მეკარის შემდეგ მცველი მოდის, ამ ნომინაციაში საუკეთესოდ კი ესპანელი ფერნანდო იერო დაასახელეს, მიუხედავად იმისა, რომ მას კონკურენციას ლილიამ ტურამი, ემანუელ პეტი და ფაბიო კანავარო უწევდნენ. იეროს პრიზი წარსულში ცნობილმა შოტლანდიელმა ფეხბურთელმა მორის ჯონსტონმა გადასცა.

— შესანიშნავია, როცა კონტინენტის საუკეთესო მცველად გაღიარებენ. მიხარია, წლეულს ეს პატივი მე რომ მერგო. მართალი გითხრათ, ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვების შემდეგ მსოფლიოს ჩემპიონატზე დასანანი მარცხი რომ არ განგვეცადა, მე ამ ჯილდოს მიღება გაცილებით გამიხარდებოდა... როცა გაჯილდოვებენ, ეს ძალიან კარგია, მეც ძალიან მიხარია — ფერნანდო იერო, ჩემპიონთა თასზე „რეალის“ მეშვიდე გამარჯვების ერთ-ერთი სულისჩამდგმელი მაინც მსოფლიოს ჩემპიონატიდან ნაადრევად გამოვარდნას მისტირის. სხვათა შორის, გამარჯვებულთა დაჯილდოებას მათზე გაკეთებული ჩანახატი მისდევდა სასიამოვნო სიურპრიზებით.

ხუთშაბათს ეს პირტიტველა ბიჭი ევროპის საუკეთესო თავდამსხმელად კიდევ ერთხელ აღიარეს

სპორტლაინის არქივიდან

მეკარის და მცველის შემდეგ გასული სეზონის ყველაზე სასარგებლო მოთამაშის გამოვლენის დრო დადგა და კვლავ რონალდო — 22 წლის ბრაზილიელი აქაც პირველი აღმოჩნდა. გასულ სეზონში რონალდომ მართლაც ძლიერად ითამაშა, „ინტერს“ უეფას თასის მოგებაში დაეხმარა, გარდა ამისა, კლუბი სერია A-ში მეორე ადგილზე რომ გავიდა და ჩემპიონთა თასზე მონაწილეობის უფლება მოიპოვა, უმეტესწილად სწორედ რონალდოს დასახურებაა. მართალია, რონალდომ მსოფლიოს ჩემპიონატზე ისე ვერ ითამაშა, როგორც მისგან ელოდნენ, მაგრამ გასული სეზონი მთლიანობაში მაინც წარმატებული გამოუვიდა.

— რა გითხრათ, ძალიან გახარებული ვარ. ყოველ თამაშში სულსა და გულს ვაქსოვ. ხან გამომდის, ხან არა, თუმცა ჩემთვის მნიშვნელოვანი ისაა, რომ ჩემს ფეხბურთს შედეგი მოაქვს და ხალხს სიამოვნებს. დანარჩენი თავად განსაჯეთ. გმადლობთ — რონალდომ პრიზი აიღო და ძირს ჩავიდა. მოგვიანებით მას კიდევ ერთხელ დაჯილდოვებენ — სუპერფორვარდს საუკეთესო თავდამსხმელადაც აღიარებენ, მანამდე კი საუკეთესო ნახევარმცველი გამოავლინეს. საფრანგეთის ნაკრების და ტურინის „იუვენტუსის“ გამთამაშებელი, მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში ორი გოლის გამტანი ზინედინ ზიდანი ამ ნომინაციაში უძლიერესი აღმოჩნდა. მხოლოდ ერთი რამის თქმა შეიძლება — გადაწყვეტილება სამართლიანია. სამწუხაროდ, ზიდანი იმ საღამოს წვეულებაზე ვერ ჩავიდა. მისმა მეგობარმა ედგარ დავიდსმა იკისრა ჯილდოს ტურინში ჩატანა.

და ბოლოს, მწვრთნელი. მას შემდეგ, რაც ფეხბურთელები დაჯილდოვეს, საუკეთესო თავკაცის გამოვლენის დროც დადგა — იმ 24 მწვრთნელს შორის, რომელთა გუნდებიც გასულ სეზონში ჩემპიონთა, თასების და უეფას თასის გათამაშების მეოთხედფინალში მონაწილეობდნენ, ერთი საუკეთესო უნდა დასახელებულიყო. საბოლოოდ გამარჯვებულიც გაირკვა — მარჩელო ლიპი, ტურინის „იუვენტუსის“ თავკაცი. ზიდანის დარად, ვერც ლიპიმ მოახერხა მონტე კარლოში ჩასვლა, თუმც იქ მყოფთ რობერტო ბეტეგას პირით მოკითხვა შეუთვალა.

გამარჯვებულთა დასახელების შემდეგ წვეულება დაახლოებით საათნახევარში დასრულდა, გვიან საღამოს კი სტუმრები მონტე კარლოში დაიფანტნენ...

ლაშა გოდუაძე

ინგლისი ფეხბურთის რუკასთან

ინგლისი ქვეყნის ლიგის თასის გათამაშების კენჭისყრა გაიმართა. მეორე წრეში გუნდები შემდეგნაირად დაწყვილდნენ: ბორნმუტი (II) — ვულვერჰემპტონი (I), ბლექპული (II) — ტრანმერი (I), ბრენფორდი (III) — ტოტენჰემ ჰოთსფური (Თ), ბრისტოლ სიტი (I) — ქრიუ (I), ბერი (I) — კრისტალ პალასი (I), შეფილდ უენსდეი (Თ) — კემბრიჯი (III), ფულემი (II) — საუთჰემპტონი (Თ), ლესტერ სიტი (Თ) — ჩესტერფილდი (II), ფულემი (II) — საუთჰემპტონი (Თ), შეფილდ იუნაიტედი (I) — გრიმსბი (I), ჰალიფაქსი (III) — ბრედფორდი (I), ჰადერსფილდი (I) — ევერტონი (Თ), ბოლტონი (I) — ჰული (III), ლეიტონ ორიენტი (III) — ნოტინგემ ფორესტი (Თ), იფსვიჩი (I) — ლუტონი (II), ნორტჰემპტონი (II) — გესტ ჰემ იუნაიტედი (Თ), პორტსმუტი — უიმბლდონი (Თ), ქუინს პარკ რეინჯერსი (I) — ჩარლტონ ატლეტიკი (Თ), ბარნსლი (I) — რიდინგი (II), ქოვენთრი სიტი (Თ) — საუთენდი (III), ნორვიჩი (I) — უიგენი (II), მიდლსბრო (Თ) — უიკომბი (II).

გერმანიის ნაკრების ყოფილმა ფეხბურთელმა ლოთარ მათეუსმა ეროვნულის მთავარი მწვრთნელი ბერტი ფოგთსი სასტიკად გაკრიტიკა: გუნდში ახალი ფეხბურთელების მოწვევისათვის „გასაოცარია, ბერტიმ ნაკრებში ისინი გამოიძახა, რომელთაც ჩემპიონატში ხეირიანად 20 ატჩიც არ უთამაშიათ. ასე თუ გაგრძელდა, დიდ მიზნებზე საუბარი ზედმეტი იქნება“. მიუნხენის „ბაიერნის“ 37 წლის ლიბერომ ფოგთსის საქციელს ასეთი შედარება გაუკეთა: „როდესაც კიბეზე ადიხარ და გარკვეულ სიმაღლეს მიაღწევ, იქიდან კი არ უნდა გადმოხტე, არამედ საფეხურ-საფეხურ ჩამოხვიდე, წინააღმდეგ შემთხვევაში რაღაცას აუცილებლად მოიტეხ, იქნებ კისერსაც“... შეგახსენებთ, მათეუსი ნაკრებიდან მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ წავიდა.

გერმანიის მეორე ბუნდესლიგის „კარლსრუეს“ მთავარი მწვრთნელი იორგ ბერგერი ორიოდე დღის წინ, თანამდებობიდან რომ დაითხოვეს, უკვე გაცნობეთ. ახლა მისი შემცვლელის ვინაობაც გაირკვა, იგი ალბათ „ნიურბერგის“ ყოფილი თავკაცი ფელიქს მაგათი იქნება. „კარლსურეს“ პრეზიდენტ როლანდ შმიდერის განცხადებით, უკვე რამდენიმე დღეა, ისინი 45 წლის სპეციალისტთან მოლაპარაკებას აწარმოებენ და სიტყვიერი შეთანხმებისთვისაც მიუღწევიათ. ახლა კონტრაქტზე ხელმოწერაღა დარჩა, რაც უახლოეს დღეებში მოხდება. რაც შეეხება გუშინდელ მატჩს გერმანიის თასის პირველ ეტაპზე „ვოლფსბურგთან“, „კარლსრუე“ მეორე მწვრთნელმა — რაინერ ულრიხმა გაიყვანა.

გერმანელებს 2006 წელს გასამართი მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობა მტკიცედ გადაუწყვეტიათ. ქვეყნის საფეხბურთო კავშირის პრეს ატაშის ვოლფგანგ ნიერბახის თქმით, ისინი ბოლომდე იბრძოლებენ იმისათვის, რომ 21-ე საუკუნის მეორე მსოფლიოს ჩემპიონატი გერმანიაში გაიმართოს და მიზნის მისაღწევად არაფერს დაიშურებენ, მათ შორის არც ფინანსებს. პირველი ნაბიჯიც გადაიდგა, საფეხბურთო კავშირმა 20 მილიონი მარკა გამოყო გარკვეული სახის სამუშაოების შესასრულებლად. გერმანელთა ყველაზე სერიოზული კონკურენტები ინგლისელები არიან, რომელთაც ასევე ძლიერ სურთ უპირველესი საფეხბურთო ჩემპიონატის მასპინძლობა.

გერმანიაში დღეს და ხვალ გაიმართება თასის პირველი ეტაპის მატჩები: მაინჰაიმი (Თ) — მიონხენგლადბახი (I), ხემნიტცი (Თ) — ფრაიბურგი (I), ლევერკუზენი (Თ) — ვერდერი (I), ლიუბეკი (Თ) — შტუტგარტი (I), ლაიფციგი (Თ) — მიუნხენ 1860 (I), ლიხტერფელდი (Თ) — შალკე (I), ოსნაბრუკი (Თ) — ნიურნბერგი (I), კიოლნი (II) — ჰანზა (I), კოტბუსი (Თ) — ფიურტი (II), ვერდერი (Თ) ობერჰაუზენი (II), დორფმერკინგენი (Თ) — კიკერსი (II), ჰოეკსტი (Თ) — კოტბუსი (II), შტრაელენი (Თ) — დიუსელდორფი (II), ზიგენი (Თ) — მაინცი (II), კარლ ცაისი (Თ) — ულმი (II), მაგდებურგი (Თ) — ურდინგენი (II), ობერშტაინი (Თ) — არმინია (II), რეგენსბურგი (Თ) — ჰერტა (I), ცვიკაუ (Თ) — ბოხუმი (I), ერფურტი (Თ) — აინტრახტი (I), აალენი (Თ) — ბაიერნი (I), ფორტუნა (II) — კაიზერსლაუტერნი (I), ტენის ბორუსია (II) — ჰანოვერი (II), შეპენი (Თ) — ზანქტ პაული (II).

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი — I ჯგუფი — უელსი - იტალია

EURO 2000

მალე ევროპის 2000 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი დაიწყება. გუნდები გამალებით ემზადებიან მოახლოებული თამაშებისთვის.

პირველ შესარჩევ მატჩს მსოფლიოს ჩემპიონატის მეოთხედფინალისტი იტალიის ნაკრები 5 სექტემბერს გამართავს უელსის ნაკრების წინააღმდეგ. აპენინელებმა, კონკრეტულად კი „სკუადრა აძურას“ ახალმა მწვრთნელმა დინო ძოფმა გუშინ იმ 22 კაციანი გუნდის შემადგენლობა დაასახელა ბრიტანელებთან სათამაშოდ რომ მოემზადება.

ძოფის ნაკრებში შესამჩნევი ცვლილებებია — გუნდში აღარ არიან მეკარე ჯანლუკა პალიუკა და ნაკრების დაცვის ერთ-ერთი ბურჯი ალესანდრო კოსტაკურტა, რომლებზეც მწვრთნელმა შეგნებულად თქვა უარი. რაც შეეხება ნაკრების კაპიტნის პაოლო მალდინის არყოფნას, ამის მიზეზი სილვიო ბერლუსკონის თასზე „იუვენტუსთან“ მატში მიღებული ტერფის ტრავმაა.

ახალწვეულები იტალიელთა შორის სამია — მადრიდის „ატლეტიკოს“ ლეგიონერი მიკელე სერენა, ასევე უდინელები ჯონათან ბაჩინი და ჯულიანო ჯანჩედა.

ნაკრები: მეკარეები — ანჯელო პერუცი (იუვენტუსი), ჯანლუიჯი ბუფონი (პარმა); მცველები — ფაბიო კანავარო (პარმა), სალვატორე ფრეზი (ინტერი), მარკ იულიანო, ჯანლუკა პესტო (იუვენტუსი), მორენო ტორიჩელი (ფიორენტინა), პაოლო ნეგრო (ლაციო), კრისტიან პანუჩი (რეალი), მიკელე სერენა (ატლეტიკო); ნახევარმცველები — დემეტრიო ალბერტინი (მილანი), ჯონათან ბაჩინი, ჯულიანო ჯანჩედა (უდინეზე), ლუიჯი დი ბიაჯო, ეუსებიო დი ფრანჩესკო (რომა), დინო ბაჯო, დიეგო ფუზერი (პარმა); თავდამსხმელები — რობერტო ბაჯო (ინტერი), ერიკო კიეზა (პარმა), ალესანდრო დელ პიერო, ფილიპო ინძაგი (იუვენტუსი), კრისტიან ვიერი (ატლეტიკო).

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი — VII ჯგუფი — უნგრეთი - პორტუგალია

EURO 2000

პორტუგალიის ნაკრები ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის გახსნით მატჩს 6 სექტემბერს ბუდაპეშტში, უნგრეთის ეროვნულ გუნდთან გამართავს. ამ შეხვედრისთვის ნაკრებში კვლავ იქნა გამოძახებული ერთი წლის წინ მთავარ მწვრთნელ არტურ ჟორჟესთან მომხდარი კონფლიქტის გამო დისკვალიფიცირებული ფორვარდი რიკარდო სა პინტუ, რომელიც ამჟამად „რეალ სოსიედადის“ ღირსებას იცავს. ეროვნულ გუნდში დაბრუნდა ტურინის „იუვენტუსის“ ნახევარმცველი დიმაშ ტეიქსეირაც, რომელსაც ასევე უთანხმოება ჰქონდა პორტუგალიელთა ახლანდელ თავკაც უმბერტო კოელიოსთან.

მეკარეები: ვიტორ ბაია (ბარსელონა, ესპანეთი), პეტრო ესპინია (გიმარაეში); მცველები: კარლოს სეკრეტარიო (პორტუ), ჟორჟე კოსტა (პორტუ), პაულინიო სანტოსი (პორტუ), პაულო მადეირა (ბენფიკა), დიმაშ ტეიქსეირა (იუვენტუსი, იტალია), ფერნანდო კოუტუ (ლაციო, იტალია), რუი ჟორჟე (სპორტინგი); ნახევარმცველები: აბელ ქსავიერი (ეინდჰოვენი, ჰოლანდია), ლუიშ ფიგუ (ბარსელონა, ესპანეთი), ნუნო კაპუჩო (პორტო), ჟოზე კალადო (ბენფიკა), რუი კოშტა (ფიორენტინა, იტალია), პაულო ბენტო (ოვიედო, ესპანეთი); თავდამსხმელები: ჟოაო ვიეირა პინტო (ბენფიკა), ნუნუ გომეში (ბენფიკა), რიკარდო სა პინტო (რეალ სოსიედადი, ესპანეთი)

საქართველოს ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელი, მწვრთნელი, სიმბოლური ნაკრები სარბიელის მკითხველთა აზრით

ჩვენში ფეხბურთს გასული საუკუნის მიწურულიდან ანუ აგერ უკვე ერთი საუკუნეა თამაშობენ. ამ ხნის მანძილზე ბევრ დიდოსტატს უგორებია ტყავის ბურთი ფოთსა და თბილისში, ქუთაისსა და ბათუმში, სოხუმსა და ლანჩხუთში, ზუგდიდსა და გორში... ქართულ ფეხბურთს ბევრი ვარსკვლავი ჰყოლია.

„სარბიელის“ გამოკითხვის მიზანია, ყველა თაობის გულშემატკივართა აზრთა შეჯამების საფუძველზე საახალწლოდ ქართულ ფეხბურთში რჩეულთაგან გამორჩეულები გამოავლინოს!

„სარბიელის“ გამოკითხვაში ნებისმიერ მსურველს შეუძლია მონაწილეობა. ამისთვის უნდა შეავსოთ და გაზეთიდან ამოჭრილი ანკეტები (ან „სარბიელში“ მოცემული ანკეტის ანალოგიურად შევსებული ჩვეულებრივი თეთრი ფურცელი: რვეულის, თაბახისა...) საფოსტო კონვერტში ჩადებული გამოგვიგზავნოთ რედაქციაში. გთხოვთ, ანკეტის შევსებისას მიუთითოთ სახელი, გვარი, სადაურობა (სად ცხოვრობთ), ასაკი, პროფესია. ყოველივე ეს „სარბიელში“ დაიბეჭდება, თითოეულ მკითხველს საშუალება ექნება საკუთარი ვერსიაც იხილოს გაზეთში და საერთო სურათსაც უშუალოდ ადევნოს თვალი.

საუკეთესო ფეხბურთელის გამოსავლენად უნდა დასახელდეს ხუთი კანდიდატი, რომელთაც ადგილების მიხედვით შესაბამისად 5, 4, 3, 2 და 1 ქულა დაერიცხებათ. საუკეთესო ქულების საერთო ჯამით გამოვლინდება.

იგივე პრინციპით დასახელდება № 1 მწვრთნელიც. მაგრამ ამ შემთხვევაში გამოკითხვის თითოეული მონაწილე მხოლოდ სამ კანდიდატს ასახელებს (ქულებიც შესაბამისად 3, 2 და 1 იქნება).

ნაკრების შესადგენად კი ყველა ანკეტაში 11 ფეხბურთელი უნდა დასახელდეს 1+4+3+3 პირობითი სქემით. სიმბოლური გუნდის საბოლოო ვარიანტი ფეხბურთელთა მიერ მიღებული ხმების რაოდენობით განისაზღვრება.

„სარბიელის“ რედაქციის მისამართი: თბილისი 77, ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.

საფოსტო მისამართი: თბილისი 79, საფოსტო ყუთი 208.

✂ -

საქართველოს ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელი

1 _____

2 _____

3 _____

4 _____

5 _____

საქართველოს ყველა დროის საუკეთესო მწვრთნელი

1 _____

2 _____

3 _____

საქართველოს ყველა დროის სიმბოლური ნაკრები

1 _____

2 _____

3 _____

4 _____

5 _____

6 _____

7 _____

8 _____

9 _____

10 _____

11 _____

სახელი -

გვარი -

ასაკი -

პროფესია -

მისამართი -

სარბიელი

სპორტული ლატარია “CROCO”

ინგლისის ჩემპიონატი. პრემიერლიგა. III ტური

29 აგვისტო			
არსენალი — ჩარლტონი	1,4	3,5	7,0
0:1	2,1	3,2	2,1
ბლეკბერნი — ლესტერი	1,7	3,0	4,7
ქოვენთრი — ვესტჰემი	2,0	2,8	3,5
ევერტონი — ტოტენჰემი	2,0	2,7	3,6
საუთჰემპტონი — ნოტინგემი	2,1	2,9	3,2
უიმბლდონი — ლიდსი	2,4	2,8	2,7
შეფილდი უენსდი — ასტონ ვილა	2,0	2,8	3,5
მიდლსბრო — დერბი	1,9	2,9	3,6
30 აგვისტო			
ნიუკასლი — ლივერპული	2,4	2,9	2,6

ინგლისის ჩემპიონატი. I დივიზიონი. IV ტური

29 აგვისტო			
ბირმინგემი — ბარნსლი	1,6	3,1	5,3
ბოლტონი — შეფილდ იუნ.	1,6	3,0	5,6
ჰადერსფილდი — პორტსმუთი	1,6	3,0	4,4
იფსვიჩი — სანდერლენდი	2,3	2,9	2,8
ოქსფორდი — გრიმსბი	1,8	3,0	4,0
ქუინზ პარკი — ბერი	1,8	3,0	4,0
სტოკპორტი — კრისტალ პალასი	2,4	2,9	2,6
სვინდონი — პორტ ვეილი	1,5	3,3	6,0
ტრანმერი — ბრისტოლი	2,0	2,9	3,4
ვესტ ბრომვიჩი — ნორვიჩი	1,8	3,0	4,0

ინგლისის ჩემპიონატი. I დივიზიონი. V ტური

31 აგვისტო			
ბარნსლი — ოქსფორდი	1,4	3,6	6,5
0:1	2,1	3,2	2,1
ბრედფორდი — ბირმინგემი	3,4	2,9	2,0
ბრისტოლი — ჰადერსფილდი	1,8	3,0	4,0
ბერი — სვინდონი	2,0	2,9	3,4
კრ. პალასი — ტრანმერი	1,3	4,0	7,5
0:1	2,0	3,2	2,3
გრიმსბი — ვესტ ბრომვიჩი	2,5	2,9	2,5
პორტ ვეილი — იფსვიჩი	2,5	2,9	2,5
პორტსმუთი — ქუინზ პარკი	2,0	2,9	3,4
შეფილდ იუნ. — ქრიუ	1,5	3,3	6,0
ვულვერჰემპტონი — სტოკპორტი	1,35	3,8	7,0
0:1	2,0	3,2	2,3
1 სექტემბერი			
ნორვიჩი — ბოლტონი	2,0	2,9	3,4

საფრანგეთის ჩემპიონატი. IV ტური

29 აგვისტო			
ლე ავრი — მარსელი	3,4	2,9	2,0
ლანსი — ნანსი	1,3	4,0	7,5
0:1	1,9	3,2	2,6
ლიონი — მონაკო	2,3	2,8	2,9
პსჟ — ლორანი	1,2	5,0	9,0
0:1	1,6	3,2	3,5
ნანტი — სოშო	1,6	3,1	5,3
მონპელიე — ტულუზი	1,7	3,0	4,7
მეცი — ბორდო	2,5	2,9	2,5
30 აგვისტო			
ოსერი — ბასტია	1,8	3,0	4,0
რენი — სტრასბური	1,7	3,0	4,7

ესპანეთის ჩემპიონატი. I დივიზიონი. I ტური

29 აგვისტო			
ალავესი — ბეტისი	2,6	2,9	2,4
ვალენსია — ატლეტიკო	1,9	2,9	3,6
30 აგვისტო			
სოსიედადი — ოვიედო	1,4	3,5	7,0
0:1	2,0	3,2	2,3
ესპანიოლი — ტენერიფე	1,6	3,0	5,6
სალამანკა — მალიორკა	2,5	2,9	2,5
სელტა — დეპორტივო	1,9	2,7	4,0
ესტრემადურა — ვალიადოლიდი	2,1	2,9	3,2
სარაგოსა — ბილბაო	2,3	2,9	2,8
რასინგი — ბარსელონა	3,5	3,0	1,9
31 აგვისტო			
რეალი — ვილიარეალი	1,1	6,0	12,0
0:1	1,5	3,2	4,0

ესპანეთის ჩემპიონატი. II დივიზიონი. I ტური

29-30 აგვისტო			
სევილია — ორენსე	1,6	3,0	5,6
კომპოსტელა — რეკრეატიკო	1,35	4,0	6,5
0:1	2,1	3,2	2,1
ნუმანსია — მერიდა	2,5	2,9	2,5
ლეიდა — ლეგანესი	1,8	3,0	4,0
ლოგრონიესი — ბადახოსი	1,9	2,9	3,6
რაიო ვალეკანო — ოსასუნა	1,6	3,2	5,0
ატლეტიკო „ბ“ — ერკულესი	1,9	2,9	3,6
მალიორკა „ბ“ — ბარსელონა „ბ“	1,8	3,0	4,0
ლას პალმასი — ალბასეტე	1,6	3,0	5,6
სპორტინგი — ტოლედო	1,6	3,2	5,0
მალაგა — ეიბარი	2,5	2,9	2,5

პორტუგალიის ჩემპიონატი. II ტური

29 აგვისტო			
ბეირამარი — პორტუ	5,6	3,4	1,5
ფარენსე — ბრაგა	2,0	2,9	3,4
30 აგვისტო			
ალკადემიკა — კამპა მაიორენსე	2,0	3,0	2,8
ამადორა — სეტუბალი	1,6	3,0	5,6
რიუ ავე — ბენფიკა	4,4	3,1	1,7
მარიტიმუ — სალგეირუში	1,8	3,1	3,8
გიმარაეში — ლეირია	1,3	4,0	7,5
0:1	2,0	3,2	2,3
ალვერკა — ბოავიშტა	2,5	2,9	2,5

რუსეთის ჩემპიონატი. XXIII ტური

30 აგვისტო			
ალანია — როტორი	2,0	2,9	3,4
ჟემჩუჟინა — შინიკი	2,0	3,0	3,0
დინამო — ჩერნომორეცი	1,5	3,0	5,6
ლოკომოტივი — ზენიტი	1,9	2,9	3,6
ბალტიკა — სპარტაკი	3,3	3,0	2,0
კრ. სოვეტოვი — ცსკა	2,4	3,0	2,6
ურალანი — ტორპედო	1,8	3,2	3,3
ტიუმენი — როსტსელმაში	6,0	3,8	1,4

ჰოლანდიის ჩემპიონატი. II ტური

29 აგვისტო			
ეინდჰოვენი — ჰერენვენი	1,2	5,0	9,0
0:1	1,5	3,3	3,8
ტილბურგი — სიტარდი	1,6	3,1	5,3
აზ 67 — ვიტესი	2,5	2,9	2,5
30 აგვისტო			
ტვენტე — სპარტა	1,8	2,9	4,2
უტრეხტი — კამბური	1,5	3,4	5,6
ფეიენოორდი — მაასტრიხტი	1,1	6,0	12,0
0:1	1,5	3,3	3,8
ნაიმეგენი — ბრედა	1,9	3,0	3,5

ბელგიის ჩემპიონატი. II ტური

29 აგვისტო			
სტანდარდი — აალსტი	1,6	3,1	5,3
გენტი — ოსტენდე	1,5	3,4	5,6
ბევერენი — ანდერლეხტი	3,4	2,9	2,0
ბრიუგე — ეკერენი	1,25	4,4	8,0
0:1	1,7	3,2	3,2
მუსკრონი — ლომელი	1,8	3,0	4,0
ვესტერლო — სტ. ტრუიდენი	1,9	3,0	3,3
30 აგვისტო			
გენკი — ლიერსი	1,6	3,2	5,0
შარლეროა — ჰარელბეკი	2,0	2,9	3,4
კორტრაიკი — ლოკერენი	2,5	2,9	2,5

პოლონეთის ჩემპიონატი. VI ტური

29 აგვისტო			
ვიძევი — ოდრა	1,6	3,1	5,3
პოლონია — პოგონი	1,7	3,1	4,4
ზაგლებიე — გურნიკი	2,5	2,9	2,5
კატოვიცე — ლეგია	2,3	2,9	2,8
ლენი — რუხი	2,4	2,9	2,6
რაძიონკოვი — ვისლა	2,6	2,9	2,4
30 აგვისტო			
სტომილი — ლკს	2,5	2,9	2,5
ამიცა — ბელხატოვი	1,7	3,1	4,4

თურქეთის ჩემპიონატი. IV ტური

29 აგვისტო			
ფენერბაჰჩე — სამსუნი	1,15	5,6	10,0
0:1	1,5	3,2	4,0
30 აგვისტო			
ქოჯაელი — ტრაბზონი	2,5	2,9	2,5
გენჩლერბირლიგი — ადანა	1,3	4,0	7,5
0:1	2,0	3,2	2,3
ისთანბული — გალათასარაი	4,4	3,1	1,7
ბურსა — საქარია	1,5	3,6	5,0
გაზიანთეფი — ანკარაგიუჯუ	1,6	3,2	5,0
ანთალია — დარდანელი	1,5	3,5	5,3
ერზურუმი — ქარაბუქი	1,8	3,0	4,0

შოტლანდიის ჩემპიონატი. IV ტური

29 აგვისტო			
დანდი — სელტიკი	5,3	3,5	1,5
დანფერმლაინი — აბერდინი	2,4	2,9	2,6
რეინჯერსი — სტ. ჯონსტონი	1,2	5,0	9,0
0:1	1,6	3,2	3,5
კილმარნოკი — ჰარტსი	2,8	2,9	2,3
30 აგვისტო			
მოზერველი — დანდი იუნაიტედი	1,8	3,0	4,0

ავსტრიის ჩემპიონატი. VI ტური

29 აგვისტო			
ლინცერი — ტიროლი	1,6	3,0	5,6
ლუსტენაუ — შტაირი	1,7	3,1	4,4
ზალცბურგი — რიდი	1,4	3,6	6,5
0:1	2,1	3,2	2,1
30 აგვისტო			
რაპიდი — შტურმი	1,9	3,2	2,7

შვეიცარიის ჩემპიონატი. VIII ტური

29 აგვისტო			
ლუცერნი — სიონი	2,2	2,9	3,0
ბაზელი — გრასჰოპერი	3,0	2,9	2,2
არაუ — ლუგანო	1,8	3,0	4,0
ციურიხი — აინგ ბოისი	1,9	2,9	3,6
30 აგვისტო			
სერვეტი — ლოზანა	1,7	3,0	4,7

იტალიის თასის I წრე. საპასუხო მატჩები

29 აგვისტო			
ატალანტა — კრემონეზე	1,2	5,0	9,0
30 აგვისტო			
ნაპოლი — ლუკეზე	1,2	5,0	9,0
რავენა — ანკონა	1,6	3,2	5,0
კალიარი — ლუმეცანუ	1,1	6,0	12,0
რეჯინა — ლივორნო	1,2	5,0	9,0
ვერონა — ნოჩერინა	1,2	5,0	9,0
ლეჩე — მონცა	1,7	3,0	4,7
რეჯანა — პადოვა	1,5	3,3	6,0
ფოჯა — კიევო	1,8	3,0	4,0
ფ. ანდრია — გუალდო	1,4	3,6	6,5
ბრეშა — კატანია	1,2	5,0	9,0
ტორინო — ალცანო	1,1	6,0	12,0
ტრევიზო — კოზენცა	1,4	3,6	6,5
პესკარა — ჩეზენა	1,6	3,0	5,6
ჯენოა — ტერნანა	1,1	6,0	12,0
31 აგვისტო			
პერუჯა — დი სანგრო	1,2	5,0	9,0

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ.

მყინვარწვერი

ალპინიზმიც იშვა ბეთლემსაო?

მყინვარწვერზე

იმ ღამით დიდი ილიას განდეგილის ადგილ-სამყოფელში 4000 მეტრის სიმაღლეზე ძლიერი ქარი ამოვარდა, მაგრამ მისი „ზარით და ზათქით კლდეებში ქროლა“ სულაც არ გვაღელვებდა, რაკილა სამებას სახელზე აღმართულ ტაძარში ვიყავით შეყუჟულნი. სწორედ აქ, უფსკრულის პირზე, „სადაც დიდებულს მთასა მყინვარსა, ორბნი არწივნი ვერ შეჰხებიან“, ინება ახალციხელმა ეპისკოპოსმა ნიკოლოზმა ტაძრის აღმართვა. ტაძრის დადგმა-გამაგრება საღამოს ბინდბუნდში გავასრულეთ. ახლა საქმე მეუფეზე მიმდგარიყო და ისიც საკურთხეველს ამზადებდა, ჩვენ კი, უსაქმოდ დარჩენილი მთამსვლელები მეუფეს თავისი იდეის ფრთაშესხმაში რომ დავეხმარეთ, ამ მთისა და იმ ბარის ამბავს ვიხსენებდით.

გავიხსენეთ სახელგანთქმული ინგლისელი მთამსვლელი და გეოგრაფი დუგლას ფრეშფილდი, რომელიც თავის თანამემამულეებთან მურთან, ტაკერთან და მთაში მუდმივ თანამგზავრ დევასესთან ერთად პირველი ავიდა მყინვარწვერზე.

მას შემდეგ ზუსტად 100 წელი გასულა.

ამ საუკუნოვან იუბილემდე არავინ დაეჭვებულა მყინვარწვერზე ფრეშფილდის წარმატებულ ლაშქრობაზე, ალბათ, არც მომავალში დაეჭვდებიან, მაგრამ საკითხავი ის არის, მართლაც ამ ბრიტანელს ეკუთვნის პირველობის გვირგვინი? მაშ რა ვუყოთ იოსებ მღვდელს, ვინც მეფე ერეკლეს დროს ასულა მყინვარწვერზე, როგორც ამას იოანე ბატონიშვილი გვამცნობს თავის „კალმასობაში“? ან რა ვუყოთ ბერ მამუკას, რომელსაც იმ შორეულ წლებში, მოხევეთა გადმოცემის თანახმად, თავის ძმისწულთან ერთად გადმოუხედია მყინვარწვერიდან?

მეტიც — იქნებ სულაც სწორედ მათი ლაშქრობებით იწყება არა თუ მყინვარწვერზე ასვლების ისტორია, არამედ მსოფლიო მთამსვლელობის მატიანეც?

მაგრამ მივყვეთ თანმიმდევრულად, რაც გაგვახსენდა თვალშეუდგამ სიმაღლეზე მყოფთ, „სად წვიმა-თოვლნი, ყინულად ქმნილნი, მზისგან აროდეს არა დნებიან“.

* * *

შამონში, დასავლეთ ევროპის უმაღლეს მწვერვალ მონბლანის მახლობლად უამრავმა ხალხმა მოიყარა თავი. უმრავლესობა მთამსვლელები იყვნენ. იქ შეკრებილებმა მსოფლიო ალპინიზმის 200 წლისთავი აღნიშნეს. მაშინ 1986-ის ზაფხულის მიწურული იყო. შეკრებილებმა მოიგონეს გლეხი ჟაკ ბალმა და ექიმი მიშელ გაბრიელ პაკარი, რომლებიც 1786 წლის 8 აგვისტოს მონბლანზე ავიდნენ. თუმცა, მაშინ არც ჟაკ ბალმამ და არც მიშელ პაკარმა არ იცოდნენ, რომ ისინი დასავლეთ ევროპის „სახურავზე“ ავიდნენ. ეს ცნობილი გახდა მხოლოდ 1820 წელს, როცა მონბლანი გაზომეს. ბალმასა და პაკარს ალბათ წარმოდგენაც არ შეეძლოთ, რომ მათი ასვლა სათავეს დაუდებდა მთამსვლელობას, რომელსაც მონათლავდნენ ამ მთების სახელიდან წარმომდგარი სახელწოდებით „ალპინიზმი“.

ზოგიერთი ისტორიკოსი თვლის, რომ ალპინიზმის „დაბადების დღე“ 1336 წლის 26 აპრილიაო. იმ დღეს იტალიელი პოეტი და ჰუმანისტი ფრანჩესკო პეტრარკა თავისი სამშობლოს მთებში, ზღვისპირა ალპებში ვოკლიუზის მახლობლად აღმართულ მწვერვალ მონტ ვენტუსკზე (1912 მ.) ავიდა. თუმცა, პეტრარკაზე 45 წლით ადრე აპენინის მთებში მწვერვალი სოგლიო (1344 მ.) დალაშქრა სხვა იტალიელმა პოეტმა-ჰუმანისტმა დანტე ალიგიერიმ.

ადამიანებს მწვერვალები მანამდეც იზიდავდნენ და ადიოდნენ კიდეც. ასეთ ცნობებს ყველაზე სრულყოფილად გვაწვდის გერმანელი ავტორი კარლ ციაკი თავის წიგნში „მთები და ადამიანები“. ახლა შეუძლებელია იმის დადგენა, თუ პირველად ვინ, სად და როდის ავიდა მწვერვალზე.

ციაკის ქრონოლოგიის მიხედვით, პირველი ცნობილი ასვლა ჯერ კიდევ ქრისტეს დაბადებამდე 440 წელს სიცილიის მეფე ადრიანმა განახორციელა ვულკანურ მწვერვალ ეტნაზე. ჩვენს წელთაღრიცხვამდე 334 წელს ალექსანდრე მაკედონელი მცირე აზიაში სიაჩეს მასივის ერთ-ერთ მწვერვალზე ასულა.

იმ ქრონოლოგიაში ყურადღებას იპყრობს იაპონელი ენ ნო შიკაკუს ასვლა თავისი ქვეყნის უმაღლეს მწვერვალ ფუძიამაზე (3776 მ.); ჯერ კიდევ 1502 წელს 5000 მეტრი სიმაღლეს გადააბიჯა აცტეკთა ბელადმა, მონტეზუმამ, რომელიც პოპოკატეპეტლზე (5452მ.) ავიდა.

ციაკისა თუ სხვათა ქრონოლოგიაში შეხვდებით კიდევ მრავალ საინტერესო სახელს, მათ შორის ლეონარდო ვინჩისას. 1697 წელს საშრეთ გერმანიაში ბროკენის მთაზე ასულა ჯერ კიდევ ჭაბუკი პეტრე I.

თუ გავითვალისწინებთ იმ შორეულ წარსულში „მთამსვლელთა“ საზოგადოებრივ მდგომარეობას, ნათელი გახდება, რომ მათთან ერთად მწვერვალებზე ადიოდნენ სხვებიც, რომელთა სახელებიც ქრონოლოგიამ არ შემოგვინახა. მაგალითად, 1669 წელს თურქეთის სულთანი, მუჰამედ IV ოლიმპოს წვერზე (2911 მ.) ტახტრევანზე დასვენებული ასობით მონამ აასვენა და ზემოთ წამოასკუპა.

მაგრამ საინტერესოა, რა იყო ის ძალა, რომელიც ადამიანებს ანდამატივით იზიდავდა თვალშეუდგამი მწვერვალებისკენ.

რაკი მწვერვალებზე ასვლების ისტორია ჟაკ ბალმასა და მიშელ გაბრიელ პაკარის ლაშქრობით დავიწყეთ, ჯერ მათ ანდამატზე მოგახსენეთ.

მონბლანზე ასვლის იდეა ამ ფრანგებს კი არა, ჟენეველ ორას-ბენედიქტ სოსიურს უკეთვნოდა. იგი გახლდათ ფიზიკოსიც, ბოტანიკოსიც, გეოლოგიც, ზოოლოგიც, ფილოსოფოსიც, ლათინისტიც, ელინისტიც და ვინ მოთვლის, კიდევ ვინ. მონბლანის ნახვის შემდეგ მან მოსვენება დაკარგა, მაგრამ იცოდა, რომ ასვლა იოლი არ იქნებოდა და ამისთვის სერიოზული მომზადება იყო საჭირო. ფულადი პრემიაც დააწესა იმისთვის, ვინც მწვერვალისკენ გზას უჩვენებდა და გაჰყვებოდა. მაგრამ ჯილდო, როგორი მაცდურიც არ უნდა ყოფილიყო, ასე ადვილად ვერავის მოხიბლავდა, რადგან იმ დროს მონბლანზე ასვლა უგუნურობად მიაჩნდათ. ბევრი ასეთ წამოწყებას თვითმკვლელობად თვლიდა. ამიტომ ბენედიქტ დე სოსიურის პრემია დიდხანს ხელუხლებლად რჩებოდა. მისი მოპოვება მხოლოდ 15 წლის შემდეგ გადაწყვიტეს, მიზანს კი უფრო გვიან მიაღწიეს და სოსიურსაც გამოუჩნდნენ გზის მაჩვენებელ-მეგზურნი.

მონბლანზე პირველ ამსვლელთა ანდამატი თუ მეტად მიწიერი რამ — ფული — იყო, მათი წინამორბედნი სულ სხვა მიზნებს აუყვანია მწვერვალებზე.

ალექსანდრე მაკედონელი იქ სამხედრო თვალსაზრისით ასულა; აცტეკთა ბელადი თურმე იმ უშველებელ სიმაღლეზე ვულკანიზმის შესწავლის სურვილს აუყვანია; ამომავალი მზის ქვეყნის შვილებს დღეს კი სჯერათ, რომ ფუძიამაზე რაც ზემოთ ავლენ, ცოდვებისგან მით უფრო განიწმინდებიან და სხვა მიზანი არც ენ ნო ჩიკაკუს უნდა ჰქონოდა.

ჭაბუკი პეტრე პირველი დუქნის მეპატრონესთან სანაძლეოს ღამის ორ საათზე აუყვანია ბროკენის მთაზე, თავისი იქ ყოფნა კი მწვერვალზე ცეცხლის დანებით დაუდასტურებია. ამით მას დაუმტკიცებია, რომ ბროკენის მთა მოჯადოებული სულაც არ არის (გეორგაფიულ ლიტერატურაში ფართოდ გავრცელებული ტერმინიც კი არსებობს „ბროკენის მოჩვენება“).

აი, სულთან მოჰამედ IV კი ძველი საბერძნეთის ღმერთების შურით აღვსილა და მათთან გასატოლებლად მისივე ბრძანებით, ოლიმპოზე აუტანიათ.

ოლიმპოზე, რა თქმა უნდა, სულთანს შემთხვევით არ დაუდგამს თვალი. ანტიკური მითოლოგიის თანახმად ხომ ბერძენთა ღმერთები ოლიმპოს მთაზე, თავიანთ სავანეში ერთ დიდ ოჯახად ცხოვრობდნენ უზენაეს ღვთაება ზევსთან ერთად, ვინც ღმერთთა და კაცთა მამაა.

სხვა მრავალ ხალხთა მითებშიც და წარმოდგენაში ღმერთთა სავანე სადღაც ცაში ან თვალშეუდგამ მწვერვალებზეა. ასეა ნეპალშიც, დედამიწის თოთხმეტიდან ერთ-ერთ 8000-იან მწვერვალ მანასლუზეც, სადაც მის მისადგომებთან მცხოვრები გურკჰთა ტომის ხალხს ღრმად სჯერა, რომ მანასლუს კენწეროზე თავიანთი ღმერთის, კანბუნგეს სავანეა. გურკჰთა აზრით, ერთხელ კანბუნგე ძალზე გაწყრებულა, როცა იაპონელები გბაჯღიჯრებულან და მანასლუზე პირველ ასვლას ლამობდნენ. წმინდა ადგილის შებილწვისთვის კანგბუნგეს იქაურობისთვის რისხვა თავს დაუტეხია. ამიტომ იაპონელებს გურკჰები კიდევ ერთი ცდისთვის მანასლუს სიახლოვეს აღარ აკარებდნენ. მერე იაპონელ მთამსვლელთა მეთაური სოფელ სამას უხუცესს შეევედრა, თქვენსავით ბუდისტები ვართ, მანასლუზე რა დაგვიკარგავს, სალოცავად უნდა ავიდეთო. ამან გასჭრა, იაპონელები მართლაც გახდნენ პირველნი, რომლებმაც მანასლუდან გადმოიხედეს, მაგრამ იქ ვერც ღმერთი ნახეს, ვერც მისი კვალი.

ვნახოთ, ნახავენ თუ არა ღვთაება კანბუნგეს ჩვენი მთამსვლელები, რომლებიც ახლა სწორედ მანასლუსკენ მიმავალ გზას ადგანან.

მანასლუ თუ გურკჰთა რწმენით თავიანთი ღმერთის საბრძანებელია, სხვა ხალხთა მითებშიც მრავლად არის უზენაესთა საუფლოები მწვერვალებზე, ზოგ მწვერვალზე კი ადგილობრივ მკვიდრთა აზრით ავსულები ბატონობენ.

გვახსენდება ბრუტსაბძელა (3670 მ.), რომელიც შიდა ქართლში აღმართულა. ეს კლდოვანი მწვერვალი, რომელიც ქართლის კავკასიონზე ყველაზე მაღალია, კარგად ჩანს გორი-ხაშურის გზიდან.

ბრუტსაბძელას ქართლელები რატომღაც იალბუზსაც უწოდებენ, თუმცა ამ სახელით მონათლული ევროპის უმაღლესი პიკი საქართველოში საერთოდ არ არის და ჩრდილოეთ კავკასიონზე აღმართულა.

„ცნობილი ქართველი მწერლის, გიორგი წერეთლის ჩანაწერების თანახმად, ბრუტსაბძელის მწვერვალი მიაჩნდათ იმ ადგილად, სადაც ღვთის მიერ დაბმულია ზღაპრული ავსული როკაპი. მისი გრძელი წვერი მიწაზე დაფენილა. ჭიაკოკონობის ღამეს ცოცხებზე გადამჯდარი მთელი ქვეყნის კუდიანებს თითო კენჭი მიაქვთ როკაპთან და კბილებში ესვრიან მათ მიერ დაღუპული ადამიანების სულის შეწირვის ნიშნად“, — იხსენებდა ერთ-ერთი უხუცესი ქართველი მთამსვლელი ლევან მარუაშვილი.

სხვა ქართველ მთამსვლელებთან ერთად, 1929 წელს ბრუტსაბძელაზე ამავალ ლევან მარუაშვილს მწვერვალზე შორიდან ვერცხლის ჯვრები მოჩვენებია. როცა იქ ასულა, ის ჯვრები აღმოჩენილა „არყის ხის გამოფატული, ჟამთა ვითარებაში თოვლივით გათეთრებული, ადამიანის ხელით გამთლილი ორი ძელი, რომელიც ჩასმული იყო ორივე მწვერვალზე წამოდგმულ, დიდი მოთმინებით ნაგებ კოშკურებში. მერქანი იმდენად იყო გამოფიტული, რომ ხელით იფშვნებოდა, მაგრამ ლპობის ნიშნები არ ეტყობოდა. ძელების მთელი ზედაპირი დასვრეტილი იყო“.

მთამსვლელებს იქვე უნახავთ უცნაური ნაგებობის ნაშთები. ეს იყო „ვერტიკალურად ჩასმული გათლილი არყის ხის ძელების გადატეხილი ძირები, რომლებიც ქმნიდნენ დაახლოებით 2 მეტრი სიგრძისა და 1 მეტრზე ნაკლები სიგანის სწორკუთხედს. ოღეს�lაც აქ ხის ქოხი მდგარა. მისი ზომა და მოყვანილობა მოწმობდა, რომ იგი მხოლოდ ერთი ადამიანის დასაწოლად იყო გაანგარიშებული. ნაგებობის დათვალიერების შემდეგ ჩემთვის აშკარა გახდა, რომ კოშკურებში ჩასმული ძელები სწორედ აქედან უნდა ყოფილიყო აღებული“.

ასე აღწერა „განდეგილის სავანე“ ლევან მარუაშვილმა.

ახლა, ბეთლემის განდეგილის საბრძანებლის მახლობლად იმ კუნაპეტში სამებას სახელზე აღმართულ ტაძარში შეყუჟულნი დავით ჩანტლაძეს ვაამბობინებთ ბრუტსაბძელაზე რამდენიმეწლისწინანდელ ასვლას, რადგან ამ მწვერვალზე ჩვენთაგან მხოლოდ ის ყოფილა, მაგრამ იქ მსგავსი არაფერი უნადავს, ვერც ნახავდა, რადგან თავად ლევან მარუაშვილს, ათი წლის მერე მეორედაც რომ ასულა ბრუტსაბძელაზე, იქ ერთი ხის ნატეხიც ვეღარ უპოვია, რადგან მასობრივ ასვლებს მწვერვალზე ადამიანის ყოფის კვალი წაუშლია.

აქ კი, დიდი ილიას განდეგილის ნაბინავარში, მის მიდამოებში ამგვარი კვალი მრავლად არის, მაგრამ მანამ ამ ნაკვალევზე შევჩერდებოდეთ, ის ვიკითხოთ, თუ აქ, კავკასიონის ერთ-ერთ ბუმბერაზ და ულამაზეს მწვერვალ „ხევის პატარძალზე“ იმ შორეულ წარსულში რამ ამოიყვანა მღვდელი იოსები?

ეს საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარეს ილია II კკითხეთ, როცა თავის რეზიდენციაში მყინვარწვერის ფერდობზე ტაძრის დადგმის შემდეგ მიგვიწვია. მის პასუხს მომავალ ნომერში გაგაცნობთ.



ქრისტესშობამდე 218 წელს ჰანიბალის არმიამ ალპები სპილოებით გადალახა



ფრანჩესკო პეტრარკა

ამთანდილ გურასაშვილი
ავტორის ფოტოები

პატრიკ რაფტერი

US OPEN

ორშაბათს „ფლეშინგ მედოუ პარკში“ განლაგებულ ეროვნული ჩოგბურთის ცენტრში წლევანდელი სეზონის ბოლო უდიდესი ტურნირი — ამერიკის ღია პირველობა იწყება. ეს შეჯიბრი დიდი სლემის ოთხ ტუნირთაგან ყველაზე პრესტიჟულად არ ითვლება, მაგრამ საკმაოდ მაღალი საპრიზო ფონდი (1 000 078 $) აქვს და ამიტომ მსოფლიოს საუკეთესო ჩოგბურთელთაგან თითოეული მთელი მონდომებით იბრძოლებს იმისთვის, რათა ორი კვირის შემდეგ არტურ ეშის სახელობის კორტზე გათამაშების´ მთავარი პრიზით ხელდამშვენებული წარსდგეს ადგილობრივი მაყურებლის წინაშე

მარტინა ჰინგისი

რა დროს გართობაა, საქმე მილიონებს ეხება

ამერიკის ღია პირველობა, რომელსაც სავარაუდოდ 500 ათასზე მეტი მაყურებელი მიადევნებს თვალს, ყოველთვის ასეთივე გრანდიოზული და წარმომადგენლობითი როდი იყო, როგორიც დღესაა.

ხუთი უმთავრესი ჩემპიონტის ერთადერთ წინაპარს, როგორც ვაჟთა და ქალთა ერთეულ და წყვილთა თანრიგში, ასევე შერეულ წყვილებში, წარმოადგენდა ერთეულ თანრიგში მონაწილე ვაჟების ტურნირი, რომელიც ძირითადად საზოგადოების მაღალი ფენების გუნება-განწყობის გამოსაკეთებლად და გასართობად ეწყობოდა.

პირველი გათამაშება ჯერ კიდევ 1881 წლის აგვისტოს ნიუპორტში ჩატარდა. როგორც ვთქვით, ერთმანეთს მხოლოდ ვაჟები ეჯიბრებოდნენ და თანაც ასპარეზობაში მონაწილეობის უფლება მარტო ამერიკის ეროვნული ჩოგბურთის ასოციაციის მუდმივ წევრებს ჰქონდათ.

თავიდან, შვიდი სეზონის მანძილზე, შეჯიბრის ერთადერთი მასპინძელი ნიუპორტი გახლდათ, სადაც ვაჟთა ერთეულოვანი თანრიგის გარდა წყვილთა ტურნირებიც იმართებოდა.

ჩვენი საუკუნის დამდეგს წყვილთა ჩემპიონატმა ერთგვარი რეგიონალური სტატუსი შეიძინა. მონაწილეები პირობითად აღმოსავლეთ და დასავლეთ სექციაში იყვნენ განაწილებულნი და მათ შორის საუკეთესოს წინა წლის გამარჯვებულთან შეხვედრის უფლება ეძლეოდა. 1907 წელს წყვილთა შეჯიბრში სამი წინასწარი ეტაპი შემოიღეს, მაგრამ ასეთი სისტემით უკმაყოფილო სპორტსმენთა მოთხოვნის გათვალისწინებით მალევე შეცვალეს.

ეს რაც შეეხება ვაჟებს. ქალები კი ამერიკის ღია პირველობაში 1887 წლიდან ჩაებნენ. ერთეულთა თანრიგში შეხვედრები სუსტი სქესის წარმომადგენელთათვის ფილადელფიის კრიკეტის კლუბში ეწყობოდა.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ხუთ სხვადასხვა სახეობაში ჩემპიონატის გათამაშება ამერიკელებმა 1968 წლიდან დაიწყეს. ეს ფაქტობრივად ახალი ერის დასაწყისი იყო დიდი სლემის ერთ-ერთი უმსხვილესი ტურნირის ისტორიაში. მანამდე კი ვაჟთა და ქალთა შეჯიბრის გამართვის დრო ერთმანეთს არ ემთხვეოდა, ხშირად იქმნებოდა ორგანიზაციულ საკითხებთან დაკავშირებული პრობლემები და მთლიანად ამერიკის ღია პირველობა ქაოტურად მოქმედი ხელმძღვანელების ხელში ჩავარდნილ რაღაც გაურკვეველ სტრუქტურას ჰგავდა.

მრავალმა ძნელმა ათწლეულმა და ამ ხნის განმავლობაში დაგროვილმა უდიდესმა გამოცდილებამ ბოლოს მაინც თავისი გაიტანა. შრომისმოყვარეობით სახელგანთქმულმა ამერიკელებმა იმდენს მიაღწიეს, რომ მათ ქვეყანაში გამართული ტურნირი ყველანაირი თვალსაზრისით ერთ-ერთი საუკეთესოა მსოფლიოში და იქ გამარჯვება უდიდეს პატივად ითვლება.

ფავორიტები

ბოლო 10 წლის გამარჯვებული ვაჟები

1988........................ მათს ვილანდერი
1989........................ ბორის ბეკერი
1990........................ პიტ სამპრასი
1991........................ სტეფან ედბერგი
1992........................ სტეფან ედბერგი
1993........................ პიტ სამპრასი
1994........................ ანდრე აგასი
1995........................ პიტ სამპრასი
1996........................ პიტ სამპრასი
1997........................ პატრიკ რაფტერი

მიუხედავად იმისა, რომ გასულ სეზონში ტურნირი 25 წლის ავსტრალიელმა პატრიკ რაფტერმა მოიგო, წლევანდელი გათამაშების ფავორიტად მაინც პირველ ნომრად განთესილი პიტ სამპრასი ითვლება. „მისტერ ტენისი“ კენჭისყრის უკმაყოფილო ნამდვილად ვერ იქნება. მას პირველ წრეებში სერიოზული მეტოქე არ ხვდება და მრავალი სპეციალისტის აზრით, საუკეთესო ოთხეულში მოხვედრა არ უნდა გაუჭირდეს.

გამარჯვების უპირველეს კანდიდატთა შორის უნდა მოვიხსენიოთ შარშანდელი ტრიუმფატორი ოზი პატრიკ რაფტერი და ჩილელი მარსელო რიოსი. ამ უკანასკნელმა წელს ორჯერ მოახერხა და სამპრასს მსოფლიოს საუკეთესო ჩოგბურთელთა სიაში მეორე ადგილზე ჩაანაცვლებინა. რაფტერი კი ყოველთვის დამაჯერებლად ასპარეზობს და თანაც უეჭველია ერთი წლის წინ ოფლის ფასად მოპოვებულ ტიტულს, ალბათ, მეტოქეებს ადვილად არ დაუთმობს.

სხვებს რაც შეეხებათ, ჩეხი პეტრ კორდა მეოთხე ნომრად განთესილი კია, მაგრამ ამ ბოლოხანებში ფორმა აშკარად დაკარგა და არა გვგონია, შარშანდელი შედეგის გამეორება შეძლოს, როდესაც გამარჯვების უპირველეს კანდიდატ სამპრასს ბრწყინვალე სტილში მოუგო და ტურნირი ნაადრევად დაატოვებინა.

წინა გათამაშების ფინალისტი ბრიტანელი გრეგ რუზეცკი მთლად უშანსოდ არ არის, იგივე შეიძლება ითქვას ტიმ ჰენმანზეც. ხორვატი გორან ივანიშევიჩი საერთოდ ამოუცნობია, ხოლო აქეთ კი ესპანური ესკადრა — მოიას, კორეთხას, ბერასატეგისა და სხვათა შემადგენლობით ილესავს კბილებს.

მოკლედ, ვაჟთა ტურნირის წინ ტრადიციულად სრული გაუგებრობაა და სადღეისოდ ვერავინ იტყვის, ვინ იქნება ამერიკის ღია პირველობის 116-ე ჩემპიონი.

პიტ სამპრასი

ბოლო 10 წლის გამარჯვებული ქალები

1988........................ შტეფი გრაფი
1989........................ შტეფი გრაფი
1990........................ გაბრიელა საბატინი
1991........................ მონიკა სელეში
1992........................ მონიკა სელეში
1993........................ შტეფი გრაფი
1994........................ არანტა სანჩეს-ვიკარიო
1995........................ შტეფი გრაფი
1996........................ შტეფი გრაფი
1997........................ მარტინა ჰინგისი

ინტერესმოკლებული, ბუნებრივია, არც ქალების ჩემპიონატი იქნება. გამარჯვების მთავარ პრეტენდენტად, შარშანდელის მსგავსად, შვეიცარელი მარტინა ჰინგისი ითვლება. თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ მას აგერ უკვე სამი თვეა, არც ერთ ტურნირში არ უმარჯვია, რითაც თავის კონკურენტებს გათამამების საშუალება მისცა.

ასეთებად კი უპირველესად დები უილიამსები, ანა კურნიკოვა და ამ ბოლო დროს საუცხოოდ მოთამაშე ლინდსი დევენპორტი უნდა მივიჩნიოთ. არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება „ძველი გვარდიის“ დავიწყებაც. ესპანელები — სანჩეს-ვიკარიო და მარტინესი, ჩეხი ნოვოტნა და გაამერიკელებული იუგოსლავიელი მონიკა სელეში ის ჩოგბურთელები არიან, წლებს რომ არ იმჩნევენ და ნებისმიერ დროს უდიდესი სიურპრიზის შემოთავაზება ძალუძთ.

აქვე ისიც სათქმელია, რომ ამერიკის ღია პირველობაზე მუხლის ტრავმით გატანჯული გერმანელი შტეფი გრაფიც იასპარეზებს. რა თქმა უნდა, გრაფს ბევრი გაუცდა და ასეც რომ არ იყოს, ყოფილი ნომერი პირველი ძველის აჩრდილიღაა დარჩენილი, მაგრამ ის რომ დიდი სლემის 21 ტიტულის მომგებს ზურგს უდიდესი გამოცდილება უმაგრებს და ადვილად არავის დანებდება, ფაქტია.

მოკლედ, წლის უკანასკნელ დიდ ტუნირს შესაბამისი ინტრიგა უძღვის წინ და იმედია, მის უპრობლემოდ ჩატარებას, უიმბლდონისგან განსხვავებით, ამერიკული ამინდი ხელს არ შეუშლის.

ირაკლი ხმელიძე

1/32 — 1/16 — 1/8 — 1/4 — 1/2

- სამპრასი (1) — გელნერი
- გოლდშტეინი — ილიე
- პარკი — ტილსტრომი
- დოსედელი — დევულფი
- დენტი — შერჩეული
- საფინი — გუსტაფსონი
- გიმელშტობი — უ. ბლექი
- მუსტერი — ბერასატეგი (15)
- კუჩერა (9) — კემპბელი
- გოლმარდი — ნოვაკი
- ბრაიანი — ონდრუშკა
- ვოინეა — გაუდენცი
- დამი — შალკენი
- შერჩეული — სანგვინეტი
- რაუქსი — ესკუდე
- გროსჟანი — აგასი (8)
- რაფტერი (3) — არაზი
- მარინი — გუმი
- შერჩეული — შერჩეული
- შერჩეული — კუერტენი
- ბლანკო — კანასი
- ალონსო — ჰაარხუსი
- მარტინი — ტარანგო
- ვუდფორდი — ივანიშევიჩი (14)
- ბიორკმანი (12) — პიოლინი
- შერჩეული — სტარკი
- შერჩეული — კოსტა
- ლაპენტი — სანტორო
- პესკარიუ — სიმერინკი
- როსე — ჰრბატი
- ულირახი — სარგსიანი
- ფერეირა — რუზეცკი (6)
- კრაიჩეკი (5) — კლემენტი
- ო ბრეინი — პაესი
- დრეეკმანი — ფრომბერგი
- იოჰანსონი — მელიგენი
- კლავეტი — პაველი
- კიფერი — რუ
- ბურილო — ჰაასი
- ვან შეპინგენი — კაფელნიკოვი (11)
- ჰენმანი (13) — დრეიპერი
- მანტია — სტივენი
- ვუდბრიჯი — შერჩეული
- შერჩეული — შერჩეული
- რუუდი — ფილიპუსისი
- ლარო — დელგადო
- კარლსენი — არნოლდი
- შერჩეული — კორდა (4)
- კორეთხა (7) — პოცი
- შერჩეული — სტოლტენბერგი
- სპადეა — ბ. ბლექი
- პრინოსილი — ვისენტე
- ნორმანი — ნესტორი
- გემბილი — შერჩეული
- შერჩეული — ჩანგი
- პუერტა — მოია (10)
- კოსტა (16) — გროსი
- შერჩეული — ბრუგერა
- მედვედევი — ვან ლოტუმი
- სანჩესი — გრანტი
- ლარსონი — ვაშინგტონი
- სკულარი — ფილიპინი
- რასელი — შერჩეული
- ვაჩეკი — რიოსი (2)

1/32 — 1/16 — 1/8 — 1/4 — 1/2

- ჰინგისი (1) — შერჩეული
- ჰუბერი — მაიოლი
- შერჩეული — მორესმო
- შერჩეული — საეკი
- სანგ ჰი პარკი — ნემეჩკოვა
- პაულუსი — დეში
- ლი — გარსია
- დრაგომირი — სუგიამა (16)
- ვან რუსტი (14) — ალარი-დეკუგი
- სტუდენიკოვა — გრჟიბოვსკა
- გრანვილე — სუარესი
- გიუზი — პო
- შერჩეული — კლეინოვა
- შერჩეული — ა. მილერი
- კრუგერი — რიტნერი
- ლაბატი — სელეში (6)
- ნოვოტნა (3) — კაპრიატი
- კოშეტო — დოპფერი
- ჰრდლიჩკოვა — შვარცი
- ტესტიუ — ში ტინგ ვანგი
- ტანსუგარნი — შერჩეული
- ს. უილიამსი — პრატი
- ტატარკოვა — შერჩეული
- ლიხოვცევა — სპირლეა (9)
- სნიდერი (11) — იოშიდა
- ფრეზერი — რიპნერი
- ფერნანდესი — შერჩეული
- სტივენსონი — ფუზაი
- ლუჩიჩი — ბოგერტი
- სავამაცუ — ვალერო
- შერჩეული — შაგნესი
- მორარიუ — გრაფი (8)
- ვ. უილიამსი (5) — ვაგნერი
- შერჩეული — ბაზუკი
- შერჩეული — დე სვარდტი
- ნეილანდი — პანოვა
- სერნა — ვენტო
- გალიარდი — გოლარსა
- უები — ბლექი
- ბაბელი — პირსი (12)
- კურნიკოვა (15) — გირარდი-რუბი
- შერჩეული — ბობკოვა
- ბალერი — კ. მილერი
- ფარინა — სმაშნოვა
- კარლსონი — სმიტი
- პიტკოვსკი — ჰაბსუდოვა
- შერჩეული — გრანდე
- ბრანდი — სანჩეს-ვიკარიო (4)
- მარტინესი (7) — ორემანსი
- დიას-ოლივა — შერჩეული
- ზვერევა — მაკქუილანი
- ლორენცო — რეიმონდი
- ვაშინგტონი — შეტი
- მიიაგი — პლიშკე
- შერჩეული — შერჩეული
- საკიჩი — კუტცერი (13)
- ტაუზია (10) — პერფეტი
- ბარაბანშიკოვა — სიდოტი
- ლიჩი — რუბინი
- ნაგიოვა — გერსი
- სნიდერი — გლასი
- პასკუალი — ნეიდელი
- რიფსი — მაკქეილი
- კრისტეა — დევენპორტი (2)



შუმი მეხუთე გამარჯვებისთვის ემზადება

როცა გული წამით ჩერდება

სპა-ფრანკორშამპზე რბოლები 1922 წლიდან ტარდება და ამინდის მოულოდნელი ცვალებადობით არის ცნობილი. უსწრაფესი ტრასა განსაკუთრებულ მოთხოვნებს უყენებს ძრავებს, გადაცემათა კოლოფს და საბურავებს.

წლევანდელი რბოლის ფავორიტები კვლავ „მაკლარენის“ წყვილი და მიხაელ შუმახერი არიან. ამ უკანასკნელისათვის ეს ტრასა იღბლიანიც გახლავთ. სწორედ აქ შედგა მისი დებიუტი და პირველ წარმატებასაც აქ მიაღწია, 1992 წლის შემდეგ კი 4-ჯერ გაიმარჯვა ბელგიაში. შარშანაც რბოლამდე წამოსული წვიმის შემდეგ სწორად შეაფასა შექმნილი ვითარება, სტარტზე მის წინ მდგომნი, ტრასიდან პეის-კარის გასვლის შემდეგ სწრაფად ჩამოიტოვა და პირველობაც არავის დუთმო.

საუკეთესო ადგილისათვის ჟაკ ვილნევი და „ჯორდანის“ წყვილიც იბრძოლებენ, რომლებიც ბოლო რბოლებში საკმაოდ ძლიერად ასპარეზობენ. მსოფლიოს ჩემპიონს ძალიან მოსწონს ეს ტრასა და აცხადებს: „როდესაც მთელი სისწრაფით ეშვებით მთავარი ტრიბუნის წინ და „ო რუჟის“ მოსახვევში შედიხართ, გული წამით ჩერდება. ამ მოსახვევს 300 კმ-სთ სიჩქარით რომ გადიხართ, ხვდებით, ცხოვრებაში რაღაცას მიაღწიეთ“.

ამ ეტაპამდე გუნდებს რბოლისათვის მზადების გარდა სხვა საფიქრალიც უჩნდებათ — შემოდგომის მოახლოებასთან ერთად ახლოვდება ის დროც, როცა მომავალი სეზონისათვის პილოტების, ძრავებისა და ახალი სპონსორების მოზიდვისათვის უნდა იზრუნონ. „ფერარიმ“ საგაისოდაც შეინარჩუნა შემადგენლობა. შუმიმ 2002 წლამდე გააფორმა კონტრაქტი და ამისათვის, როგორც ამბობენ, წელიწადში 50 მილიონ დოლარს მიიღებს, რაც სარეკორდოა ფორმულა 1-სთვის. მის გვერდით კვლავ ირვინი იასპარეზებს, რომელსაც ისევ ერთწლიანი კონტრაქტი აქვს, თუმცა კი ხელფასი 7 მილიონ დოლარამდე გაეზარდა.

„უილიამსი“ კი გაისად შეიძლება სრულიად ახალი შემადგენლობით ვიხილოთ. ჟაკ ვილნევი BAR-ში აპირებს ასპარეზობას, სადაც 15 მილიონს გადაუხდიან. პარტნიორად შესაძლოა მიკა სალო ჰყავდეს.

გაურკვეველია ფრენცენის საკითხი, მას „ზაუბერიც“ იწვევს (სადაც სულ უფრო მწვავდება ურთიერთობა ალეზისა და ჰერბერტს შორის) და CART-შიც ეპატიჟებიან. მათ შემცვლელებად კი რალფ შუმახერსა და ალექს ძანარდის ასახელებენ. ჰაინც ჰარალდ ფრენცენის ბელგიაში ასპარეზობა სათუო გახლდათ, მის მაგივრად ტესტებზე მონტოია და მაქს ვილსონი მიიწვიეს, მაგრამ ამჟამად ჰა-ჰა თავს უკეთ გრძნობს და ვარჯიშსაც შეუდგა.

ამას ემატება ისიც, რომ მეკაქრომას ინტერესებს გაისად ფლავის ბრეატორეს სუპერტეკი დაიცავს და ამ ძრავის კლიენტებს („ბენეტონი“, „უილიამსი“, BAR-ი) უფრო ძვირი დაუჯდებათ, ფრანკ უილიამსს კი ძრავების მიღება რენო-მეკაქრომ-უილიამსის სამმხრივი შეთანხმების მიხედვით სურს.

ძრავასთან დაკავშირებული პრობლემები ექმნება „ჯორდანსაც“ რადგანაც „ჰონდა“ საკუთარი გუნდით აპირებს დაბრუნებას და ახალი ბოლიდის ტესტებს უახლოეს მომავალში შეუდგება

იაპონელთა გუნდი შეიძლება გაისადვე ვიხილოთ ფორმულა 1-ის ტრასებზე, მაშინ კი იაპონელები ალბათ საკუთარი გუნდის მომარაგებაზე გადავლენ და მოსალოდნელია, ირლანდიელები უმრავოდ დარჩნენ.

ასე რომ, ბელგიის დიდმა პრიზმა პასუხი უნდა გასცეს კითხვას, შეძლებს ჰაკინენი ჩემპიონატში ლიდერობის შენარჩუნებას, თუ შუში გაიმარჯვებს და სხვაობას თავის სასარგებლოდ შეცვლის, ამას გარდა, რბოლამ მომავალი სეზონის ზოგიერთი სიახლეც უნდა დაგვანახოს.

ალეკო ჯაბუკიანი

ფორმულა 1

FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

XIII ეტაპი

ბელგიის დიდი პრიზი

სპა-ფრანკორშამპი, 30 აგვისტო

რბოლის დისტანცია: 44 წრე — 306,592 კმ ტრასის სიგრძე: 6.968 კმ

რბოლის დასაწყისი: 16.00 (თბილისის დრო)



1997 წლის შედეგები:

1. *მ. შუმახერი* (ფერარი)	1:33.46,717 (208,442 კმ-სთ)
2. *ფიზიკელა* (ჯორდან პეჟო)	ჩამორჩა 26,753 წმ-ით
3. *ფრენცენი* (უილიამს რენო)	
4. *ჰერბერტი* (ზაუბერ ფერარი)	
5. *ვილნევი* (უილიამს რენო)	
6. *ბერგერი* (ბენეტონ რენო)	

საუკეთესო წრე: *ვილნევი* (უილიამს რენო) 1.52,692 (222,586 კმ-სთ)
პოული: *ვილნევი* (უილიამს რენო) 1.49,450 (229,189 კმ-სთ)

გასული წლების გამარჯვებულები:

1996	*მ. შუმახერი* (ფერარი)	1995	*მ. შუმახერი* (ბენეტონი)
1994	*ჰილი* (უილიამსი)	1993	*ჰილი* (უილიამსი)

მუსტერს ძალა მოზღვავება

ნიუ ჰეივენი
საპრიზო 450 000 $

მეოთხედფინალი: ლინდსი დევენპორტი (1, აშშ) — ანკე ჰუბერი (გერმანია) 6:3, 6:3; იანა ნოვოტნა (2, ჩეხეთი) — ამელიე მორესმო (საფრანგეთი) 6:1, 7:6; შტეფი გრაფი (4, გერმანია) — ამანდა კუტცერი (7, სამხრეთ აფრიკა) 6:3, 6:0; ჯული ჰერალდ დეკუჯისი (საფრანგეთი) — მერი ჯო ფერნანდესი (აშშ) 7:5, 6:1.

პირველ ნომრად განთესილმა ძონძროხა ამერიკელმა ლინდსი დევენპორტმა იოლად ჩამოიშორა გზიდან ვერმანელი ანკე ჰუბერი და ზედიზედ მეოთხე ტიტულის მოსაპოვებლად კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა. მშვენიერ ფორმაში მყოფი დევენპორტი მსოფლიოს პირველ ჩოგან მარტინა ჰინგისთან ერთად უკვე კარსმომდგარი ამერიკის ღია პირველობის მოგების უმთავრეს კანდიდატათ ითვლება და დიდი სლემის ტურნირის მოგება თუ მოახერხა, მსოფლიოს პირველ ჩოგნობასაც გამოჰკრავს ხელს. ნახევარფინალში სხვა შემორჩენილმა ფავორიტებმაც გააღწიეს. მეორე ნომერ იანა ნოვოტნას პირველი სეტის იოლად მოგების შემდეგ მეორეში ცოტა გაუჭირდა, მაგრამ ნახევარფინალში მაინც გავიდა. მოიგო შტეფი გრაფმაც, რომელმაც მეშვიდე ნომრად განთესილი ამანდა კუტცერი ჩემპიონობისთვის ბრძოლას იოლად, ყოველგვარი ძალდატანების გარეშე გამოთიშა.

ჯერიჩო. ჰამლეტის თასი
საპრიზო 315 000 $

მეორე წრე: პატრიკ რაფტერი (2, ავსტრალია) — მარტინ დემი (ჩეხეთი) 6:4, 6:3; ფელიქს მანტია (8, ესპანეთი) — ბოგდან ულრაჰი (ჩეხეთი) 7:6, 6:3; ნიკოლას ესკუდე (საფრანგეთი) — ჰიშამ არაზი (მაროკო) 6:3, 3:6, 6:3; გუსტავო კუერტენი (ბრაზილია) — ფრანციისკო კლავეტი (ესპანეთი) 2:6, 6:3, 7:6

მეორე წრის დარჩენილ მატჩებში მხოლოდ ორი განთესილი — პატრიკ რაფტერი და ფელიქს მანტია თამაშობდნენ და ორივემ გააღწია მეოთხედფინალში, თუმც ამ უკანასკნელს უფრო გაუჭირდა ჩეხი მეტოქის დამარცხება. 25 წლის რაფტერი კი წლეულს ნათამაშებ ტურნირებში მეოთხედფინალში უკვე მეათედ მოხვდა. შარშანდელი ამერიკის ღია პირველობის მომგებ ავსტრალიელს ჩეხი მარტინ დემის დასამარცხებლად სულ 48 წუთი დასჭირდა. რაფტერი კმაყოფილი დარჩა თავისი თამაშით: „კარგად დავრბოდი და მიღებაც და მოწოდებაც კარგად გამომდიოდა“. მოიგო შარშანდელი როლან გაროსის ჩემპიონმა, ბრაზილიელმა გუსტავო კუერტენმა, თუმც 21 წლის გუგას ძმიმე სამსეტიანი ბრძოლა მოუხდა ესპანელ ფრანციისკო კლავეტთან. დარჩენილ მეოთხე შეხვედრაში კი ფრანგმა ნიკოლას ესკუდემ ასევე სამსეტიან მძიმე ბრძოლაში მაროკოელ ჰიშამ არაზი სძლია.

თომას მუსტერი

ბრუკლინი
საპრიზო 315 000 $

მეორე წრე: სედრიკ პიოლინი (3, საფრანგეთი) — ენდრიუ ილიე (ავსტრალია) 6:4, 6:3; მაიკლ ჩანგი (4, აშშ) — კენტ კარლსენი (დანია) 4:6, 6:3, 6:4; ტომას მუსტერი (5, ავსტრია) — ნიკოლას ლაპენტი (ეკვადორი) 6:2, 6:4; ჯანლუკა პოცი (იტალია) — ლიონელ რუქსი (საფრანგეთი) 5:7, 6:2, 7:6

მოულოდნელობები, რაშიც უმთავრესად ფავორიტთა გავარდნა იგულისხმება, მეორე წრის დარჩენილ მატჩებში არ მომხდარა. 27 აგვისტოს კორტებზე გამოსულმა სამივე ბობოლამ იმარჯვა და მეოთხედფინალშიც გავიდნენ, მაგრამ თუ სედრიკ პიოლინმ და ტომას მუსტერმა ასე თუ ისე იოლად სძლიეს კორტის საპირისპირო მხარეს მდგომთ, ამ საქმის მოგვარება მეოთხე ნომრად განთესილ ამერიკელ მაიკლ ჩანგს ერთობ გაუჭირდა. ფორმიდან ამოვარდნილმა ჩანგმა დანიელ კენენტ კარლსენთან ბევრი იოკაჯგურა და ბოლოს, 2 საათიანი და 20 წუთიანი მძიმე ბრძოლის შემდეგ, როგორც იქნა მიაღწია სასურველ და მისთვის ეროობ საჭირო გამარჯვებას. მეოთხედფინალში გასვლას ძლიერ გაუხარებია 95 წელს როლან გაროსის მომგები და ერთ დროს პირველი ჩოგანი ტომას მუსტერი. „ისევ ვგრძნობ ძალების მოზღვავებას, კვლავ შემიძლია თამაში ჩემზე 10-12 წლით უმცროს ბიჭებთან. დარწმუნებული ვარ, ამერიკის ღია პირველობაზე მშვენივრად გამოვალ“ — ამბობდა იგი.

ირაკლი ფირაშვილი

ჩვენთან „დედოფალიც“ პატივაყრილია

ბუდაპეშტში მძლეოსანთა ევროპის ჩემპიონატზე სხვათა რბენაც და საკუთარი ღოღვაც არაერთხელ გავაშუქეთ. მართალი გითხრათ, ყოველივე ამით კიდევ ერთხელ გულის ტკენა არ გვინდა, მაგრამ არც სირაქლემასავით ქვიშაში თავის დამალვა მოგვიტანს სიკეთეს. ამიტომ მთელ მსოფლიოში პატივცემული, ჩვენთან კი ასე პატივაყრილი სპორტის დედოფლის — მძლეოსნობის სამომავლო „გალამაზების“ პერსპექტივებზე გერმანიაში მაია აზარაშვილს (საქართველოს მძლეოსნობის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი), ხოლო თბილისში თამაზ მდინარაძეს (ფედერაციის პრეზიდენტი) დავუკავშირდით.

ჯერ მაია აზარაშვილს შევეხმიანეთ, რომელიც ბუდაპეშტიდან ახალი ჩასული იყო გერმანიაში.

ასეთი დაბალი შედეგების შემდეგ საკომენტარო რა მაქვსო, გვითხრა მაიამ. აი, ჩემპიონატის შეფასებაში კი ნამდვილად გულუხვი იყო. მისი თქმით, ბუდაპეშტის ჩემპიონატი მთელი თავით მაღლა იდგა ჰელსინკისაზე როგორც წმინდა სპორტული თვალსაზრისით, ისე შეჯიბრების ორგანიზაციით. შედეგებიდან მან გამოყო ქალთა სპრინტი, კერძოდ 100 მ-ზე რბენაში გამარჯვებული ფრანგი კრისტიან არონი, რუსი ირინე პრივალოვა და სპორტში ორწლიანი განშორების მერე დაბრუნებული გერმანელი ჰაკე დრეჭსლერი, ევროპის ჩემპიონობა მეხუთედ რომ მოიპოვა.

მაიას არც უნგრელი მაყურებლის დაინტერესება გამორჩენია მხედველობიდან, ყველანაირ შეჯიბრზე რომ პირთამდე ავსებდა სტადიონს და თან მძლეოსნობის ნიუანსებშიც მშვენივრად ერკვეოდა.

რა თქმა უნდა, მაიას ჩვენებურთა გაჭირვებაზეც ჩამოუგდეთ სიტყვა.

— ჩვენებისაგან შედალს არც ველოდით, მაგრამ საკუთარი შედეგების ჩვენებაში რამ შეუშალათ ხელი, არ ვიცი, გვითხრა მან.

— შანიძეზე რას იტყვით, ის ხომ თქვენს თვალწინ საუკეთესო პირობებში ვარჯიშობდა?

— არც ვიცი, რა გიპასუხოთ. როცა სასტუმროში დავბრუნდით და თამაშის ჩავარდნის მიზეზი ვკითხე, ხელები გაშალა, მეც არ ვიცი, რა მომივდაო.

დაინტერესდით სიდნეის ოლიმპიური თამაშებისადმი თავად მიჯას დამოკიდებულებითაც.

— ოლიმპიადის ლიცენზიას კი მოვიპოვებ, მაგრამ მხოლოდ მონაწილეობა არ მსურს, თანაც, აქტიურ სპორტს თავი ფაქტობრივად დავანებე — გვითხრა მან.

ახლა ბატონ თამაზ მდინარაძესთან ჩვენს საუბარს გაგაცნობთ.

— რა უნდა გითხრათ, — გვეუბნება იგი — ჩვენი ორი მონაწილიდან ორივე ბოლო ადგილზე გავიდა. ასეთ ჩავარდნას არ ველოდით.

— ეს ფიასკო ალბათ მომავალი ჩემპიონატისთვის ერთ ლიმიტსაც ჩამოგვაკლებს.

— შეიძლება ასე არ მოხდეს და კვლავ ორი ლიმიტი დაგვიტოვონ. გეხსომებათ, რომ მოსკოვის ახალგაზრდულ თამაშებზე ნინო ბაგაშვილი ორ სახეობაში — 100 და 200 მეტრზე რბენაში გამოვიდა და ორივეგან ფინალში მოხვდა, საბოლოოდ კი VIII ადგილი დაიკავა. სწორედ მისი მიღწევების გამო შეიძლება შეგვინარჩუნონ მეორე ლიმიტი. ამაზე ბუდაპეშტში იყო ლაპარაკი, ყველაფერი კი 28 ოქტომბერს ესპანეთში გადაწყდება, სადაც იაიფ-ის კონგრესი გაიმართება. ასე რომ, თუ აქამდე მაია აზარაშვილზე ვიყავით დამოკიდებული, ახლა ნინო ბაგაშვილის იმედზე ვართ. იგივე ბაგაშვილი და შანიძე გერმანიაში ერთი მწვრთნელის ხელქვეით აბსოლუტურად ერთნაირ პირობებში ემზადებოდნენ, მაგრამ მოსკოვში ნინომ პირადი რეკორდი გაუუმჯობესა, ხოლო შანიძემ 5 მეათედი წამით უარესად ირბინა. იმასაც გეტყვით, რომ ამიერიდან აქცენტს ახალგაზრდებზე გადავიტანთ და ფულსაც მათ მომზადებაზე დავხარჯავთ. რამდენიმე პერსპექტიული სპორტსმენი გვყავს. ისინი შეიძლება სპრინტერები არ იყვნენ, მაგრამ ამას მნიშვნელობა არა აქვს. ვაუთაგან 110 მეტრზე თარჯმრბენში სერგო ტურიაკოსა და დავით ილარიანზე გავამახვილებთ ყურადღებას, რომლებსაც მოსკოვში გავაგზავნით სავარჯიშოდ, შანიძეს კი ალბათ ბაგაშვილი შეცვლის.

მოკლედ, ბუდაპეშტის ჩემპიონატმა მშვენივრად წარმოაჩინა ქართული მძლეოსნობის დაჩაჩანაკება. ზემოხსენებული ახალგაზრდები შეიძლება პერსპექტიულები კი არიან, მაგრამ მაინც უდიდესი შანსია, საოლიმპიადოდ ამ სახეობაში ვაკუუმი შეგვექმნას. ამ ვაკუუმის ამოვსების ერთადერთი წყარო კი ისევ მაია აზარაშვილია, ისიც იმის იმედით, რომ ხათრს გაუწევს თავის ქვეყანას და უარს არ იტყვის სიდნეიში გამოსვლაზე.

ირაკლი თამაძე

სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოდის: სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი
ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი
თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე:
ილია ბაბუნაშვილი
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი:
ვახტანგ ბზიკაძე
ტექნიკური რედაქტორი
გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე:
ავთანდილ გურასაშვილი
ინფორმაციის განყოფილების გამგე:
სოსო კოტორაიშვილი
ფეხბურთის რედაქცია.
ქართული ფეხბურთის განყოფილება:
კონსტანტინე გოგიშვილი, პაატა თოთაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე
უცხოური ფეხბურთის განყოფილება:
ლაშა გოდუაძე, დავით კოვზირიძე, ონისე შინჯიკაშვილი, ირაკლი ხმელიძე
კალათბურთის განყოფილება:
გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი
ინფორმაციის განყოფილება:
ავთანდილ სვანიძე, ირაკლი თავაძე
კორესპონდენტი ქუთაისში
იუზა კაციტაძე
ფოტორეპორტიორები:
გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები:
მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი
კომპიუტერული ცენტრი:
ელენე გელუტაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, ტრისტან კახურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29